

178 /
1994 / 3

ქართველი

• მეცნიერება • კუპლიტიკა

5-6
1994

სამართლი

სახადის კანკორი - არაძლია ული უზრუნველყოფა

№ 5-6

1994

აპილ - ივნისი

არაძლია ● მისამართი ● პუბლიცისათვა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რაჭიაძე

სახელმწიფო კოლეგია:

ჯავახეთ გაგილაშვილი

გელა გერგაციიშვილი

(მთ. 66 და ართორის გოადგილი)

ვლაძიმერ გარათაშვილი

ოთარ გაგერელიძე

ჯევალ გაბოკიძე

გივი ინიკიძეველი

გივა ლევაცივშვილი

თენერი ლილუაშვილი

ჯევალ გიველაძე

ზალვა ნათელაშვილი

თევდორე ნინიძე

ნოდარ ნიგიარიძე

იური თაუცემა

გიორგი ტევზალიძე

ივანე ცეცეკარაძე

გიორგი უზრუნველიძე

ჯონ ჯალაძენია

ჩვენი უზრუნველის დამფუძნებ-
ლები არიან: უზრუნველი „სამართ-
ლის“ რედაქცია, საქართველოს
რესპუბლიკის იურისტთა კავშირი,
საქართველოს რესპუბლიკის უზ-
ნაერი სასამართლო, საქართვე-
ლოს რესპუბლიკის იუსტიციის
საგირისტრო, საქართველოს რეს-
პუბლიკის პროცესუატურა, საქარ-
თველოს რესპუბლიკის უზნაერი
საარგიტრაზო სასამართლო.

მკითხველთა საკურალებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა
არ ემოქვედეს რედაქციისას. მასალები, რომე-
ლთა მოცულობა არ უნდა აღებატებოდეს 12
გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 880046, თბი-
ლისი, რუსთაველის 30.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

უზრუნველი რეგისტრირებულია საქართველოს
რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგის-
ტრაციის ნომერია: 0830. ინდექსი 70185.

ვადი 1200 კუპ.
ვადი 7000 რუსული

საქონელი

პარლამენტის ტრიბუნა

ბაღრი ნაკაშიძე — ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი.

სახელმწიფო მრგავილები

ପ୍ରଶ୍ନ ଗାବିଦୀକଣା - ନାମକଣ୍ଠରତ୍ନଲୋ-ନାଥ୍ଯେହାମିନ୍ଦେହାଲୋ ଶ୍ରୀରାଜ୍ମିତିଶୁର୍ଯ୍ୟବାସ କଣ୍ଠସତିରତ୍ନପୁରାଣ
ଶ୍ରୀଗୁରୁଙ୍କାଳେ ଶ୍ରୀଗୁରୁରାମ ଶାକାତକୀ

ზაურ ჯინჯოლავა — ხელისუფლების დანაწილების თეორია და საქართველოს რეპსულიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

კანონის კოდექსი

ଶର୍ମିଳା ଲୁହନକା -- ଶ୍ରୀ ଶର୍ମିଳା ପାତ୍ର

ଭାରତୀୟ ପ୍ରକାଶନ

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მეორე სახწავლო სემინარის მასალები

පොනුවාස්ත්‍රවල තුළෙමාත්තාව

რალფ ჰოუკერი – სამართლის ცნება

အပေါ်အလုပ် နာရိသာဂုဏ် ဒေဝဇ္ဇာနာရာဆို

კახა ქორქოლიანი – ავტონომია და „ეროვნული საკითხი“

ლელა ნაღიბაძე – შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პროცედურა

ପରୀକ୍ଷାକାରୀ, ପରୀକ୍ଷାକାରୀ, ପରୀକ୍ଷାକାରୀ

გა ბახტაძე, რომელიც ბაბასანიძი, იგორ გატკვითი — გაზის აარალით მიყენებულ დაზიანებათა პლევის ზოგიერთი ასპექტი

ପାଠ୍ୟଶଳୀ କାମାଳିଲୀର ଉତ୍ସବ

ვატრანგ აბაშაძე – ქართველი რენტგენისა და შუა საუკუნეების საქართველოს ჰემანისტური ორიენტირებულიყვანია

Digitized by srujanika@gmail.com

1993 წელს საქართველოს რესპუბლიკურში ნახამართლობის მდგრადი

ତିନାତିନ ଶ୍ରେଣ୍ୟକୁଳ - 90

აღიარება

უმაღლესი ხარისხი იურიდიულ მქონერებაში

30905

ვახტანგ კურესელიძე – ღვიწება და სინამდვილე

58

გადაეცა ჭარმობებას 21.06.91 წ., ხელში იწერილია დასაბუძვად 9.11.94 წ.,
ფორმატი $70 \times 108\frac{1}{2}$, ფიზიკური ნაზეპლი უზრული, 5, პირობითი ნაზეპლი უზრული 7.
სააღმისავალო-საამონიკო თაბაზი 6.5. შეკვ. 676. ტირაჟი 1500.

20611 ადგილობრივი თვითმმართველობის სახამედროების კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს რესპუბლიკის გარდაქმნა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოდ გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების მართვაში სახელმწიფოს რაც შეიძლება ნაკლებ ჩარევას. ამ გარემოების გათვალისწინებით, დღეს ფრიად აქტუალურად დგას საზოგადოებაში თვითმმართველობის საწყისების განვითარების, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემისა და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციისა და სამართლებრივი რეგულირების თაობაზე ჩვენი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებათა შედარებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს უკუაგდოთ განსახილველი საკითხისადმი ზედმეტად იდეოლოგიზირებული მიღობა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო უახლოესი წარსულისათვის. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან სახელმწიფი სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის რეფორმამ ახალი ამოცანები დაუსახა სამართლებრივ მეცნიერებას, რამაც კველა მისი ინსტიტუტის შინაარსს ვაჩაზღვისადმი ახლებური მიღობა მოითხოვა.

თვითმმართველობაში ჩვენი სახელმწიფო სამართლის მეცნიერება გულისხმობს რამდენიმე დამოუკიდებელ ინსტიტუტს.

სამართლებრივი და ფილოსოფიური მეცნიერების შესაყარზე განზოგადების უმაღლეს დონეზე, თვითმმართველობა ესმით, როგორც სოციალური მართვის სახეობა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ლაპარაკა მართვისა და თვითმმართველობის თანაფარდობაზე. ცნობილია, რომ „მართვა“, როგორც ასეთი, ნიშნავს სამართავ სისტემაზე მართვის სისტემის ყოველგვარ გამიზნულ ზემოქმედებას. მაგრამ თუ ლაპარაკა თვითმმართველობაზე, მაშასადამე, სახეზეა მმართველი სისტემის ზემოქმედება საკუთარ თავზე. ამრიგად, ვლებულობით ორ სისტემას — მართვისა და სამართავ სისტემას და კიდევ ერთს — თვითმმართველს.

თვითმმართველობის განვითარების დონე პირდაპირაა დამოკიდებული საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარების დონეზე, რაც უფრო დემოკრატიულია იგი, მით უფრო ფართოდაა მასში განვითარებული თვითმმართველობაზ საწყისები. თუმცა დემოკრატიის გარდა, თვითმმართველობის განვითარება მოითხოვს ფრიად ხანგრძლივ პერიოდსაც. როგორც კველა სხვა სოციალური ინსტიტუტი, ისიც მოითხოვს ჩვევების, ჩვეულებების ჩამოყალიბებას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რასაც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რამდენიმე თაობა აგროვებს.

თუ თვითმმართველობას განვიხილავთ, როგორც ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოებისა და მოქალაქეთა გაერთანანებების ნებისმიერი ფორმის საჭოველთან

თვისებას შევნიშნავთ, რომ იგი ყველა შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ ქრისტიანული სისტემის არსებობას, რომელიც გამორიცხავს ან მაქსიმალურად ზღუდავს მასზე სხვა მართველი სისტემის ზემოქმედებას. თუ ამ მსჯელობას ადგილობრავი თვითმმართველობის სიბრტყეში განვიხილავთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებში სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის შეზღუდვას. ამ შეზღუდვის ფორმა და დონე, თავის მხრივ, კონკრეტულ საზოგადოებასა და სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარების დანით განისაზღვრება.

თვითმმართველობის ცნების არსის ამხსნელი მომდევნო ინსტიტუტია ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის შინაარსი ბევრი მცცინერი იურისტის ყურადღების საგანია კერძოდ, თვითმმართველობა განისაზღვრება, როგორც „ხალხისა და სხვა სოციალურ გაერთიანებათა თვისება, მათი უნარი მართონ თავიანთი საკუთარი საქმეები“. ამრიგად, ხალხის თვითმმართველობა არის ისეთი ინსტიტუტი, რომელშიც მართვის სუბიექტად გვევლინება მთელი ხალხი, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობა, რაშიც იგულისხმება სრულწლოვან მოქალაქეთა ერთობლიობა, რომელიცსაც აქტიური საარჩევნო უფლება აქვთ. მაგრამ, როგორც ჩემთ აღინიშნა, რამდენადაც ნებისმიერი თვითმმართველობის სისტემის თვისებურება მეორე სისტემის არსებობა, რომელსაც სამართველო უფლებამოსილებანი ექნება ან მართვის ობიექტია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტში ხალხი ერთდროულად მართვის სუბიექტიც არის და ობიექტიც.

ამ დასკვნას დადი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ხალხის თვითმმართველობის ზემო მოყვანილ ცნებას, უნივერსალური ხასიათი აქვს. მასში ღაპარაკია თვითმმართველობაზე, როგორც ხალხისა და სოციალურ გაერთიანებათა თვასებაზე. ამ გაერთიანებებად გვევლინება მოქალაქეთა ერთობლიობაც, რომლებიც გაერთიანებული არიან ტერიტორიული პრინციპით (ადგილობრივი საზოგადოებანი). მაშასადამე, თვითმმართველობის ისეთი თვისება, როგორიცაა მართველი და სამართავი სუბიექტის დამოხვევა, დამახასიათებელია არა მარტივ ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტისთვის, არამედ სხვა თვითმმართველი სისტემებისთვისაც, მათ შორის ადგალობრივი თვითმმართველობისთვისაც. რამდენადაც ხალხის თვითმმართველობის სუბიექტად თვით ხალხი გვევლინება, თვითმმართველობის ეს ინსტიტუტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხალხის მიერ თავისი კუთვნილი ძალაუფლების განხორციელების საშუალება, რაც შეესაბამება „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის აზრს.

სანამ თვითმმართველობის შემდეგი ინსტიტუტის ანალიზზე გადავიდოდეთ შევეცდებით „ხალხის თვითმმართველობას“ ცნება გავმიჯნოთ „დემოკრატიას“ ცნებისაგან. „თვითმმართველობა“ დემოკრატიის განვითარებისა და ორგანიზაციის უზენაესი მიზანი და ამავე დროს, მისი განვითარებისა და ორგანიზაციას განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც აერთიანებს მის უმთავრეს ინსტიტუტებს და გულისხმობას:

— სოციალურ გაერთიანებათა გადაქცევას მართვის „მონაწილეებისაგან“ მის პირველად „სუბიექტებად“;

— მასების მიერ სამართველო საკითხების საბოლოო გადაწყვეტის ფუნქციების წინა პლანზე წამოწევას;

— სოციალური სუბიექტების მიერ სამმართველო ამოცანების კვალიფიციური გადაწყვეტის უზრუნველყოფას მაღალი სამმართველო და პოლიტიკური კულტურის ბაზაზე;

— ისეთი ინსტიტუტების საყოველთაოდ მისაწვდომი სისტემების შექმნას, რომელებიც უზრუნველყოფენ სამართველო საქმიანობაში მოქალაქეთა არა ეპი-ზოდურ, არამედ ყოველდღიურ მონაწილეობას;

— სამართველო გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფრო მჭიდრო დაკავშირებას ამ გადაწყვეტილებების შესრულებასთან და კონტროლთან.

ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავსცვათ: დემოკრატია თვითმმართველობისგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი უფრო სრულად და უშუალოდ ასახიერებს საზოგადოების მართვას ძირითად პრიციპებს.

შავრამ ასეთი დასკვნა როდი მოიწურავს აღნიშნული ცნებების სხვაობათ: მთელ სიღრმეს. თუ დემოკრატიის ფართო სოციალურ-ფილოსოფიურ შენაარსეს ვილაპარაკებო, იგი ამ ბერძნული ტერმინის მარტოლენ მექანიკურა თარგმნით ვერ ამოიწურება. თანამედროვე წარმოლენებით, დემოკრატია, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო წყობილებისა და ყველა იმ სუბიექტის ხელისუფლების განხორციელების ფორმაა, რომლებიც მას ფლობენ, და არა მარტო ხალხისა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია ფართო ცნებაა, ხელისუფლების ნებისმიერი სისტემის ენივერსალური ნიშან-თვისებაა. თვითმმართველობა კი, თუნდაც ღაპარაკი იყოს ისეთ ფართო ცნებაზე, როგორიცაა ხალხის თვითმმართველობა, დემოკრატიის კერძო გამოვლინებაა კონკრეტული ინსტიტუტის, მისი რეალიზაციის მექანიზმის სახით. მაგრამ სწორედ ეს კონკრეტული დაბა მეორე განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მიჯნავს ამ ორ ცნებას. დემოკრატია, ჩვენი აზრით, მარტოლენ სამართლებრივიც ცნება არ არის და ერთ-სახოვანი ფორმით ვერ გამოიხატება. რაც შეეხება ხალხის თვითმმართველობას, მან შეიძლება სრულიად კონკრეტულად შეისხას ხორცი სამართლით დამკვიდრებული ფორმით. ხალხის თვითმმართველობის განვითარების დონე შეიძლება შეზღუდული იყოს ტოტალიტარული სახელმწიფოსგან იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი სახელმწიფოს მიზნები და ფუნქციები არ ემთხვევა და ეწინააღმდეგება კიდეც ხალხის ინტერესებს. ამასთანავე, უნდა დაინიშნოს, რომ ამ შეზრევევაში სახელმწიფოს და ხალხის ურთიერთობის ხასიათი გვიჩვენებს კონკრეტულ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების დონეს.

თუ ცნების დაკონკრეტების გზით ვივლით, შეგვიძლია გადავიდეთ თვითმმართველობის, როგორც მოქალაქეთა ხებისმიერი გაერთიანების — საზოგადოებრივი გაერთიანების, დროებითი ფორმირებას, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოს და სხვათ თვისების ანალიზზე. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ განსახილველი გაერთიანების ხასიათის მიხედვით, მისი თვითმმართველობის ორგანიზაციის ფორმა სხვადასხვაგარი იქნება. უფრო დაწვრილებით გავაძლია განვითარების ეს ინსტიტუტი.

დავიწყოთ საზოგადოებრივი გაერთიანების თვითმმართველობით. საზოგადოებრივი გაერთიანება გვესმის, როგორც „ნებაყოფლობითი ფორმირება, რომელიც იქმნება საერთო ინტერესების საფუძველზე გაერთიანებული მოქალაქეების თავისუფალი ნების გამოვლინების შედეგად“. მოყვანილი განმარტების მიხედვით გამოდის, რომ ასეთი გაერთიანების თვით შექმნის უაქტი თვითმმართველობაზე მოქალაქეთა უფლების რეალიზაციის შედეგია. საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის მომდევნო ეტაპია მისი წევრების მიერ წესდებას, საქმიანობის პროგრამის შემუშავება და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა. ეს აქტებიც შეგვიძლია განვითალოთ, როგორც თვითმმართველობაზე მოქალაქეთა უფლების რეალიზაციის მექანიზმის გამოვლინება. ნებისმიერი საზოგადოებრი-

ვა გაერთიანების მთელი შემდგომი საქმიანობა შეიძლება წარმოვადგინოთ გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედებისა და საერთო კრებებზე მისი წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახით. ეს უკანასკნელი აღნიშვნული უფლების რეალიზაციის მექანიზმის გაგრძელებაა. თუ გაერთიანების წესდება ითვალისწინებს, რომ მისი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობას ქმედით კონტროლს უწევენ და არსებობს მათი ვადამდე შეცვლის მექანიზმი, როცა ისინი არღვევენ წესდებას, პროგრამას ან სჩადიან სხვა ქმედობას, რომელიც ეწინააღმდეგება მოცემული გაერთიანებას წევრთა უმრავლესობის ინტერესებსა და მიზნებს, არჩევითი ორგანოების ფუნქციონირება შეიძლება მისი წევრების თვითმმართველობის მექანიზმის გამოვლინებას მივაკუთვნოთ. ამრიგად, საჩი-გადოებრივი გაერთიანების მთელი საქმიანობა შევავიდოთა განხილოთ, რო-გორც თვითმმართველობაზე მოქალაქეთა უფლების რეალიზაციის მექანიზმა, რომელიც ლოკალური ფორმით ისხამს ხორცს.

გადავიდეთ მოქალაქეთა დროებით გაერთიანებაში თვითმმართველობის საწყისების გამოვლენის ანალიზზე. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ზემოთ განხილული საზოგადოებრივი გაერთიანებებისგან ისინი დროებითი საქმიანობის ხასიათით და კონკრეტულ ამოცანის გადაწყვეტისადმი დაქვემდებარებით გამოიჩინან და ისტორიულად შეზღუდული ხასიათი აქვთ. იგულისხმება გაფიცვები, საჯარო ღონისძიებანი – კრებები, მიტინგები, დემონსტრაციები, კოლექტიური პიკეტები და კოლექტიური შიმშილობანი და ა. შ. ასეთი გაერთიანებების, ისევე როგორც საზოგადოებრივი თრგანიზაციების შექმნის ფაქტი, მასების ნების ნებაყოფლობითი გამოვლინების შედეგია, ანუ თვითმმართველობაზე მოქალაქეთა უფლებების კერძო გამოვლინებაა. რაც შეეხება შემდგომ პროცესებს, მათი ხასიათი სხვადასხვაგარი შეიძლება იყოს. ცხადია, საგაფიცვო კომიტეტის ან საჯარო ღონისძიების ორგანიზატორების შეცვლა თვით გაფიცვისა და ღონისძიების პროცესში თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ძნელ განსახორციელებელია. მაშასადამე, საგაფიცვო კომიტეტს თუ საჯარო ღონისძიების საორგანიზაციო თრგანოს შეუძლიათ მოიმოქმედონ ისეთი რამ, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება აქციის „რიგითი“ მონაწილეების ინტერესებს. შემდგომში, ცხადია, ისინი ადარ გაიმეორებენ მცდარ არჩევანს – საგაფიცვო კომიტეტის ახალ შემადგენლობას ჩამოაყალიბებენ, მონაწილეობას არ მიიღებენ საჯარო ღონისძიებებში, რომლებსაც არასასურველი ორგანიზატორები მოაწყობენ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მოქალაქეთა დრობით გაერთიანებებში თვითმმართველობის საწყისების გამოვლენის დონე მაღალია, თუმცა მაინც ნაკლებად, ვიდრე საზოგადოებრივ გაერთიანებებში.

მოქალაქეთა გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა ხელისუფლების (სახელმწიფო და არასახელმწიფო) ორგანოები. როცა დაპარაკია მოსახლეობის მიერ არჩეულ ორგანოებზე, უნდა ითქვას, რომ მათი შექმნის თვით ფაქტი თვითმმართველობაზე მოქალაქეთა უფლების გამოვლენაა. მაგრამ ამ გამოვლენის დონე სხვადასხვაგარი შეიძლება იყოს იმ გარემოებათა მიხედვით, რომლებშიც ირჩევენ ამა თუ იმ ორგანოს და, იმის მიხედვით, თუ რამდენად დემოკრატიულია საარჩევნო სისტემა. ეს აზრი განძარტებას მოითხოვს. თუ არჩევნები კანონით დადგენილ ვადაში, წინათ არჩეული ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობის უფლებამოსილების გასვლის შემდეგ ეწყობა, თვითმმართველობითი საწყისების გამოვლენა მხოლოდ თვით არჩევნების პროცესით შემოიფარვლება. მაგრამ თუ არჩევითი ორგანოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან გვაქვს საქმე, პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, თუ ვისა ნიციდატივით დაითხოვეს აღნიშვნული ორგანო. თუ დათხოვის ინიციატივა ამ

უფლების მქონე ხელისუფლების ორგანოს ეკუთვნის, ამ პროცესში ადგილობრივ გაერთიანებათა როლი ქვეითდება. მაგრამ თუ ხელისუფლების ორგანო დაითხოვეს ან თანამდებობის პირი შეცვალეს მოქალაქეთა მოთხოვნით; რაც კანონით დადგენილი ფორმით გამოიხატა, მარინ შეგვაძლია ვთქვათ, რომ ამ კონკრეტულ საზოგადოებაში თვითმმართველობის საწყისების მნიშვნელობა იზრდება.

თვითმმართველობის განვითარების დონე დამოკიდებულია აგრეთვე საარჩევნო სისტემის განვითარების დონესა და ტიპზე. ჯერ ერთი, რაც უფრო ნაკლები შეზღუდვაა დაწესებული მოქალაქეთა აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის მხრივ (ქონებრივი და ასაკობრივი ცენტი, ბინადრობის ცენტი და სხვა), მით უფრო ეფექტურანად ვლინდება არჩევნების დროს თვითმმართველობის პრინციპი, მეორე, თვითმმართველობის განვითარების დონეზე გავლენას ახდენს საარჩევნო სისტემის ტიპიც. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ნაკლებად შეესაბამება თვითმმართველობის მოთხოვნებს, ვიდრე პრიპორციული. ამასთანავე, პრიპორციული სისტემა ზღუდვს ტერიტორიული პრინციპით დამოუკიდებელ კანდიდატთა დასახელების შესაძლებლობებს, ამიტომ იდეალურად გვესახება ამ ორი სისტემის ელემენტების გონივრული შეხამება.

თუ ვილაპარაკებთ თვითმმართველობაზე, როგორც მოქალაქეთა მიერ საკუთარი საქმეების მართვაზე, ამ პრინციპის რეალიზაციის მექანიზმი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოქალაქებთან მათი უკუკავშირის ხასიათსა და ფორმებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს გავლენა მოახდინონ მათს გადაწყვეტილებაზე. იგულისხმება განაწესები, პეტიციები, ზეპირი და წერილობითი მიმართვები, რეფერენდუმები, საერთო-სახალხო და სახალხო განხილვები და ა. შ. ამ ურთიერთობათა განვითარებული სისტემის არქონამ შეიძლება ეს ორგანოები თავისი დანიშნულების საწინააღმდეგო მოვლენად გადაქციოს, როგორც ეს მოხდა, კერძოდ, საბჭოების მიმართ.

თუ განვაგრძობთ ხელისუფლების ორგანოების ანობაში თვითმმართველობის პრინციპის რეალიზაციის ანალიზს, უნდა ჩორ ას საკითხში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს მოცემული ორგანოები. როგორც ვიცით, ტიპებად ხელისუფლების ორგანოების დაყოფას საფუძველი უდევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები თვითმმართველია თავისი ბუნებითა და დანიშნულებით, ამიტომ ყველაზე მეტად შეესაბამება თვითმმართველობის, როგორც მთელი ხალხის, ისე ადგილობრივ გაერთიანებათა თვითმმართველობის მოთხოვნებს. საერთო კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში თვითმმართველობის საწყისების განვითარების დონე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ამ ორგანოების შექმნის წესზე. როგორც ცნობილია, ადგილობრივ დონეზე ორ წესს იყენებენ: არჩევნებს და დანიშვნას. ცხადია, რომ მოსახლეობის მიერ არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები უფრო მეტად არიან ორინტირებული მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და ადგილობრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაზე, ვიდრე ზეპირობი თვითმმართველობის მიერ დანიშნული. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს დანიშვნა ყოველთვის ცედი იყოს, არჩევნები კი — კარგი, აქ რამდენადმე უფრო რთული ურთიერთდამოკიდებულებაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთო კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ლრმაგი დანიშნულება აქვთ. ერთი მხრივ, მათი ამოცანაა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის წარმომადგენლობითი ხელისუფლების ადგილობ-

რიგი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულება, მეორე მხრივ – კანონებისა და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულება. ამრიგად, თუ ეს ორგანოები მთლიანად იქნება დამოკიდებული მოქალაქეების ნებაზე როგორც მათი არჩევის, ისე გადაყენების საკითხებში, გაწყდება აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალა, რაც გარდაუკალად გამოიწვევს ადგილობრივ დონეზე საერთო-სახელმწიფო ამოცანების არადამაკამაყოფილებელ გადაწყვეტას. ამრიგად, ჩვენ განივრულად გვეჩვენება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ამ ორგანოების შექმნის ორი წესის შეხამება. კერძოდ, ლაპარაკია საფრანგეთის გამოცდილებაზე, რომელშიც შერწყმულია აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევითობა მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის მიერ, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების ზემდგომ ორგანოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს არჩევითი თანამდებობის პირი, თუ იგი დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, საერთოდ სახელმწიფოს წინაშე, ან იმ შემთხვევაში, როცა იგი არღვევს კანონს ან მის განთავისუფლებას მოსახლეობა მოითხოვს. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, შეხამებული იქნება ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო ინტერესებია. მაგრამ, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში თვითმმართველობის საწყისები, მათი სპეციფიკური ბუნების გამო, ნაკლებად ვლინდება, ვიდრე წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში.

საბჭოთა სოციალისტური წყობილების ერთ-ერთ მიღწევად ითვლებოდა მოსამართლეთა არჩევითობა. ამ პერიოდის გადმონაშითი ამ ცოტა წინათ მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციაშიც შემორჩა, თუმცა შემდგომში რამდენადმე შეიცვალა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, ისევე როგორც „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონი, სამწუხაროდ, არ წყვეტენ ამ საკითხს. მაგრამ, თუ ხელისუფლების ამ ორგანოების დანიშნულებით (მართლმსაჯულების განხორციელებით) ვიხელმძღვანელებთ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ორგანოების საქმიანობა ვერ იქნება (და არც უნდა იყოს) დაკავშირებული ადგილობრივ საზოგადოებათა ინტერესებთან, პირიქით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი რეალური დონისძიება შეიძლება გახდეს მათი დაცვა მოსახლეობის გავლენისაგან და კერძო, მათ შორის ადგილობრივი ინტერესების დაცვის საჭიროებისაგან. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ რაც უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს სასამართლოს საქმიანობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი, მით უფრო ეფექტიანი და მიუკერძოებელია მისი მუშაობა.

თვითმმართველობის პრინციპის რეალიზაციის დონე დამოკიდებულია ორგანოს სახეობაზე, მის ფუნქციებზე, ფინანსების წესზე და მოსახლეობასთან ურთიერთდამოკიდებულებაზე.

უცხოურ ლიტერატურაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ფუნქციონირებას განიხილავენ როგორც ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და დეკონცენტრაციას. ამასთან, დეცენტრალიზაცია ნიშნავს, რომ ცენტრი ცალკეულ უფლებამოსილებებს გადასცემს ადგილობრივ არჩევით ორგანოს, ხოლო დეკონცენტრაცია ესმით როგორც უფლებამოსილებათა დელეგირება ცენტრიდან ადგილობრივი ადმინისტრაციის დანიშნული ორგანოებისთვის. ასეთი მოქმედების საჭიროებას ს. ფ. ალდერფერი (პეტერბურგის უნივერსიტეტი, აშშ) იმ გარემოებით ხსნის, რომ „ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მარტოოდენ

ცენტრიდან მართვას“. ასეთი მდგომარეობის მიზეზი, სპეციალისტთა აზრით უფლებულია სამართავ ტერიტორიას და მის მოსახლეობასაც, და ადეკვატურად ვერ გამოხატავს მათს ინტერესებს. გ. ლეიტანის (კოლომბოს უნივერსიტეტი, შრი-ლანკა) აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობა ადეკვატურად გამოხატავს ადგილობრივ ინტერესებს, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. თანაც მას მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული მთავრობასა და სამართავ ტერიტორიებს შორის, ქვემო ღონიშვი ამზადებს პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც მომავალში შეძლებენ სახელმწიფო სარჩევლზე საქმიანობას.

ამრიგად, მაღალგანვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობა ესმით არა იმდენად როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივა, რამდენადაც ხელისუფლების დაყოფის ობიექტური განხორციელება ვერტიკალურად, რაც უზრუნველყოფს ყველა დონეზე ხელისუფლების ორგანოების ძალისხმევის გონივრულ განაწილებას. ასეთი მიდგომა სამუალებას იძლევა ახალი წახანგი გამოიყოს ადგილობრივი თვითმმართველობის არსები, რომელიც ტრადიციული მიდგომის ფარგლებს სცალდება. ამ მიდგომის ადგილობრივი თვითმმართველობა მარტოოდენ ფაკელტატიური სტრუქტურა იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა სუბიექტური ნების წყალობით და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით არსებობდა. უცხოელი მეცნიერების ზემოხსენებული პოზიცია საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების განხორციელების მექანიზმის კანონზომიერი, ობიექტურად არსებული ნაწილი, ურომლისოდაც, ისევე როგორც ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის მართვა. მაშასადამე, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, კომპეტენციის და სისტემის ფორმირების განსაზღვრაში ყველა დემოკრატიული საწყისის შენარჩუნების პირობებში, ცივილიზებული სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების სახით დაინტერესებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის არსებობით და ყოველნაირად უნდა წახალისოს მისი განვითარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე კონცეფციის ზოგიერთი ასპექტის განხილვისას შეგვიძლია გამოვყოთ ამ ინსტიტუტის ზოგიერთი ატრიბუტულად დამახასიათებელი ნიშან-თვისება:

1. ადგილობრივი თვითმმართველობას ზუსტად განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს მოსახლეობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს და შემდგომში „ადგილობრივ საზოგადოებად“ იწოდება;

2. ადგილობრივი თვითმმართველობა, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ნიშნავს ადგილობრივ საზოგადოებათა უფლებასა და ქმედით უნარს კანონის ფარგლებში კონტროლი გაუწიოს და თავისი პასუხისმგებლობით და მოსახლეობის საკეთილდღეოდ მართოს საზოგადოებრივ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი;

3. ზემოთ მოვანილი განსაზღვრების ბოლო ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა ნაწილი (როგორც ჩანს, არცოუ დიდი) მაინც ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ კანონით დადგენილი ფორმით ჩატარონ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მისი ორგანოების საქმიანობაში;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა უთურ უფლებაა, მაგრამ სახელმწიფომ, ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახით, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას, რომლებიც სტიმულს მისცემენ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის შექმნას, რამდენადაც სახელმწიფოს არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს სტრუქტურები, რომლებიც შეცვლიან შეართველობის ამ დონეს;

5. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების წონასწორობას კანონი უზრუნველყოფს. ამ წილასწორობის უზრუნველყოფის ყველაზე ქმედითი ბერკეტებია ადგილობრივი თვითმმართველობის ხორმატიული და არანორმატული კომპეტუნციის დამკვიდრება, უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმების გონივრული შეხამება, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის დანიშნისა და გადაყენების განსაკუთრებული წესის დამკვიდრება;

6. ადგილობრივ თვითმმართველობას, თვითმმართველობის სხვა ინსტიტუტებისაგან – ხალხის თვითმმართველობისაგან, მოქალაქეთა მუდმივი და დროებითი გაერთიანებებისაგან, ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობაში თვითმმართველობის პრინციპისაგან მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, მათთან მთელი რიგი საერთო ნიშანთვისებები აქვს. ამიტომ შეგვიძლია ადგილობრივ თვითმმართველობაზე ვილაპარაკოთ, როგორც ცივილიზაციული საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის ნაწილზე და როგორც ქვეყანაში ხელისუფლებისა და შეართველობის ორგანიზაციის ერთიანი სტრუქტურის ნაწილზე.

საკონტრლო-საზღადევალო სტატუსის ქონსტიტუციური სტატუსის ზოგიერთი საკითხი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების ძირითადი ეტაპის დასრულებაზე, კომისიის სხდომის ანგარიშების გარდა, მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მას წარედგინა რამდენიმე აღტერნატიული პროექტი, რომელთა ჩაწილი გამოქვეყნდა კიდევ ამ პროექტთა დებულებების განხილვა-შეჯერების და საბოლოო პროექტის შედეგის პროცესი, როგორც ჩანს, კიდევ რამდენიმე ხანს გასტანს. ამდენად, ჯერჯერობით მნელია რამე ითქვას იმის თაობაზე, თუ რა სახით იქნება გამოტანილი კონსტიტუციის პროექტი საზოგადოებრიბის სამსჯელოდ, მაგრამ არსებული პროექტებიდან და სამცნიერო თუ სხვა პუბლიკიციებიდან აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია – კონსტიტუციაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საკითხი გადაწყვეტილი იქნეს ხელისუფლების შტოთა კლასიკური (მონტესკიისეული) მოდელის მიხედვით (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), ამასთან, ამ კონცეფციათა ავტორები არათუ ჯეროვან ანგარიში. უწევნე, არამედ ხშირად ელემენტარული ანალიზისა და არგუმენტირების გარეშე უარყოფებ არსებულ რეალიგბს, თუმცა, როგორც ცნობილია, პრობლემის იგნორირება მისი გადაწყვეტის საშუალება სულაც არ გახლავთ.

საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძვლად სამართლებრივი სახელმწიფოს აღიარებული, მსოფლიო სახელმწიფოთმშენებლობის პრაქტიკაში ფართოდ აპრიბირებული პრინციპის აღებას დღეს სხვა კონივრული აღტერნატივა არ გააჩნია. უდავოა ისიც, რომ „სამართლებრივი სახელმწიფო აუცილებლობით გულისხმობს რამდენიმე კომპონენტს. ესენია: ხელისუფლების დანაწილება, კანონის უზენაესობა და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლი, ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვა“¹.

1. მცირე ისტორიული ექსკურსი. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რომელმაც კლასიკური ფორმით ჩამოყალიბება ჯონ ლოკისა და შარლ მონტესკიეს შრომებში პოვა, საუკუნეთა სილომებიდან მომდინარეობს. ანტიკური ეპოქის მოაზროვნები (სიკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, სიფისტები და სხვ.) კანონს მოიაზრებდნენ სხვადასხვა პოზიციებიდან, რომელთა შორის დომინირებდა უმთავრესი პროგრესული იდეა (დიდხნის „იდეა – ფიქსად“ რომ რჩებოდა კაცობრიობის ისტორიაში) – საზოგადოებასა და სახელმ-

¹ 2. უგრეხელიძე, სასამართლო ხელისუფლება, „მართლშაფულების მაცნე“, 1993, № 3, გვ. 5.

წიფოს უნდა მართავდნენ არა ადამიანები, არამედ კანონები². აქ ცნაურდება სა-
 მართლებრივი სახელმწიფოს მიზანიც: „სახელმწიფო თავისთვის კი არ უნდა
 იყოს სამართლებრივი, არამედ იმისთვის, რომ უზრუნველყოს პიროვნებისა და
 საზოგადოების – სწორედ ახეთი თანმიმდევრობით – კეთილდღეობა და დოკ-
 ლათიანიბა“³. მაგრამ კაცობრიობამ ტანჯვით აღსავს საუკუნეები განვლო.
 ვიდრე ბრძოლის, კომპრომისებისა⁴ და ცდების გზით მიაღწევდა ამ იდეის რე-
 ალიზაციას (თუმცა იღებალური სამართლებრივი სახელმწიფო, ცხადია, დღესაც
 არ არსებობს და, ალბათ, პრაქტიკულად არც შეიძლება არსებობდეს)⁵.

სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც მიზნის მიღწევის გზების ძიე-
 ბის შედეგია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია, რომე-
 ლიც ასევე ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნების პროდუქტია და მისი
 ელემენტები ქართულ სინამდვილეშიც აღრიდანვე შეინიშნება⁶, ოუმცა, სამწუ-
 ხაროდ, ამ იდეის 1921 წლის კონსტიტუციაში დეკლარირების იქით საქმე არ
 წასულა. ასე რომ, სამართლებრივი, პლურალური დემოკრატიის სახელმწიფოს,
 სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოს უახლოესი მომავლი,
 სასიცოცხლო ამოცანად რჩება.

2. საკითხისადმი მიღვომის ზოგადმეთოდოლოგიური წანამძღვრები. 1921
 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებისას, როგორც საკეთია
 სწორად შეინშავს ი. ფუტკარაძე, „სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების
 თეორიას გვერდს ვერ აუვლის საქართველოს რესპუბლიკაც“.⁷ ამიტომ ლოგი-
 კურია მის მიერ აქვე დასმული კითხვაც, თუ როგორი უნდა იყოს კონკრეტუ-
 ლად საქართველოს მიმართება ამ თეორიისადმი. ამ კითხვის პასუხად ავტორი,
 ხაზს უსვამს რა იმას, რომ ეს თეორია „გამოიჩინევა მოქნილობით, ამათუ იმ
 ქვეყანაში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასთან შეგუებით“ და, ამასთან, იგი
 „თავისი წმინდა კლასიკური ფორმით არც ერთ სახელმწიფოში არ არის დამ-
 კიდრებული“, მიუთითებს, რომ „საქართველოსათვის საჭიროა ხელისუფლების
 დანაწილების თეორიის მოდიფიკაცია, მისი ქართული ნაირსახეობის შემუშა-
 ვება, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს ისტორიული წარ-
 სელი და თანამედროვე მდგომარეობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითა-
 დი მიზან-დანიშნულება ეროვნული ასპექტით, ქართველი კაცის ბუნება, შიდა-
 პილიტიკური ვითარება, მეზობელ ქვეყნებთან, და, საერთოდ, უცხოეთთან ურ-
 თიერთობა“ (ხაზგასმა ჩემია. – ი. გ.).

სადაოდ არ ვხდი ხელისუფლების დანაწილების ვითარებაში სამი ძირი-
 თადი, ფუნდამენტური ხელისუფლების – საკანონმდებლო აღმასრულებელ და
 სასამართლო ხელისუფლებათა – პრიმატულობას და მიზნად ვისახავ საკითხის
 დაყენების წესით დავისაბუთო, რომ პოსტსილიალისტურ სახელმწიფოებში, მათ

² См. И. Козлихин. У истоков концепции правового государства: Идея правления законов, а не людей. Вестник С.-Петербургского у-та. 1993. Серия 6, вып. I (№ 6):

³ ნერსესიანცი, სამართლებრივი სახელმწიფო. ისტორია და თანამედროვეობა, უკრ. „სახელმწიფო და სამართლი“, 1990, № 4. და სსვ.

⁴ ალექსანდრე ბლანკენბაგელი, სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებისათვის, უკრ. „სა-
 მართლი“, 1991, № 2.

⁵ ი. ტაბუცაძე, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის შესახებ, „მართლმსაჯულების
 მაცნე“, 1993, № 1.

⁶ ნიშანობლივი ფაქტია: საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი (შემდგომში საკონსტიტუციო
 საბჭოს თავმჯდომარე) რ. ბალინტერი 1981 წელს წერდა: „მე ვოცნებობ იმაზე, რომ საფ-
 რანგეთი გახდეს სამართლებრივი სახელმწიფო“.

⁷ იბ. ი. ფუტკარაძე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელ-
 მწიფო წყობილება, უკრ. „სამართლი“, 1991, № 5.

შორის საქართველოშიც, ახლო წარსულის ტრადიციებიდან და დღევანდელი კულტურის გამოძინარე, არსებობდა, არსებობს და უახლოეს წლებში შენარჩუნებული იქნება კიდეც (სათანადო ძოლერნაზებული, დღევანდელობასთან მისადაგებელი სახით) დამოუკიდებელი საკონტროლო-საზედამხედველო სისტემები (რომლებიც, გარკვეული აზრით, შეიძლება განვიხილოთ ერთიან სახელისუფლებო სისტემად) სპეციალური სტრუქტურების სახით. ეს არათუ ხელყოფს ხელისუფლების ტრადიცის წევრთა შორის დანაწილების პრინციპს, არამედ პირაქით, ხელს შეუწყობს მათს „შეკავება-გაწონასწორებას“ (კლასიკური თეორია მას განსაზღვრავს როგორც „კონტროლისა და წონასწორობის“ სისტემას).

ამ პისტულატებზე დაყრდნობით საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურათა კონსტიტუციური სტატუსის (რაც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო მექანიზმი მათი როლისა და ადგილის დადგენის გულისხმობს) ოპტიმალურად, ქართული სახელმწიფოს დღევანდელი და უახლოესი თვალსაწიერის საიცოცხლო ინტერესთა შესაბამისად, არსებული რეალიების გათვალისწინებით განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმების შემუშავების მიზნით აქ შეძლებისძაგვარად გავაანალიზებ: ა) საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის შესაბამის პრაქტიკას; ბ) 1921 წლის კონსტიტუციას; გ) საქართველოსა და ზოგიერთ სხვა პოსტიურიალისტურ სახელმწიფოში სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონიბის ტრადიციებს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და მისი რღვევის შემდეგ ხელისუფლების (სახელმწიფოს მექანიზმის) მოწესრიგების (მოწყობის) ტენდენციებს გარდამავალ პერიოდში (ცხადია, საჯურნალო წერილის მოცულობის შეზღუდულობის გამო სქემატურობას ვერ აცდება).

3. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა (მოკლე მიმოხილვა). ლოკისა და მონტესკიეს მიერ მონარქებისათვის გათვალისწინებულმა „აღმასრულებელია ხელისუფლებამ“, ცხადია, განვლილ ასწლეულებში თვისებრივად იცვალა სახე. ამიტომ „აღმასრულებელი ხელისუფლების“ ნაცვლად დასავლეთის მკლევარები სულ უფრო ხშირად ხმარობენ ტერმინს „სამთავრობო ხელისუფლება“. ხელისუფლების ტრადიციული ტრადისაგან განსხვავებულ ცალკე ხელისუფლებათ, არსებობაზე ხშირად მიუთითებენ არა მარტო დოქტრინის ლურ განმარტებებში, არამედ ამგვარ ხელისუფლებათა არსებობა საკანონმდებლო ფაქტია. მაგალითად, ნიკარაგუას 1987 წლის და კოლუმბიის 1991 წლის ძირითადი კანონები ლაპარაკობენ საგანგებო საარჩევნო ხელისუფლებაზე. ლეფირის, გვინეის, კონგოს, ზაირის კონსტიტუციები თუ ოფიციალური დოქტრინები მოიხსენიებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომელიც მმართველ პარტიას ეკუთვნის. მიმოქვევაშია ტერმინი „დამფუძნებელი ხელისუფლება“.

საკონტროლო ხელისუფლების ჩანასახები მომდინარეობს ჯერ კიდევ გასული საუკუნეების სკანდინავიის ქვეყნებში არსებული ობიექტების ინსტიტუტიდან. უნივერსალური კონტროლის ფრექვინის მქონე ამგვარ ორგანოს ახლაც ითვალისწინებს, მაგალითად, ნამიბიას 1990 წლის კონსტიტუცია. ანალოგიურ ორგანოებს თუ თანამდებობის პირ და დორის (1984 წ.), კოლუმბიის (1991 წ.) და პერუს (1979 წ.) კონსტიტუციები უწოდებენ „გენერალურ კონტროლორს“, ესპანეთის კონსტიტუციური კანონმდებლობა – „სახალხო დამცველს“, ბანგლადეშის 1972 წლის კონსტიტუცია – „გენერალურ უფიციონს“, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუცია – „საანგარიშო პალატას“ (მიუთითებენ აგრეთვე ამ სახელმწიფოში არსებულ საკონსტიტუციო ზედამხედველობის არასასამართლო საგანგებო ორგანოზე – საკონსტიტუციო საბჭოზე) და ა. შ.⁷

⁷ უფრო დეტალურად ამ საკონსტიტუციის განხილვის ცალ მოცემულია ვ. ჩირკინის სტატიაში. (უკრ. „გოსუდარსტვო ი პრაგო“, 1993, № 4). სამწუხაროდ, აფტორი მეტად აფართოებს რა

რაც შეეხება კანონიერების დაცვა-შესრულებაზე, კანონების ერთგვაროვნის გამოყენებაზე უნივერსალური ზედამხედველობის საგანგებო ორგანოს – პროკურატურას⁸, ივი ამგვარი სახით (ცხადია, მეტ-ნაკლები მასშტაბის უფლებამოსი-ლებით) ფუნქციონს არა მარტო ყოფილი სსრკ-ს და დასავლეთ ეკრობის პოსტ-სოციალისტურ სახელმწიფოებში (რუსეთი, უკრაინა, შუა აზიის სახელმწიფოები, სლოვაკეთი, ჩეხეთი და სხვ.), არამედ ჩინეთში, ვიეტნამში და სხვა., ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში (საფრანგეთი, ესპანეთი, კოლუმბია და სხვ.).) პროკურატურას აქვს საჯარო სამინისტროს ფორმა. მაგალითად, კოლუმბიის კონსტიტუციით (მუხ. 287-ე) საჯარო სამინისტროს ხელმძღვანელობს სენატის მიერ 4 წლით არჩეული გენერალური პროკურორი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კონსტიტუციის, კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებათა და ადმინისტრაციის აქტების შესრულებაზე, აგრეთვე ადმინისტრაციულ ფუნქციათა შესრულების ეფექტიანობაზე (საჯარო სამინისტროში შედის აგრეთვე ე.წ. „სახალხო დამცველი“), რომელიც ექვემდებარება გენერალურ პროკურორს).

ამ ქვეყნების (რომელთა უმრავლესობა სახელმწიფოებრიობის განვითარების დონით, ეჭვს გარეშეა, საქართველოზე მაღლა დგას) გამოცდილების ინიცირება და მექანიკურად ორიენტირება მხოლოდ ელიტარული კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობებით გათვალისწინებულ ინსტიტუტებზე, ტრადიციული ტრიადის გაფეტაშება, ჩემი აზრით, თავისებური „იურიდიული კოლეგიანტარიზმის“ გამოვლინება უფრო იქნებოდა, რაც ამ ეტაპზე სასიკეთოდ სულაც ვერ წაადგება უმბიძეს პირობებში ძყოფ ქვეყნას, სადაც კანონის დარღვევა-იგნორირება დამის ცხოვრების ნორმად არის ქცეული. ამ დებულების ჭეშმარიტებაზე მეტყველებს საქართველოს ბოლოდროინდელი გამოცდილებაც – სამართალდამცავი და საკონტროლო სტრუქტურების მოშლა-ნიველირებამ, მათი ფუნქციების შეზღუდვამ აშკარად შეუწყო ხელი დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევების ბუმს, ხოლო ამ სტრუქტურათა განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს გარკვეული დადებითი ძვრები მოჰყვა⁹.

საკონტროლო ხელისუფლების ცენტრის მასში გულისხმობს აგრეთვე საპროცესურო ზედამხედველობასაც (რომელიც კანონიერებაზე ზედამხედველობის საგანგებო ორგანოს – პროცესურორის ფუნქცია და არა საკონტროლოსი) და კონსტიტუციურ სასამართლოსაც, რომელიც, საერთო აღმართობით, სასამართლო ხელისუფლების სპეციალური შემადგენელი ნაწილია. „კონტროლის“ და „ზედამხედვლობის“ ცენტრისათვის გამიზვა ცალკე მსჯელობას მოითხოვს და მასზე აქ ვერ შევჩერდებით.

⁸ არასასამართლო ორგანოები — კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი (საბჭოები) იქმნებოდა სწორედ კონსტიტუციური კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად და იგი, ცხადია, ვერ კანაორგანებულებდა ზედამხედველობას მთელ კანონმდებლობაზე. რომელაც მოიცავს აგრეთვე არაკონსტიტუციურ კანონებს და კანონქვემდებარე ნორმატურულ აქტებს. მითუმეტეს, ზედამხედველობის გარეშე ჩემბოლა არანორმატული (ინდივიდუალური) სამართლებრივი აქტების უზრამაშარი მასა. კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი პოსტკომინისტურ სახელმწიფოებში (რუსეთის ფედერაციაში იგი ფუნქციონირდა 1990-1991 წლებში) თანდათან შეიცვალა სასამართლო ორგანოებით — კონსტიტუციური სასამართლოებით, ხოლო პროცესურატურა დარჩა კანონიერებაზე ზედამხედველობის საგნებობო მოვალეობა.

⁹ ბოლო წლებში კონტროლის ორგანოები (კონტროლის პალატა, საგადასახადო ინსპექცია და სხვ.), განიცდიდნენ რა გამოდმებულ რეორგანიზაციებს. ფაქტობრივად უკანასკნელ პერიოდშილა ჩამოყალიბდნენ ორგანიზაციულ-სამართლებრივად; გაუქმდა და შემდგომში კვლავ აღსადგენი გახდა შეს სახელმწიფო საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის სამსახური (ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამსახურის სახელმწიფო), არალეგიტიმური ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1992 წლის 11 ივნისს მიღებული, მაგრამ დღემდე მოქმედი „დროებითი“ საკონსტიტუციო აქტის — „საქართველოს რესპუბლიკის პროცესურატურის დროებითი დებულების“ — მე-14 მუხლი პროცესურების შემოწმების ჩატარების უფლებას აძ-

4. საკონტროლო-საზედამხედველო სისტემა 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით. აღნიშნული კონსტიტუცია კანონიერებაზე ზედამხედველ საგანგებო ორგანოს (როგორიც 1922 წელს დაფუძნებული პროგურატურა გახდა თანდათანიბით) არ იცნობდა. ამ გარემოებას, სხვა ხელოვნურ არგუმენტებთან ერთად, ხშირად იყენებენ იმის დასასაბუთებლად, რომ პროგურატურა, როგორც „ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი საყრდენი“ (თითქოს ხელისუფლების ნებისმიერი შტო მაშინ ამგვარი არ იყო!) კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ან საერთოდ არ უნდა იყოს გათვალისწინებული, ან იგი უნდა აყოს სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი (ასეა, მაგალითად, გადაწყვეტილი ეს საკითხი „რესპუბლიკელთა“ მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ ზემოხსენებულ პროექტში, კერძოდ, 153-155-ე მუხლებში), ან კადევ ფუნქციონლეს მმართველობის ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში¹⁰. ამგვარი არგუმენტი, ვფიქრობ, სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს, რადგან ამ ლოგიკით „კანონგარეშე“ აღმოჩნდება დღეს რეალურად არსებული მრავალი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტი, დაწყებული სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობიდან. ცნობილია, რომ კონსტიტუცია მისი მიღებისას არსებულ რეალიებს ასახავს და, ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის (სამწუხაროდ, ისტორიული უკუღმართობის გამო მკვდრადშებილის) „პრიკრუსტეს სარეცელზე“ მისი ახალი რედაქცია ვერანაირად ვერ დაეტვა.

კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი „თვალ-ყურის დევნა“ (ე. ი. ზედამხედველობა) ევალებოდა რესპუბლიკის მთავრობას, ისევე როგორც მათი აღსრულება, ამასთან, ამ საქმიანობაზე „საერთო კონტროლს“ ახორციელებდა პარლამენტი (მუხ. 54). კანონის დაცვისადმი (კონსტიტუცია აქ უკვე არ ფიგურირებს) თვალ-ყურის დევნება დავალებული პქონდა აგრეთვე უძალეს სასამართლოს – სენატს (მუხ. 76). 103-ე მუხლში მითითებულია, რომ „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებული არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ“.

სხვადასხვა თავებში გაბნეული ამ ნირშების გარდა, კონსტიტუციაში ცალკეა შეტანილი, ჩემი აზრით, ფრიად საინტერესო მე-8 თავი, რომელსაც ეწოდება „სახელმწიფო კონტროლი“. მასში მითითებულია, რომ „სახელმწიფო კონტროლს იქმნებარება: ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება; ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი; გ) მთავრობის და სხვა უწყებების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში და დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები კანონის თანახმად“ (მუხ. 91). შემდეგ წერია, რომ „სახელმწიფო კონტროლით ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს

ლუდი მხოლოდ სამართლდარღვევათ შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში, რაც ვერ უზრუნველყოფდა სატრუქტორო ზედამხედველობის აქტიურობასა და ეფექტუანობას. ამ სკიოთხე დაწერილებით საუბარია პუბლიკაციაში: „როგორი პორტურორი გვჭირდება: კანონიერებისათვის აქტიური მებრძოლით თუ პასური მეთვალისური?“ — (იხ. გზ. „უწყებანი“, 20:03. 1993 წ.). ნიშანდაბლივია, რომ სახელმწიფოს მეთაურის ამასწინანდებლა ბრძანებულებაზ დამნაშავეობასთან ბრძოლის გადაუდებელი ლონისძიებების შესახებ“ მნიშვნელოვნად გააფართოვა როგორც პროგურატურის მეორ შემოქმედების ჩატარების საფუძველთა წრე. ისე მისი საკონტროლით და სხვა ფუნქციები (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.07.1994 წ.).

¹⁰ იხ., მაგალითად, ვ. გომელი, რამდენი ხელისუფლება გვჭირდება? კურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 11.

პარლამენტს“ (მუხ. 92). ამ თავის ბოლო (93-ე) მუხლი კი შეიცავს მითითების წესი ნორმს იმის თაობაზე, რომ „კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით“, სამწუხაროდ, კონსტიტუციის ძილებიდან (1921 წ. 1 ივნის დღიდან) 5 დღეშა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გაშორების განონი მიღებული არ ყოფილა, ამიტომ ამ საგანგებო საკონტროლო ორგანიზის შემთხვევაში მიმართ მხილოდ ის შეიძლება ითქვას, რომ იგი ხელისუფლების ფუნდამენტურ (ძირითად) შტოთაგან არცერთში არ შედის, ე. ი. წარმოადგენს კონსტიტუციებს („არაფუნდამენტურ“, „არაძირითად“) შტოს – საკონტროლო ხელისუფლებას, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მსოფლიოს მრავალ სახელმწიფო არსებობდა და არსებობს ამგვარი დამოუკიდებელი სისტემის სახით (ის გარემოება, რომ მას კონსტიტუცია „ხელისუფლებას“ არ უწოდებს, საქმის არსებობის გარემოებას, რომ მას კონსტიტუცია „ხელისუფლებას“ არ უწოდებს, საქმის არსებობის გარემოებას – ამგვარ დეფინიციას იგი არც პარლამენტის მიმართ იყენებს და არც სასამართლოსა)“¹¹.

5. საკონტროლო-საზედამშედველო სტრუქტურები ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოებში (ძოკლე დახასიათება). ე. წ. „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობა და სახელმწიფოს მექანიზმის მოწყობა-უსნებიობის პრაქტიკა პრინციპულ განსხვავებებს არ შეიცავდა, რადგან აგებული იყო არსებითად ერთიდამავე კონცეფტუალურ საფუძველზე, რომელიც ხელისუფლების დანაწილების თეორიას ბურჟუაზიულად (ე. ი. მიუღებლად) მიიჩნევდა და იცავდა ერთიანი, განუყოფელი „სახალხო“ (არსებითად კი პარტიულ-სამეურნეო ბიუროკრატიის) ხელისუფლების პრინციპს. საბჭოურ სინამდვილეში, განსაკუთრებულ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თანდათან ჩამოყალიბდა კონტროლის („პარტიულ-სახელმწიფო“, „სახალხო“, „სახელმწიფო“) და კანონიერებაზე უმაღლესი ზედამხედველობის (ერთაანი, ცენტრალიზებული საკუთრიო პროკურატურის სახით) საგანგებო სტრუქტურები, რომელთაც უკვე ცალკე სისტემად (სამ ტრადიციულთან ერთად) გამოყოფილების საზედამშედველო ან საკონტროლო-საზედამშედველო ორგანოების სახელმწიფოებით, რომელთა შორის პროკურატურა პირველ რიგში მოიხსენიებოდა. მაგალითად, 1982 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „სახელმწიფოს ფუნქციებს განხორციელების ფორმის მიხედვით ყველა სახელმწიფო ორგანო შეიძლება დაიყოს სამართალშემოქმედებით, აღმასრულებელ-განგარგულებელ, საზედამხედველო და სასამართლო ორგანოებად“¹². როგორც ვხედავთ, აქ საზედამშედველო ორგანოები მოიხსენიებულია სასამართლო ორგანოების წინ (რაც, ცხადია, არსებითად იმდროინდელი ძენტალიტეტის გამოძახილია, დღევანდელობის პოზიციებიდან კი – მიუღებელი). ცოტა ქვემოთ კი, საზედამშედველო ორგანოების ნაცვლად უკვე ლაპარაკია საკონტროლო-საზედამშედველო ორგანოებზე, რომელთაც ავტორი მიაკუთვნებს „პროკურატურის, საუწყებო და სახალხო კონტროლის ტუპის ორგანოებს“, რომლებიც ახორციელებენ კონტროლსა და ზედამხედველობას სამართლის ნორმების სწორად რეალიზაციაზე“¹³. საუწყების შემუშავების პერიოდში მოღვაწე მცენიერ-იურისტის კონსტანტინე მიქელაძის მონოგრაფია „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“, რომლის მე-4 თავში „კონსტიტუცია და მისი გარენტირება“, ვტორი კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის უზრუნველყოს საზუალებად მიიჩნევს „დამოუკიდებელი და განკურძობელი“ სახელმწიფო კონტროლის (კონტროლიორის) მოღვაწეობას, კერძოდ. საკონსტიტუციო მიერ მისი არჩევა და მთავრობისაგან დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს მის ამგვარ სტატუსს (იხ. უზრნ. „სამართალი“, 1991, № 3—4).

¹¹ ამ საკონსტანტ დაკავშირებით ფრიად საინტერესოა კონსტიტუციის შემუშავების პერიოდში მოღვაწე მცენიერ-იურისტის კონსტანტინე მიქელაძის მონოგრაფია „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“, რომლის მე-4 თავში „კონსტიტუცია და მისი გარენტირება“, ვტორი კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის უზრუნველყოს საზუალებად მიიჩნევს „დამოუკიდებელი და განკურძობელი“ სახელმწიფო კონტროლის (კონტროლიორის) მოღვაწეობას, კერძოდ. საკონსტიტუციო მიერ მისი არჩევა და მთავრობისაგან დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს მის ამგვარ სტატუსს (იხ. უზრნ. „სამართალი“, 1991, № 3—4).

¹² «Теория государства и права» (коллектив авторов). Ленинград, 1982.

стр. 191.

¹³ ექვ. გვ. 191—192.

ბო კონტროლი და ზედამხედველობა აქ, როგორც ვხედავთ, ერთ სიბრტყეში განხილული ზეუწყებრივ (არასაუწყებო, საუწყებათაშორისო) კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოებთან, რაც, ჩემი აზრით, მრავალმხრივ უსწორო და მიუღებელია, რადგან ამ წერილში მითითებულ საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურებში, რომელთა კონსტიტუციურ სტატუსზეც არის საუბარი, იგულისხმება არა შიდასაუწყებო, ან კიდევ საუწყებათაშორისო (არასაუწყებო) კონტროლის ფუნქციის მქონე ორგანოები, თუნდაც ისინი ე. წ. ფუნქციურ საკონტროლო ორგანოებს (ე. ი. ორგანოებს, რომელთავისაც კონტროლის განხორციელება არ ხებითად ერთადერთი ფუნქცია) წარმოადგენდნენ, არამედ მხედველობაშია მმართველობის სისტემისან დამოუკიდებელი, სახელმწიფოს მექანიზმში განკერძოებული ადგილის მქონე (თავიანთი შექმნის წესის, დაქვემდებარების, უფლებამოსილების, მისი განხორციელების მექანიზმისა და სხვა ფუნდამენტური პრინციპების მიხედვთ) საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურები. ამგვარ სტრუქტურებს სსრკ-ს ბოლო კონსტიტუციით (რესუბლიკათა კიონსტიტუციები ფაქტობრივად მხოლოდ იმეორებდნენ მის ძირითად დებულებებს) მიეკუთვნებოდა პროკურატურა – კანონების ზესტად და ერთგვაროვნად შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის საგანგებო, ცენტრალიზებული ორგანო, რომელსაც დათმობილი ჰქონდა ცალკე (21-ე) თავი. რაც შეეხება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს და სახალხო კონტროლის კომიტეტის თრგანოებს, ისინი შეტანილი იყო მე-15 თავში „სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრკ-ს უმაღლესი საბჭო“ (125-ე და 126-ე მუხლები) და მოიაზრებოდა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საზედამხედველო-საკონტროლო უფლებამოსილებათა განმახორციელებელი საგანგებო ორგანოები (შემდგომში, როგორც აღინიშნა, კონსტიტუციური ზედამხედველობის ფუნქცია სსრკ-ს კოფილ რესუბლიკებში დაეკისრა საგანგებო სასამართლო ორგანოს – კონსტიტუციურ სასამართლოს. ამგვარი პოზიციის მართებულობაზე და ქართულ სინამდვილეში მისი დანერგვის მიზანშეწონილობაზე საკითხოვა არ გუმენტირებულად მიუთითებენ ქართველი მეცნიერებიც¹⁴⁾.

6. საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურები პოსტოციალისტურ სახელმწიფოებში (მოკლე მიმოხილვა). ტოტალიტარული რეჟიმის დამხობისა და საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილ, „დე-იურე“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პირველ ნაბიჯებს თან სდევდა არსებული სახელისუფლებო (მათ შორის სამართალდამცავი და საკონტროლო) სტრუქტურების სწრაფი, „რევოლუციური“ რღვევის პროცესი, რამაც ისინი ჩქარა მიიყვანა სავალალო შედეგებამდე, ეკონომიკის სტაგნაციიდან დაწყებული, სამართალდარღვევათა ტოტალურად გავრცელებითა და საყოველთაო სამართლებრივი ნიკილიზმით დამთავრებული. ამ პროცესმა აიძულა ეს სახელმწიფოები – ზღვარგადასული უკონტროლობის აღკვეთის მიზნით სასწრაფოდ მიეღოთ რადიკალური ზომები, მათ შორის საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურების რეანიმაცია-მოდერნიზაციის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საპროკურორო სისტემის განმტკიცებას. მაგალითად, უკრაინისა და ყაზახეთის კონსტიტუციებმა და სპეციალურმა კანონებმა პროკურატურის შესახებ არათუ აღუდგინეს მას „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ 1977 წლის კანონით გათვალისწინებული სტატუსი, როგორც კანონიერებაზე უმაღლესი ზედამხედველობის ორგა-

¹⁴⁾ მ. მაგალითად, თ. ლილუშვილი. სასამართლო რეფორმის კონცეფცია. უურნ. „სამართალი“, 1993, № 1–2; ლ. განტურია, აღმიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია, უურნ. „სამართალი“, 1993, № 5–6.

ნოს, არამედ გენერალური პროკურორები მინისტრთა კაბინეტის აქტებისა ქვეყნის კანონიერებაზე ზედამხედველობის უფლებითაც კი აღჭურვეს. და ეს მაშინ, როცა ამ სახელმწიფოებში ფუნქციონირებს კონსტიტუციური სასამართლოები.

უფრო რთულად წარიმართა ანალიგიური პროცესები საქართველოში, სადაც პროკურატურა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დღემდე უფრო ციონის კონსტიტუციური სტატუსის და შესაბამისი კანონის გარეშე – მეტად არასრულყოფილი „დროებითი დაბულების“ საფუძველზე.

მართალია, „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ 1992 წლის 6 ნოემბრის კანონში, რომელსაც ახალი კონსტიტუციის მიღებამდე კონსტიტუციურა კანონმდებლობის ფუნქციის შესრულება ეკისრება (იხ. პრეამბულა), კერძოდ, მის VIII თავში („სასამართლო ხელისუფლება“) პროკურატურას მოიხსენიებს 33-ე მუხლი, მაგრამ იგი მხოლოდ მითითებით ნორმას შეიცავს იმის შესახებ, რომ „რესპუბლიკის პროკურატურისა და სხვა სამართლდამცავი ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით“.

რაც შეეხება კონტროლის პალატას, მთებედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კანონი მას არ ითვალისწინებს (მასში ლაპარაკია პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის საერთო-საკონტროლო ფუნქციებზე). მისი უფლებამოსილებანი სადღეისოდ საკმაოდ დეტალურად არის რეგლამენტირებული 1993 წლის 13 აპრილის კანონში „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“. ამ კანონმა კონტროლის პალატა გამოიცხადა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ „საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო კონტროლის უმაღლეს დამოუკიდებელ ორგანოდ“, რომელიც, აღიარებს რა უმაღლესი საკონტროლო ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებისა და სხვა ფუძემდებლური დოკუმენტების ძირითად პრინციპებს, ემსახურება „ეროვნული სიმძიდრისა და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს, შეისწავლის და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებასა და ეფექტურობას“ (მუხ. 1). იგი აღჭურვილია უფლებით – გააკონტროლოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მიზნობრიობა, კანონიერება და ეფექტურობა არათუ მმართველობის სისტემაში (მინისტრთა კაბინეტის ჩათვლით), არამედ პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურის აპარატებშიც კი (მუხ. 2).

კანონის ამ დებულებებიდან აშკარაა, რომ, საქმე გვაქვს დამოუკიდებელ საკონტროლო ხელისუფლებასთან. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გარკვეულწილად რეალიზებულია 1921 წლის კონსტიტუციის მემკვიდრეობითობა, მაგრამ, ამასთან, ყურადსაღებია იურიდიულ პრიოლიკაში გამოთქმული აზრი, რომ კონტროლი უფრო ფართო ცნებაა, რის გამოც უახლოეს ხანებში მისაღებია კანონისა სახელმწიფო კონტროლის შესახებ, რომელიც შეაკავშირებს სახელმწიფო კონტროლის სუბიექტებს და უზრუნველყოფს მათს სისტემურ ჩამოყალიბებას¹⁵. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისტემური მიღვომის მეთოდი ახლებურად უნდა იქნეს გამოყენებული საპროკურორო სისტემის მიმართაც. სისტემური მიღვომის, შედარებითი კვლევის მეთოდიკის გამოყენებით უნდა იქნეს შესწავ-

¹⁵ იხ. თ. მელქაძე, კონტროლის თემა საქართველოს კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „სამართლი“, 1993 № 11—12.

ლილი საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურები (სისტემები), მათი ფუნქციების ქციების (კომპეტენციათა) მკვეთრად გამიჯვნის კრიტერიუმების, სხვა სახელი-სუფლებო სტრუქტურებთან ძალისხმევის გაერთიანების (გონივრული კოორდინაციის) ეფექტიანი ფორმების დადგენის, სისტემათა შიგნით ურთიერთქმედების ოპტიმალური მეთოდების შემუშავების მიზნით. საკითხისაღმი ამგვარი მიღობის საჭიროება განპირობებულია ამჟამად მეტად გამძაფრებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, რომელთა შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანია მოშლილი მართლწესრიგის აღდგენა და კანონიერების რეჟიმის დამყარება. ამ გამაერთიანებელი, სახიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ამასთან, ურთულესი ამოცანების დაძლევა კი საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურებს შეეძლებათ მხოლოდ მაშინ, თუ ახალი კონსტიტუციით მათ მიენიჭებათ ჯეროვანი სტატუსი, რაც დეტალიზებული იქნება მიმდინარე კანონმდებლობით.

II განვითარების განაკვეთი

საქართველოს რესპუბლიკას პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამსართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმის სახლმწიფო კომისიის წევრი.

ზარ ჯიჯოლავა

ხელისუფლების დაცვილების მუზეუმის და საქართველოს რეპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია

სახელმწიფო მექანიზმისა და სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ძირული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა და მისი სამართლებრივი რეგულირება ბევრადაც დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მიუღებით ხელისუფლების დანაწილების თეორიას.

ხელისუფლების დანაწილების თეორია საუკუნეთა სიღრმიდან იდებს სათავეს, იგი თანდათან მწყობრ თეორიად ყალიბდება და კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ცხადდება, რაც ასახა კიდეც საფრანგეთის დიდი რევოლუციის კონსტიტუციურ და სხვა აქტებში.

ხელისუფლების დანაწილების, კერძოდ, სახელმწიფო ორგანოთა და მთავრუნების გამიჯვნის იდეა ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოზროვნებმა (პლატონი, არისტოტელე, პლიობიოსი და სხვ.) გამოიქვეს, თუმცა, გაზვალებული იქნება იმის თქმა, რომ ისინი უკვე დეტალურად ამუშავებდნენ მეცნიერებას ხელისუფლების დანაწილების შესახებ. იმ დროისათვის მსჯელობდნენ მონათმფლობელთა გარკვეულ ფენებში შრომის დანაწილების, განსხვავებული სახელმწიფო ორგანოების არსებობის აუცილებლობაზე, მათ შემადგენლობაზე, ამოცანებზე, ფუნქციებზე და მათ უფლებების განსაზღვრაზე.

პლატონის აზრით, საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო მექანიზმის საქმიანობა ეყვარებოდეს შრომის განაწილების პრინციპს. ის ამტკიცებდა, რომ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფო საქმიანობის დანაწილება ძირითადი მიმართულებების მიხედვით. იგი განიხილა სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს და ერთმანეთისაგან აშკარად გამოყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამასთანავე, საჭიროდ მიაჩნია ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ხელისუფლების გამგებლობაში შემავალ საკითხთა ზუსტი განსაზღვრა.

პლატონის ეს მოძღვრება განავითარა არისტოტელემ, რომელიც სახელმწიფოს საქმიანობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის დანაწილებას. შრომის დანაწილების პრინციპის სახელმწიფო საქმიანობაზე გავრცელებით და მათ წინაშე მდგომი ამოცანების მიხედვით არისტოტელე გამოყოფს სახელმწიფო წყობილების სამ ძირითად ელემენტს, რომელთა გათვალისწინებითაც ყოველი ქვეყნის კონსტიტუციამ პასუხი უნდა გასცეს სამ კითხვას: 1. რომელმა ორგანოებმა უნდა ითათბირონ საკანონმდებლო საქმიანობის განსახორციელებლად; 2. რომელმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ სამთავრობო (ადმინისტრაციული) საქმიანობა; 3. რომელ ორგანოებს შეიძლება მივანდოთ მართლმსაჯულების განხორციელება. ამგვარად, არისტოტელეს აზრით, საზოგადოებაში

სახელმწიფო ხელისუფლების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია შექმდევი ორგანოები: საკანონმდებლო, სამთავრობო (აღმინისტრაციული) და სასამართლო. იგულისხმება, რომ თითოეული ორგანო ახორციელებს ცალკეულ ხელისუფლებას, სახელდობრ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შემდგომ განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ჯონ ლოკს. ლოკის აზრით, ხალხი ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანების ძირითადი მიზანი საკუთრების და უფლებების დაცვა იყო. ამიტომ ხალხი, სახელმწიფოს შექმნასთან ერთად, უმაღლესი ხელისუფლების სახით ქმნის საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ხალხის მიერ და მის მიერ მიღებული კანონი არის წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელი და მარადიული. მისი აზრით, სახელმწიფოში არსებობს ერთი ხელისუფლება — საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგრამ გასაოვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოქმედ კანონს აუცილებლად სჭირდება აღსრულება ან აღსრულებაზე სისტემატური თვალყურის დევნება. ამიტომ, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ხელისუფლება, რომლის მიზანიც იქნება კანონების აღსრულება, უ. ი. აღმასრულებელი ხელისუფლება. ამგვარად, ხდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დანაწილება. კ. ლოკი უპირატესობას ანიჭებდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, მაგრამ საჭიროდ მიჩნევდა მის თანამდებობობას და მჭიდრო ურთიერთობას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, კ. ლოკი მას დამოკიდებელ ხელისუფლებად არ ცნობდა.

ფრანგმა ისტორიკოსმა და ფალოსოფოსმა პ. მონტესკიემ, წინამორბედთა იდეებზე დაყრდნობით, შექმნა ხელისუფლების დანაწილების თეორიის კლასიკური ვარიანტი. მას მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია მონარქია, ხოლო მონარქიის დეპარტიზმში გადაზრდის თავიდან აცილებისა და პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად — ხელისუფლების დანაწილება. ხელისუფლების დანაწილებაში ხალხს პოლიტიკური თავისუფლება უნდა მოუტანის. მონტესკიე აღნიშნავს, რომ ყოველ სახელმწიფოში არის სამი სახის ხელისუფლება: საკანონმდებლო ხელისუფლება, საერთაშორისო სამართლის საკითხების გამგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება და სამოქალაქი სამართლის საკითხების გამგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება.

პირველი ხელისუფლების ძალით ხელმწიფე ან დაწესებულება ქმნის დროებით. ან მუდმივი კანონებს და ცვლილებები შეაქვს ან აუქმებს მოქმედ კანონებს. მეორე ხელისუფლების ძალით ის აცხადებს ომს ან დებს ზავს; აგზავნის ან დებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, თავიდან იცილებს შემოსუვებს. მესამე ხელისუფლების ძალით ის გმირს დააშაულს და წყვეტს კერძო პირთა შეჯახებებს. უკანასკნელ ხელისუფლებას შეიძლება ვუწოდოთ სასამართლო, მეორეს კი, უბრალოდ, სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

მონტესკიეს აზრით, პირველების პილიტიკური თავისუფლების დასამკიდრებლად სწორად მოწყობილ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. სწავლული ხაზს უსვამდა, რომ მათი ხებისმიერი გაერთიანება ერთი ორგანის ან პირის ხელში აუცილებლად მიგვიყვანს საერთო ინტერესების დავიწყებამდე, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებამდე და ეს შეუთავსებელია პიროვნების თავისუფლებასთან.

მონტესკიეს აზრით, ნორმალურ სახელმწიფოში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. ამ მიზნის მისაღწევა არ არის საკ-

მარისი მარტო ხელისუფლების დანაწილება: ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა რომ არ იყოს, საჭიროა წყობა, რომლის დროსაც სხვადასხვა ხელისუფლება მოახერხებს ურთიერთ შეკავებას. შესაძლებელია ხელისუფლების ისეთი წყობა, რომლის დროსაც არავის დააძალებენ აკეთოს ის, რასაც არ ავალებს კანონი და არ გააკეთოს ის, რის ნებასაც აძლევს კანონი.

მონტესკიე გვთავაზობს სხვადასხვა ხელისუფლების ურთიერთშეკავების, განხორციელების შემდეგ გზებს:

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მთელ ხალხს. მაგრამ რამდენადაც მთელ ხალხს უშუალოდ არ შეუძლია ხელისუფლების განხორციელება, იგი უნდა შესრულდეს ხალხის წარმომადგენლების მეშვეობით. დეპუტატები, რამდენადაც ისინი არჩეულია ხალხის მიერ, უნდა ემორჩილებოდნენ და ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ მათ წინაშე.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მონარქს, რადგან მმართველობის ეს ფორმა ჩბირად ითხოვს სწრაფ მოქმედებას და ამიტომ ერთისათვის უფრო ადვილი შესაძლებელია, ვიდრე ბევრისათვის. ამასთანავე, აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს საკანონმდებლო კრების მოწვევის ვადების და მისი მუშაობის ხანგრძლივობის განსაზღვრა. ე. ი. აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს უფლება შეწყვიტოს საკანონმდებლო კრების საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო ხელისუფლებას ეძლევა შესაძლებლობა მიითვისოს ნებისმიერი ხელისუფლება, რომელსაც იგი მოისურვებს. სამაგიეროდ, საკანონმდებლო ხელისუფლებას უფლება აქვს დასვას საკითხი, თუ როგორ სრულდება მათ მიერ მიღებული კანონები აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ეს კი იძლევა ამ ორი ხელისუფლების ურთიერთ „შეკავება-გაწონასწორების“ პრინციპის განხორციელების საშუალებას.

გ) მონტესკიეს აზრით, სასამართლო ხელისუფლება „გარკვეული გაგებით სულაც არ არის ხელისუფლება“. ამით მონტესკიეს იმის თქმა უნდა, რომ სასამართლო ხელისუფლება თავისი ხასიათით მიეკუთვნება აღმასრულებელ ხელისუფლებას და ბუნებრივია ორივე ხელისუფლება უნდა განახორციელოს ერთმა და იმავე პირმა, კერძოდ, მონარქმა, მაგრამ არა თვითონ უშუალოდ, არამედ მისმა დანიშნულმა პირმა.

როგორც პროფ. ვ. აბაშმაძე აღნიშნავს, მონტესკიემ ხელისუფლების დანაწილება გამოაცხადა სახელმწიფო წყობილების პრინციპად, რომელსაც უნდა უზრუნველყო ხალხის პოლიტიკური თავისუფლება საზოგადოებაში. მან, მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, პირველმა მიიჩნია, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ ნიშნავს მის უბრალო დანაწილებას საკანონმდებლო აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, არამედ ხელისუფლების დანაწილებას, ურთიერთ შეკავებას და გაერთიანებას.

XVIII—XIX საუკუნეების რუსული პოლიტიკური აზრისათვის დამახასიათებელი იყო ძალიან ფრთხილი ან კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების დანაწილების დოქტრინისადმი. ეს რუსული ბურჯუაზიის სისუსტით აიხსნებოდა, რომელსაც ჯერ არ შეეძლო აზნაურობასთან ერთად ხელისუფლების დანაწილების პრეტენზია ჰქონდა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზებულად გამოსულიყო.

რაც შეეხება საქართველოს, ძნელია იმის თქმა, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოქმედებდა, მაგრამ გარკვეულწილად ასეთი რამ მაინც არსებობდა. მეფის ფუნქციაში ძირითადად სახელმწიფოს მმართველობა შედოდა, როლო რაც შეეხება საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციებს, მის გან-

ხორციელებაში მეფის დამოუკიდებელი მოქმედება სხვადასხვა ხასიათის ინსტიტუტებით იყო შეზღუდული. მხედვებლიბაში კვაქეს, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული სასამართლო დაწესებულება — სააჯო კარი XIIII საუკუნეში ჩამოყალიბებული „სავაზირო“, რომელიც ფაქტობრივად აღმასრულებელი ორგანო იყო და სხვ. პროფ. ვ. აბაშმაძე ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ხელისუფლების დანაწილების იდეა, არისტოტელეს ზეგავლენით გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში. ამის დამადასტურებლად, ჩვენი აზრით, სრულად სამართლიანად მოჰყვას თამარ მეფის მეჭურჭლეოუჩუცესის ანუ ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით შექმნილი პოლიტიკური დასის მოთხოვნა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების — „გარაკას“ დაარსების შესახებ, რომელსაც უნდა მიეკუთვნებოდა მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება. მართალია, პოლიტიკური დასის დამარცხებით „გარაკას“ შექმნის საქმე ჩაიშალა, მაგრამ მისი დაარსების მოთხოვნა მიგვაჩნია წინ გადადგმულ ნაბიჯად ხელისუფლების დანაწილების თეორიის განვითარების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების დანაწილების იდეას, როგორც ბურუუაზიულ-პოლიტიკურ დოქტრინას, საბჭოთა იურისტები ნაკლებად ეხებოდნენ. ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ამ საკითხზე ობიექტური აზრის გამოთქმა აკრძალული იყო, შეიძლებოდა მხოლოდ მისი კრიტიკა. ბოლო დროს ამ საკითხს შეეხენ ბ. ლაზარევი და ა. ბარნაშვილი. მართალია, ისინი გარკვეულ-წილად მიმოიხილავენ და აღნაშნავენ ამ იდეას დადებით მხარეებს, მაგრამ მთლიანად თავი ვრ დაუდნევიათ აღრე გაბატონებული შეხედულებებისაგან და მაინც აკრიტიკებენ მას. ამასთანავე, ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და განსაკუთრებით სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მიღებით გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული ხელისუფლების დანაწლების პრინციპის „დადებითა“ მხარეების დასახურგავად. როგორც ვხედავთ, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ამ იდეას, უარყოფით მხარეებთან ერთად, პქონდა გარკვეული დადებითი მომენტებიც, რაც გაღმოოჯონდა კიდეც სტატუსი ხელისუფლებას.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, მისი წმინდა კლასიკური გავეძით, თთქმის არცერთ ქვეყანაში არ დამკიდრებულა. ბუნებრივია იბადება კითხვა, რა ფორმით უნდა აისახოს იგი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციაში? დავჯერდეთ იმას, რაც არის ასახული ამ კონსტიტუციაში თუ გადავსინჯოო ეს საკითხი ქვეყანაში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასაც დაკავშირებით. ხელისუფლების დანაწილების თეორია გამოირჩევა მოქნილობით, რაც საშუალებას იძლევა შევუფარდოთ იგი ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ პირობებს. სწორედ ასე მოიქცა თთქმის ყველა ქვეყანა. მაგალითად, აშშ გამოყენებული იქნა ამ პრინციპის ნაირსახობა „შეკავება-გაწონასწორების“ სახელწოდებით. აქე უნდა ითქვას, რომ აშშ კონსტიტუციის 200-წლიანი ისტორიის მანძილზე ხელისუფლების დანაწილების თეორიამ და „შეკავება-გაწონასწორების“ ამერიკულმა სქემამ განიცადეს ცვლილება, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებების გაზრდით.

ბუნებრივია, რომ ჩვენც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ხელისუფლების დანაწილების თეორია და იგი უნდა შევსაბამოთ კონკრეტულ, სპეციფიკურ ვითარებას. ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დოკ. ი. ფუტკარაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ „...საქართველოსთვის საჭიროა ხელისუფლების დანაწილების თეორიის მოდიფიკაცია, მისი ქართული ნაირსახეობის შემუშავება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს ინტორიული წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, ქართული სახელმწიფო-

ებრიობის ძირითადი მიზანდანიშნულება ეროვნული ასპექტით, ქართველი კავკასიის ბუნება, შიდაპოლიტიკური ვითარება, მეზობელ ქვეყნებთან და საერთოდ, აცხოვეთთან ურთიერთობა... ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ქართული ვარიანტის მიზანი უნდა იყოს ძლიერი ეროვნული მათვრობის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ერთიანობას, მის უსაფრთხოებას, მოქალაქეთა უფლებებსა და მათ მშვიდობიან ცხოვრებას¹.

საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა ხელისუფლების დანაწილების თეორია, კონსტიტუციით ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც ახორციელებს ერის ხელმწიფებას. „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“. — ნათქვამია კონსტიტუციის 52-ე მუხლში. ამასთანავე, ზუსტად არის განსაზღვრული პარლამენტის კომპეტენცია, რაც მას საშუალებას არ აძლევს მიითვისოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. პარლამენტის მიმართ ერის უზენაესობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ „თუ ოცდათი ათასმა ამომრჩეველმა წერილისით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდინოს“ (მუხლი 64). აღმასრულებელი ხელისუფლებას ეკუთვნის მთავრობას, რომელიც ექვემდებარება პარლამენტის კონტროლს. სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სასამართლოს, რომლის „არც ერთი განჩენი. არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებლი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“, (მუხლი 74).

1921 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციაში უფრო მკვეთრად უნდა ისახოს ხელისუფლების დანაწილების თეორია. ჩვენი პარიტ, ეს თეორია უნდა აისახოს ასეთი სისტემით: ა) სახელმწიფო ხელისუფლება იყოს ერთიანი, ბ) ერთიანი. ხელისუფლება დაიყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ჩელისუფლებად; გ) ეს სამი ხელისუფლება განახორციელოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანომ; დ) ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ზუსტად განსაზღვრული თავიანთი კომპეტენციები; ე) ამ ორგანოების გავლენის სფეროების მკაფიო გამიჯვნა ემსახურებოდეს ამ სამი ხელისუფლების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას და ამავე დროს ერთმანეთის გათანასწირებას, რათა არ მოხდეს ხელისუფლების ბოროტად გამოიყენება; ვ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უნდა ემსახურებოდეს ადამიანთა უფლებების დაცვას; ზ) ამ ორგანოთა შორის კომპეტენციის თაობაზე წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია კონსტიტუციური ხედამხედველობის ორგანოს შექმნა.

დღეს, როცა გავთავისუფლდით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიისაგან, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ გამორიცხავს სხვადასხვა სფეროს ორგანოების ერთობლივ მონაწილეობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს საკანონმდებლო აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების აღრევა ისე, რომ რომელიმე მათვანი გასცდეს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებებს და შეიძრას დანარჩენის კომპეტენციაში.

1 ი. ფუტკარაძე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება, უურ. „სამართალი“, 1991, № 5, გვ. 15.

არჩილ ლორდა

უცხოული საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები – კანონი „უცხოულთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“¹ და „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი“². დასახელებული კანონების მნიშვნელობა უაღრესად დიდია, რადგან ისინი შეიცავენ ამოსავალ დებულებებს საქართველოში უცხოულთა სამართლებრივი მდგომარეობის, მათი უფლება-მოვალეობების, იმიგრანტის სტატუსის მინიჭების, საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისა. და გაძევების, ასევე სხვა საკითხების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ორივე კანონი სათანადო დონეზეა შესრულებული, თუმცა ამჟამად მათ დადგებით მხარეებზე აღარ, შევჩერდებით და ყურადღებას გავაძევალებთ მხოლოდ ნაკლივანებებზე, რით უმეტეს, რომ ზოგიერთი ხარვეზი საკამაოდ სერიოზულია და საჭიროებს დროულ გამოსწორებას. ამასთან, აღნიშნული კანონები, განსაზღვრავენ რა უცხოულთა სამართლებრივ რეჟიმს საქართველოში, იმავდროულად. საინტერესო არიან საქართველოს მოქალაქეობის კუთხითაც, რადგან „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოს მოქალაქედ შეიძლება მიღებული იქნეს სრულწლოვანი უცხოელი, რომელიც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, გარკვეულ ფარგლებში იცის ქართული ან აფხაზური ენა, საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა. ამასთან, საქართველოში გააჩნია სამუშაო ადგილიან რაიმე უძრავი ქონება³. ამდენად, ნებისმიერი უცხოელი, რომელიც მოიპოვებს საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრანტის სტატუსს, შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის პოტენციურ მოქალაქედ, ვინაიდან საქართველოში 10 წლის ცხოვრების შემდეგ მას ექნება ფველა პირია საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად. აქედან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას იმენს საკითხი თუ ვის უნდა მიენთხოს იმიგრანტის სტატუსი და როგორი უნდა იყოს საამისოდ გათვალისწინებული პროცედურა.

მე-5 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტის დადგენილია, რომ საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა შეიძლება მიეცეს იმ უცხოელს, რომელიც „წარმოშობით ქართველია“. მოვკიანებით „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონმა“ განმარტა სიტყვები „წარმოშობით ქართველი“, კერძოდ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილას პირველი პუნქტის მიხედვით წარმოშობით ქართველებად ჩაითვლება უცხოელი, რომლის მამაც ქართველია. საინტერესოა, რა დაშვეს პირებმა, რომელთაც მხოლოდ დედა ჰყავთ ქართველი? რა საფუძველით შეიძლება სადაო გაეხადოთ მათი ქართული წარმომავლობა, მაშინ როგორ

¹ იბ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 8 ივნისი.

² იბ. იქვე, 1993 წლის 6 აგვისტო.

³ იბ. იქვე, 1993 წლის 27 მარტი.

მხოლოდ მამით ქართველ უცხოელებს წარმოშობით ქართველებად მივიჩნევთ არ გამოდის, რომ უცხოელი, რომელსაც მხოლოდ დედა ჰყავს ქართველი, ფაქტობრივად მოკლებულია საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვის მიღების. შესაძლებლობას, თუ, რა თქმა უნდა, იგი იმავდროულად არ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 2-6 პუნქტების მოთხოვნებს. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა საერთოდ ამოგველი ის პუნქტები, სადაც საუბარია წარმოშობით ქართველ უცხოელზე ან „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონში“ თავი შეგვეკვებინა სიტყვების „წარმოშობით ქართველი“-ს განმარტებაზე და მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბებულიყო „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის ანალიგიურად.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლებოდა პარალელი გაგვევლი ბალტის პირეთის რესპუბლიკების კანონმდებლობასთან, რომელიც საკმაოდ მკაცრია როგორც მოქალაქეობის, ისე იმიგრაციის საკითხთა გადაწყვეტისას და ადგენს უცხოელთა უაღრესად ვიწრო წრეს, რომელთაც შეუძლიათ აღძრან შუამდგომლობა მოქალაქეობის მიღების ან იმიგრანტის სტატუსის მოპოვების თაობაზე. მასალითად, ლიტვის რესპუბლიკის კანონები „იმიგრაციის შესახებ“ და „ლიტვის რესპუბლიკაში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საერთოდ არ იცნობს ტერმინს – „წარმოშობით ლიტველი“. ასევე საინტერესოა ესტონეთის რესპუბლიკის კანონი „იმიგრაციის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მე-4 პუნქტში ნახმარია ტერმინი „ესტონელი“, ხოლო მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში – ტერმინი „ეთნიკური ესტონელები“, რომელთა მიმართაც დაწესებულია ერთგვარი შეღავათები ესტონერები იმიგრაციასთან დაკავშირებით. ამასთან, კანონი შემდგომში არ განმარტავს თუ ვინ შეიძლება ჩაითვალის „ეთნიკურ ესტონელად“ და რითი განსხვავდება იგი „ესტონელისაგან“. აქედან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ „ეთნიკურ ესტონელად“ მიიჩნევიან ის პირები, რომელთა ერთ-ერთი მშობელი მაიც ესტონელია.

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტში მითითებულია. რომ საქართველოში მუდმივად ცხოვრებს ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან, რის შესახებაც უნდა არსებობდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება. ამავე საკითხთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მე-6 პუნქტი განმარტავს, რომ იმიგრანტის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს „მეცნიერების დარგის მაღალკალიფიციურ სპეციალისტებს და ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთა ჩამოსხლა შეესაბამება საქართველოს ინტერესებს, აგრეთვე მაღალკალიფიციურ სპეციალისტ-ტექნიკოსებს და მუშებს, რომლებიც ესაჭიროებიან საქართველოს მეურნეობას“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ორი პუნქტის შინაარსი რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, თანაც მე-6 პუნქტში არ არის მითითება მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობაზე, რამაც შეიძლება წარმოშვას მცდარი მოსაზრება, თითქოს ასეთი გადაწყვეტილება საჭირო არ არის. რა თქმა უნდა, შესაძლებელია რომელიმე სახელმწიფო ორგანოს აღჭურვა კომპეტენციით, შეაფასოს ესაჭიროება თუ არა რაიმე სპეციალიბის ან კვალიფიკაციის მქონე კონკრეტული უცხოელის მუდმივისაცხოვრებლად შემოსვლა ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს ან მეურნეობას. თუმცა, არსებობს პრობლემის გადაჭრის

სხვა გზაც, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-12 მუხლით დადგენილია, რომ საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობენ სხვადასხვა სამინისტროების, უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლები. ამ მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან უნდა შეიქმნას იმიგრაციის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია მათითებული სამინისტროების, უწყებებისა და სამსახურების პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მონაწილეობით. ამდენად, შეიძლებოდა ამ კომისიას ემსჯელა და გადაეწყვიტა, შეესაბამება თუ არა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ან მეურნეობას ამათუიმ სპეციალისტის, ან კვალიფიკაციის მქონე კონკრეტული უცხოულის ჩვენს ქვეყანაში მუდმივსაცხოვრებლად შემოსვლა. კვიქრობ, საკითხის გადაწყვეტის ეს გზა უფრო სწორი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი დღეისათვის აღარ ფუნქციონირებს და რამე გადაწყვეტილების მიღება მას არ შეუძლია⁴.

„საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის მე-4 პუნქტის ბოლო აბზაცის თანახმად, საქართველოს მოქალაქის მეურვის ან მზრუნველის, ასევე საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან სზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის ოაბაზე შუამდგომლობის აღდგრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრებ პირებს. ეს აბზაცი თავისი შინაარსით აშკარად ეწინააღმდეგება, ამავე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც იმიგრაციის შესახებ შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს ქმედებარიან და სრულწლოვან უცხოელს. აქ მხედველობაში მისაღებია ის, რომ ჯერ ერთი, იმიგრაციის თაობაზე შუამდგომლობა უნდა აღძრას უცხოელმა, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში და არა საქართველოში მუდმივად ცხოვრებმა პირმა, და მეორეც, თუ საქართველოში მუდმივად ცხოვრების სურვილი აქვს საქართველოს მოქალაქის მეურვეს, მის ნაცვლად შუამდგომლობას როგორ აღძრავს მისი სამეურვეო ანუ არაქედუსარიანი პირი, თუნდაც იგი მუდმივად ცხოვრობდეს ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებულია აბზაცი მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული ტექსტიდან.

ამავე კანონის მე-17 მუხლში ნათებვამია, რომ იმიგრაციის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სამწუხაროდ, კანონმდებელი აღარ განმარტავს, თუ რომელ სასამართლოში შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება. საქმე იმაშია, რომ საზღვარგარეთ მყოფი უცხოელის საჩივარს ქვემდებარეობის მახედვით წარმოებაში ვერ მიიღებს ვერც რაიონის და ვერც ქალაქის სასამართლო. აღბათ, ამ შემთხვევაში, საქმე პირველი ინსტაციის წესით უნდა განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ, რისთვისაც საჭირო იქნება სათანადო ცვლილებების შეტანა მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში. საერთოდ კი კანონმდებელი უფრო ზუსტად უნდა განმარტავდეს ასეთ მნიშვნელოვან და სადაო საკითხებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი გაუგებრობები და დარღვევები.

„საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, იმიგრაციის სტატისტიკის წარმოება ევალება იუსტიციის სამინისტროს. კანონის ასეთი მოთხოვნა ართულებს იმიგრაციის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მექანიზმს. საქმე იმაშია, რომ ყოველი იმიგრანტი სავალდებული რეგისტრაციას გადის შინაგან საქმეთა ორგანიზებში საცხოვრებელი ადგილის

⁴ იბ. იქვე, 1994 წლის 24 მარტი.

მისედვით და არა იუსტიციის სამინისტროში. ამასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სპასპორტო სამსახური ცალ-ცალკე აწარმოებს საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა რეგისტრაციას, რომლის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს (ყოფილი სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი), რომელიც აანალიზებს მიწოდებულ ინფორმაციას და აწარმოებს ერთიან სტატისტიკას. საქართველოში პარალელურად იწარმოება ემიგრაციის, თავშესაფრის მიცემის საფუძველზე შემოსულ უცხოელთა, ღტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატისტიკაც, რომელსაც შესაბამისი ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, რომლის უშუალო ფუნქციაც არის სტატისტიკის წარმოება, რისთვისაც მას გააჩნია როგორც სარანდო გამოყიდვება, ისე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. მხედვილობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ იუსტიციის სამინისტროში არსებული ინფორმაცია არასაკმარისია იმიგრაციის ერთიანი სტატისტიკის საწარმოებლად. ვინაიდან სამინისტროში თავს მოიყრის ცნობები მხლობოდ იმის შესახებ, თუ რამდენ უცხოელზე გაიცა საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების ნებართვა. მაშინ, როცა სხვადასხვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი იმიგრანტი შემოვიდა ქვეყანაში, როგორია მათი განსახლების სურათი, დასაქმების პრაქტიკა და სხვა, შესაბამისი უწყებებისა და სამსახურების მიერ სისტემურად მიეწოდება სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს, რაც ქმნის იმიგრაციის ერთიანი სტატისტიკის წარმოების ყველა პირობას. ამდენად, იმიგრაციის სტატისტიკას წარმოებაც უნდა დაეკისროს არა იუსტიციის სამინისტროს, არამედ დასახელებულ კომიტეტს.

განხილული კანონების დახასიათებისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ როულ პრობლემასაც, როგორიცაა უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკადან გაძევება. უცხოელის ქვეყნიდან გაძევების ინსტატუტი უცხო არ არის საერთაშორისო პრაქტიკაში და მას ითვალისწინებს ქველა ქვეყნის კანონმდებლობა. სხვაორის, ასეთი ინსტატუტი ყოფილ საბჭოთა კავშირშიც უნდა ციონიზმიდა, კერძოდ, უცხოელის საბჭოთა კავშირიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ღებულობდა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან სავალურებულო შეთანხმების შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში, როცა უცხოელი ეწერიდა ანტისაბჭოთა საქმიანობას ან პროცეგანდას, სავალურო ან სასაზღვრო წესების დარღვევას, ან სხვაგვარ, საბჭოთა სახელმწიფოსათვის შეურაცხმოველ საქმიანობას, მისი გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებას ერთაიროვნულად ღებულობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პრიციპია, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მასალების გაცნობა და საკითხის შეთანხმება ფიქცია იყო და სხვა არაფერი.

თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთმა ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკაში უცხოელის თავისი ტერიტორიიდან გაძევების საკითხის გადაწყვეტა ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში დატოვა. მაგალითად, „ღიტვის რესპუბლიკაში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებას უცხოელის ქვეყნიდან გასახლების შესახებ იღებს შინაგან საქმეთა მინისტრი. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ღიტვის რესპუბლიკაში უკანონოდ შემოსული ან უკან-

ნოდ მცხოვრები უცხოელები შეიძლება გასახლებულ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საკითხი შეიძლება გადაწყვდეს არა უშუალოდ მინისტრის, არამედ უფრო დაბალი რანგის თანამდებობის პირის დღნებეც. ამასთან, ლიტერის კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს გასახლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრებს შესაძლებლობას. „იმიგრაციის საკითხთა გადაწყვეტის შესახებ“ დებულების 26-ე პუნქტის შესაბამისად, არასასურველი გადაწყვეტილების გასაჩივრება უცხოელს შეუძლია ზემდომ ინსტანციაში.

სხვაგვარად წყვეტის უცხოელთა გაძევების საკითხს საქართველოს კანონმდებლობა. „უცხოელთა სამართლებრივი მდგრადიობის შესახებ“ კანინის 29-ე და „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-7 მუხლის თანახმად; გადაწყვეტილებას უცხოელთა, მათ შორის იმიგრანტთა, საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ იღებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, პროცერატურის, სასამართლო ირგანოებისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის (ამჟამად უშიშროების კომიტეტი) წარდგინების საფუძველზე. ამავე მუხლებში აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ გადაწყვეტილება უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ შეიძლება. გასაჩივრდეს სასამართლო წესით. აქედან აშკარად, რომ უცხოელის საქართველოდან რეალური გაძევებისათვის საკმაოდ რთული პროცედურაა გათვალისწინებული. კერძოდ, გაძევების საკითხი გაივლის სახელმწიფო ორგანოთა სულ ცოტა სამ რეოლს: პირველი – წარდგინების შემომტანი ირგანო, მეორე – იუსტიციის სამინისტრო და მესამე – ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი ორგანო კი არის შინაგან საქმეთა ორგანო, ვინაიდან იუსტიციის სამინისტროს გაძევების აღსასრულებლად უცხოელის მიმართ იძულების ღონისძიებების (მაგალითად, დაკავება, პირადი ჩხრეკა, საბუთების წამორთმევა, ბადრაგირება და სხვ.) გამოყენების არც კომპეტენცია გააჩნია და არც სამისოდ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების საფუძველის არსებობის დადგენას, მისი დამადასტურებელი საბუთების მოპოვებას და მათ შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროში წარდგინების შეტანას, იუსტიციის სამინისტროში წარდგინების განხილვას და შემდგომ გაძევების შესახებ გადაწყვეტილების შინაგან საქმეთა ორგანიზაცია გადაგზავნასა და აღსრულებას კი საქმაოდ დიდი დრო სჭირდება. ხოლო თუ უცხოელი აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, საკითხის გადაწყვეტაში ჩაერთვება მეოთხე როლი, კერძოდ. სასამართლო ორგანიზები, რაც გამოიწვევს გაძევების აღსრულების შემდგარ გადაღებას. „უცხოელთა სამართლებრივი მდგრადიობის შესახებ“ კანინის 29-ე მუხლი კი ითვალისწინებს უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების, ისეთ საფუძვლებსაც, რომელთა არსებობაც მოითხოვს გასაძევებელი პირის დაუყოვნებლივ ან რაც შეიძლება მოკლე დროში ქვეყნიდან გაძევებას. ეს საფუძვლებია: უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკაში შემდგომი ყოფნის საფუძვლის არარსებობა; შემთხვევა, როცა უცხოელის საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; ასევე შემთხვევა, როცა უცხოელის გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. მართლაც, თუ არ არსებობს უცხოელის საქართველოს რესპუბლიკაში შემდგო-



მი ყოფნის საფუძველი (მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისა ან შემოსვლა-გასვლის ვიზას ვადა აქვს გასული), ხოლო უცხოელი ნებაყოფლობით არ ტოვებს ჩვენს ქვეყანას, მისი საქართველოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტის ზემოგანხილული ვართულებული პროცედურა ხელს შეუწყობს არა კანონიერების დროულ აღდგენას, არამედ უცხოელის საქართველოში უსაფუძვლოდ ყოფნის ხელოვნურ გაჭირებას. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ ჩამოთვლილი დანარჩენი ორი საფუძვლის მიმართაც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მხრიდან უცხოელის გამევების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისადმი არასერიორული და ზერელე დამოკიდებულებას შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო მოკლებული იქნება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და შესრულებაზე კონტროლის შესაძლებლობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებია არც ვერტყიალურ და არც პორიზონტალურ დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან ამ უკანასკნელთან.

ამდენად, უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის კომსტენციის იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემის მართვულობის მტკიცება მხოლოდ იმ მოტივით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იუსტიციის სამინისტრო წყვეტს უცხოელთა ქვეყნიდან დეპორტაციის საკითხს, სწორი არ უნდა იყოს⁵.

ამასთან, საქართველოდან გაძევება მხოლოდ ადმინისტრაციულ სახდელად როდი ჩაითვლება, არამედ შეიძლება ზოგჯერ სასჯელის სახითაც მოგვავლინოს. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლისა და „საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის“ მე-7 მუხლის თანახმად, უცხოელი შეიძლება საქართველოდან გაძევდეს, თუ იგი უკანონოდ შემოვიდა ან იმყოფება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თუ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ნებართვას მოიპოვებს ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენის გზით, ან თუ ჩაიდენს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს. უცხოელის გაძევების ჩამოთვლილი საფუძვლებიდან ნებისმიერი შეიძლება გახდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც (მაგალითად, სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა – სსკ 84-ე მუხლი, ყალბი დოკუმენტების დამზადება ან გამოყენება – სსკ 213-ე და 214-ე მუხლები და სხვ.). ხოლო, თუ პირი დანაშაულის ჩადენისათვის მოიხდის სასჯელის, იმავე ქმედობისათვის მას ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ, რადგან, საერთო წესის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მთანთქავს ადმინისტრაციულს. ასეთ შემთხვევებში კი საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევება მხოლოდ სასჯელის სახით შეიძლება მოგვევლინოს, ხოლო სასჯელის დაკისრება მხოლოდ სასამართლო ორგანოების პრეროგატივაა და მას ვერ შეუფარდებს ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო.

უცხოელთა საქართველოდან გაძევების პრობლემაზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი ითვალისწინებს უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემას, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფოს მეთაური. მაგრამ თავშესაფრის მიცემა არ ნიშნავს მოქალაქეობის მინიჭებას, რის გამოც ასეთი გზით ჩვენს ქვეყანაში შემოსული პირი საქართველოს რესპუბლიკაში

⁵ იხ. „ამერიკის საიმიგრაციო კანონმდებლობა და სსრ კავშირიდან გამგზავრების ასპექტებ“, 1991, გვ. 4.

დროებით შემოვ უცხოელად ჩაითვლება და გამორიცხული არ არის შემდგომში შემდგომში დაისვას მისი საქართველოდან გაძევების საკითხი. ამ შემთხვევაში, ყველა-ფერს რომ თავი დავინებოთ, იუსტიციის მინისტრი უხერხელ მდგომარეობაში ჩავარდება, ვინაიდან მას მოუწევს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილების წინააღმდეგ წახვდა, რამეთუ საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა ფაქტობრივად თავშესაფრის უფლების ჩამორთმევის ჭოლფასი იქნება. ასეთი რამ კი დაუშვებელია, რადგან სახელმწიფოს მეთაური უბაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი თანამდებობის პირია, მინისტრი კი — მისი ქვემდგომი თანამდებობის პირი. პრობლემა თავისთვის გადაწყვდებოდა, თუ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო, რომელსაც შეუძლია გააუქმოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, თანახმად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევება უკავშირდება პიროვნების უფლებათა სერიოზულ შეზღუდვას, ხოლო პიროვნების უფლებების ყველაზე რეალური დაცვა ხორციელდება სასამართლიაში, უფრო სწორი იქნებოდა უცხოელის საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო სასამართლოს. საკითხის ასე გადაწყვეტა პრაქტიკულადც გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება, ვინაიდან თავიდან აგვაცილებს გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების უსაფუძვლოდ გაჭიანურებას, ამასთან, უფრო დემოკრატიულიც არის, რასაც ასეთი დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო პრაქტიკაში.

მიმდინარე წლის 7 ივნისს სასტუმრო „მეტეხში“ ჩატარდა შე-ორე სასწავლო სემინარი, რომელიც მიეძღვნა ლტოლვილთა, იძუ-ლებით გადაადგილებულ პირთა და მთავრობის უფლებებისა და მო-ვალეობების საკითხების გახსილვას.

მკითხველს ვთავაზობთ ამ სემინარის ზოგიერთ დოკუმენტს.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამართველოს უფროსის ციხილი კვატაშიძის მოსსახაბა

ქალბატონებო და ბატონებო! უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა გამოიწვია ადამიანთა მასიური შიდა მიგრაცია. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებში გამოჩნდა ტერმინი „იძუ-ლებით გადაადგილებული პირი“.

1992 წლის 17 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“, რო-მელმაც განსაზღვრა საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრებ იმ პირ-თა უფლებების განხორციელების სამართლებრივი კონსოლიდაციის და ორგანიზა-ციული საფუძვლები, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

დღეისათვის დეკრეტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შე-სახებ“ რესპუბლიკაში მოქმედი ერთადერთი საკანონმდებლო აქტია, რომელ-შიც, მართალია, თვით ცხოვრებამ და პრაქტიკამ მრავალი კორექტივი შეიტანა, მაგრამ, აღბათ ინტერესმოკლებული არ იქნება მის ძირითად დებულებებზე ყუ-რადღების გამახვილება.

დეკრეტის პირველივე მუხლში ჩამოყალიბებულია იძულებით გადაადგი-ლებული პირის ცნება. იძულებით გადაადგილებულად ჩაითვლება პირი, რომე-ლიც იძულებული იყო დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მაზე-ზით, რომ საფრთხე შეექმნა მას, ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან თა-ვისუფლებას ქვეყნის შიგნით გავრცელებული ძალადობის, უცხო ქვეყნის ავრე-სიის, შიდა კონფლიქტების, მოქალაქეთა უფლებების მასობრივი დარღვევის, პოლიტიკური მსოფლმხედველობის, რასობრივი ან ეროვნული კუთვნლების, ენის, სარწმუნოების ან სოციალური მდგომარეობის გამო.

იძულებით გადაადგილებულად არ შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელიც იძებნება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი. შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს არა უმეტეს 1 თვის ვადაში, გაიცემა დადგენილი ნიმუშის მოწმობა დროებითი საცხოვრებელი ადგილის მითითებით. დეკრეტით გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილე-ბულად ცნობის შესახებ უარის სასამართლოში გასაჩივრების წესი.

იმულებით გადაადგილებულ პირად ცნობა არ იწვევს ამ პირთა სამართლებრივი რიგი მდგომარეობის შეცვლას – ისინი სარგებლობენ იმავე უფლებებით და აკისრიათ იგივე მოვალეობები, რაც მათ პქონდათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ დეკრეტით გათვალისწინებულია გარკვეული დახმარება იმულებით გადაადგილებულ პირთათვის. შესაბამის უწყებებს მმართველობის ადგილობრივ თრგანოებთან ერთად ევალებათ გადაუდებელი პირველადი დახმარებას გაწევა, მათი განსახლებისა და შრომითი მოწყობის, ერთდროული ფულადი დახმარების, საპენსიო უზრუნველყოფისა, აგრეთვე მოზარდებისა და ახალგაზრდების სწავლების საკითხების გადაწყვეტა.

დეკრეტით გათვალისწინებულია იმულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დაკარგვის სამართლებრივი საფუძვლებიც, კერძოდ, პირი, რომელიც დადგენილი წესით ცნობდა იმულებით გადაადგილებულად, კარგავს აღნიშნულ სტატუსს, თუ:

დაუბრუნდება პირვანდელ საცხოვრებელ ადგილს;

დაფუძნდება ახალ საცხოვრებელ ადგილზე – იგულისხმება მუდმივ საცხოვრებლად დასახლება და ბოლოს, აღარ არსებობს იმულებით გადაადგილებულ პირად მისი ცნობის მიზეზი.

თუ იმულებით გადაადგილებული პირი ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით დაუბრუნდება აღრინდელ საცხოვრებელ ადგილს, მას უბრუნდება კუთვნილი უძრავი ქონება (სახლი, ბინა), სამუშაო ადგილი, ან მიეცემა ძველი, ტოლფასი სამუშაო. მოსწავლეები და სტუდენტები აღდგენილ იქნებიან სასწავლებლებში. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სახლი ან ბინა დაკარგულია, ან მასში ცხოვრება სიცოცხლისათვის საშიშია, მათზე ვრცელდება ის დახმარებები და გარანტიები, რაც გათვალისწინებულია იმულებით გადაადგილებულ პირთათვის.

და ბოლოს, იმულებით გადაადგილებულ მირთა სტატუსის შესახებ დეკრეტის დამრღვევი პირები პასუხს ავებენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

როდესაც იმულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ დეკრეტზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება. კერძოდ, 1992 წლის მიწურულს საქართველოს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა სპეციალური სამსახური – ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი, რომლის ძირითად უწყებია იმულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სიციალური და სამართლებრივი დაცვა განისაზღვრა. მას, ბუნებრივია, აღნიშნულ სამართლებრივ აქტში ასახვა არ უწოდია, მაგრამ დებულებამ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის შესახებ ნაწილობრივ შეავსო ეს ხარვეზი.

იმულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი დაცვის პრობლემას მჟიდროდ უკავშირდება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის პრობლემა. ლტოლვილთა და იმულებით გადაადგილებულ პირთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიმოხილვისას, არ შეიძლება გვერდი ავუართ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრის განკარგულებას „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიოს შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სიციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელ-

საც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნისათვის ამ ურთულესი პრობლემების დაძლევის საქმეში.

განკარგულების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის და მის რეგიონალურ კომისიებს დაევალა ლტოლვილთა მიღება-დაბინავების, მათი სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის, მშობლიურ ადგილებში დაბრუნების და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, გეგმაზომიერად განსახლების საკითხების გადაწევეტა.

ლტოლვილთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსში სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ჩართულია მმართველობის ორგანოთა მთელი სისტემა. თბილისის მერიას, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აღნიშნული საკითხების მოწესრგების მიზნით მიეცა წინადაღება გამონახონ ყველა შესაძლებლობა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის და შესაბამისი რეგიონალური კომისიებისათვის აქტიური დახმარებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ და შემნახველ ბანკებს მიეთითა უზრუნველყონ ლტოლვილთა დროებით საცხოვრებელ ადგილებზე დახმარების, პენიებისა და ფულადი ანაბრების შეუფერხებელი გაცემა, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარავების სამინისტროს, ცეკვაშირის გამგეობის, ქალ ქისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს – ლტოლვილთათვის გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარებისა და ნორმირებული პროდუქტების გაცემის ორგანიზება, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის ვანაცხადის საფუძველზე ლტოლვილთათვის სპეციალიზებული მარაზიების გამოყოფა, მათი იაფენასიანი ზამთრის ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, თეთრეულითა და სხვა საყოფაცხვრებო ნაწარმით უზრუნველყოფა. რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს და ორგანოებს – სრულწლოვან შრომისუნარიან ლტოლვილთა დროებითი დასაქმება, დროებითი სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა და სხვა.

კონტროლს სახელმწიფოს მდგომარეობის განკარგულების შესრულებაზე პორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი.

დეკრეტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“ და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ – ეს არის ორი ძირითადი დოკუმენტი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს ეხება.

როგორც უკვე აღვიმნე, საქართველოს რესპუბლიკაში, კერძოდ, შიდა ქართლში და აფხაზეთში, მეზობელ რესპუბლიკებში უკანასკნელ ხანს შექმნილმა კონფლიქტურმა და საომარმა სიტუაციებმა, პოლიტიკური ვითარების საერთო დამაბულობამ, სტიქიურმა უბრუნებებმა კიღევ უცრო დაამძიმა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრი. იმატა მათმა საერთო რაოდნობამ. ამის გამო, დღის წესრიგში დადგა ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების აუცილებლობა, რომელიც ახლებურად გადაჭრიდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს და, მეორე მხრივ, შეავსებდა რიგ საკითხებში არსებულ საკანონმდებლო ვაკუუმსაც.

დღეისათვის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ რამდენიმე კანონპროექტია მომზადებული. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, კანონპროექტი „ლტოლვილების შესახებ“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის

უსტიციის სამინისტრომ მოამზადა, სამართლებრივი ექსპერტისათვის გაეროს ღტოლვილთა დახმარების უმაღლეს კომისარიატში გაიგზავნა და მის რეკომენდაციებს ელოდება, რის შემდეგაც, შესაბამისი პროცედურების დაცვით წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

რამდენიმე აღტერნატიული კანონპროექტია მომზადებული იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ. ერთ-ერთ მათგანს იძულებით გადაადგილებულ პირთა აღსანიშნავად შემოაქვს ტერმინი „ხიზანი“. კანონპროექტი „ხიზნების შესახებ“, სწორედ ასე ეწოდება მას. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ ტერმინის დამკვიდრება თანამედროვე სამართალ-მოქმედებაში.

ნება მიბოოეთ რამდენიმე წუთით შევაჩერო თქვენი ყურადღება კანონის ეპტზე ღტოლვილთა შესახებ და ხიზნების შესახებ. მე არ შევუდგები ამ კანონპროექტის სამართლებრივ შეფასებას, მხოლოდ მის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხბი.

ღტოლვილები მოვალენი არიან დაიცან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა. ამავე დროს, სარგებლობენ სინდისის თავისუფლებით. აქვთ შრომის, განათლების, დასვენების, ბანის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურული მიღწევებით სარგებლობის უფლებები. ისინი ინარჩუნებენ სამოქალაქო ქმედუნარიანობას ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობაში. შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს იმ დავების განსახილველად, რომელიც წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ისინი ღტოლვილის სტატუსს მიიღებენ კანონით დადგენილი წესით.

პირი, რომელიც ცნობილი იქნება ღტოლვილად, არ შეიძლება გაწვეული იქნეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, რეფერენცუმში ან გახდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.

ღტოლვილი მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო საფუძვლზე.

ღტოლვილებს დახმარებას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ღტოლვილთა და განსახლების კამიტეტი, რომელიც უფლებამოსილია:

- უფასოდ გამოუყოს ღტოლვილებს ღროებითი საცხოვრებელი ადგილი;
- მისცეს ერთდროული დახმარება იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი;
- მოაწყოს ისინი დროებით სამუშაო ადგილზე;
- უზრუნველყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების მოწყობა სკოლამდელ და საკოლო დაწესებულებაში;
- უზრუნველყოს ღტოლვილთა ოჯახები პირველი მოთხოვნილების საგნებითა და ტანსაცმლით;

- მარტოხელა მოხუცები მოაწყოს სპეციალურ დაწესებულებებში;

- უზრუნველყოს საპენიო ასაკის პირები პენსიის იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რაც შეეხბა ხიზანთა სამართლებრივ მდგომარეობას, კანონპროექტის მიედვით მათ დროებით საცხოვრებელ ადგილზე აქვთ შემდეგი უფლებები:

- უფასო კომუნალური მომსახურება;
- სურსათის მიღება დაწესებული ნორმის ფარგლებში;
- ერთდროული ფულადი დახმარება;
- უფასო მგზავრობა დროებითი საცხოვრებელი ადგილის (რაიონის, ქალაქის) ფარგლებში, 50% ფასდაკლებით საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე.

ამავე დროს, პირი, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა ხიზნად ცნობის შეცვალის სახებ, ვალდებულია:

- შესაბამის ორგანოებს წარუდგინოს საჭირო მონაცემები შუამდგომლობის განსახილეველად;
- დაიცვს დაწესებული ნორმები, რომლებიც მოქმედებს იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი დროებით საცხოვრებლად არის მიმაგრებული;
- გაიაროს სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნისთანავე.

ხიზანს დროებით საცხოვრებელ ადგილის დახმარებას უწევს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. ისინი ეხმარებიან მას სამუშაოდ მოწყიბაში პროფესიის შესაბამისად, დროებით უმუშევრობის პერიოდში აძლევენ ერთდროულ ან ყოველთვიურ დახმარებას. უწევენ სამედიცინო დახმარებას, უზრუნველყოფენ ბავშვებს სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებით.

იგივე უფლებები აქვთ იმ ხიზნებს, რომლებიც ახლობლებთან ან ნათესავებთან ცხოვრობენ.

ხიზნის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

ხიზნის მიმართ სახელმწიფო მოხელეთა არამართლზომიერი მოქმედება შეიძლება გასახივრდეს ზემდგომ მოხელესთან ან სასამართლო წესით.

გარდა აღნიშნულისა, ხიზნებს დროებით საცხოვრებელ ადგილზე აქვთ იგივე უფლება-მოვალეობები, რაც მათ გააჩნდათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

და ბოლოს, აღვნიაშნავ, რომ მართალია, ზემოაღნიშნულ დგბულებებს ჯერ კიდევ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მავრამ საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საერთო ტენდენციები. ვფიქრობთ, ლტოლვილთა და იძულებით გადააღვილებულ პირთა შესახებ კანონმდებლობის დროული მოწესრიგება საფუძველს ჩაუყრის როგორც პრობლემის მოგვარებას, ისე ამ პირთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგრადი გაუმჯობესებას.

ლტოლვილთა პაციენტი და პაციენტარული სამართალი

ა. ლტოლვილთა პაციენტი

თავშესაფარის მაძიებელთა, ლტოლვილთა და სხვა იმ პირთა უფლებები და სტატუსი, რომლებმაც გადაღახეს საერთამორიასო საზღვრები და რომლებსაც არ შეუძლიათ, ან არ სურთ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნება დევნის საშიშროების გამო, განისაზღვრება 2 საერთაშორისო დოკუმენტით: 1951 წლის კონვენციით დამტკიცილის სტატუსის შესახებ. ორივე შეთანხმებაზე მოღაპარაკება მოხდა გაუროს ეგიდით და დღეისათვის მათი აღსრულება ხდება გაერთს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ. 1951 წლის კონვენცია თავდაპირველად გან-

საზღვრული იყო დტოლვილთა იმ დროებითი სიტუაციების მოსაგვარებლად, რომელიც შეიქმნა II მსოფლიო ომის შედეგად ხალხის მასიური გადაადგი-ლების გამო. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული დტოლვილთა უკან დაუბრუნებ-ლობის და მათი ასიმილაციის უფლება. 1967 წლის ოქმის მიღებამ 1951 წლის კონვენცია, რომელიც შეეხებოდა მსოფლიო ომის დროს გადაადგილებულ პირებს, გამოსადევი გახდა დტოლვილებთან დაკავშირებულ ყველანაირ სიტუაციებში, მიუხედავად ვეორეაფიისა და ენისა. ამრიგად, კონ-ვენციაში ხაზგასმით აღნიშნული დტოლვილთა საკუთარ ქვეყნებში დაუბრუნებ-ლობისა და ასიმილაციის პრინციპი შენარჩუნებული იქნა ოქმში და გადამ-წყვეტი გავლენა მოახდინა ამ დაკუმუნიტში ჩამოყალიბებულ დტოლვილთა უფ-ლებებზე, მათი დახმარების ხასიათსა და მასშტაბებზე.

ეს ხაზგასმა ნათლად ჩანს ტერმინ „დტოლვილის“ იმ ვიწრო განმარტებაში, რომელსაც გვაძლევს 1951 წლის კონვენცია და რომელიც შევიდა ოქმში. 1951 წლის ოქმის 1 (A) (2) მუხლით, რომელიც შესწორებული იქნა 1967 წლის ოქმის 1 (2) მუხლით, დტოლვილი არის ნე-ბისმიერი ის პირი ვინც „კარგად დასაბუთებული დევნის სამიშროების გამო, გამოწვეული მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუ-ფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების მიზეზით, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია, ან ასეთი საშიშრო-ების გამო, არ სურს ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან ის პირი, რო-მელსაც არა აქვს მოქალაქეობა, აღნიშნული მიზეზის გამო იმყოფება თავი-სი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამგვარი საშიშროების გამო არ შეუძლია, ან არ სურს იქ დაბრუნება“. ამგვარად, 1967 წლის ოქმი არ შეხება იმ პირებს, რომლებმაც დატოვეს თავისათი წარმოშობის ქვეყანა. იგი არ შეხება იმ გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ჯერ კიდევ თავი-ათი წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს შიგნით იმყოფებიან. დტოლვილად ცნო-ბის უფლება არსებობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დტოლვილი შევა ხელის-მომწერი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ ამ ქვეყანას არა აქვს უფლება, 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლისა და 1967 წლის ოქმის მიზედ-ვით, რომ გააძევოს, ან უკან დააბრუნოს („reinouler“) დტოლვილება, მიუხედავად იმისა, კანონიერად არიან ისინი შესულნი ამ ქვეყნის ტერიტორი-აზე თუ არა, „იმ საზღვრებსა და ტერიტორიებზე, სადაც მათ სიცოცხლეს და თავისუფლებას ემუქრება საფრთხე მათი რასის, რელიგიის, ეროვნების, რო-მელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო“. უკან დაუბრუნებლობის (post-reinoulement) უფლების გარდა პირები, დტოლვილად ცნობის შემდეგ, მნიშვნელოვანი რაოდენობით იძენენ სხვა უფ-ლებებსაც, რომლებიც ექვემდებარება შესაბამის ცვლილებებს. ამ უფლებებში შედის რელიგიის თავისუფლება (მუხლი 4), უფლება თავისუფალნი იყვნენ იმ განსაკუთრებული ღონისძიებებისგან, რომლებსაც მიღებს თავშესაფარი ქვე-ყანა დტოლვილის წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ (მუხლი 8), უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის უფლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლება (მუხლი 14), ასოციაციების შექმნის უფლება (მუხლი 15), ქუ-ლება მიმართონ სახელმწიფო სასამართლოს (მუხლი 16), მუშაობის უფლება (მუხლი 17, 18 და 19), საბარათო სისტემით პროდუქტების მიღების უფლება (მუხლი 20), საცხოვრებელით უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 21), სახალ-ხო განათლების მიღების უფლება (მუხლი 22), სახელმწიფოსაგან დახმარების მიღების უფლება (მუხლი 23), სოციალური დაცვის უფლება (მუხლი 24), თა-ვისუფლად გადაადგილების უფლება (მუხლი 26), ქონების თავისუფლად გადა-

ტანის უფლება (მუხლი 30) და გაძვევბის წინააღმდეგ უფლება (მუხლი 32).

ზოგიერთი თავშესაფარი ქვეყანა ამ უფლებებს სცნობს იმ შინაგანი კანონების შესაბამისად, რომლებიც მას გაჩანია ნებისმიერი კატეგორიის უცხოელ-თავის. ამრიგად, ლტოლვილთა ეს უფლებები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზ-ღუდოს თავშესაფარი ქვეყნის ძირითადი პრინციპით იმ პირების მიმართ, რომ-ლებიც მისი მოქალაქეები არ არიან. ეს შეზღუდვა არ შეეხება მხოლოდ შემდეგ უფლებებს: რელიგიის, მუშაობის, საბარათო სისტემით პროდუქტების მიღე-ბის, დაწყებითი განათლების მიღების, სახელმწიფოსაგან დახმარების მიღების, სოციალური დაცვის და სახელმწიფოდან გაძვებისაგან დაცვის უფლებებს. ეს უფლებები სრულყოფილია იმ გაეგბით, რომ თავშესაფარი ქვეყანა ისევე უნდა ექცეოდეს ლტოლვილებს, როგორც საკუთარ მოქალაქეებს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ლტოლვილთა აბსოლუტური დაცვის სა-კითხებიდან არის მათი დაცვა იმ ადგილზე დაბრუნებისაგან, სადაც ისინი გა-ნიცდიან დეენას. 33-ე მუხლში ჩამოყალიბებულ ლტოლვილის უკან დაბრუნე-ბისაგან დაცვის პრინციპს შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისი თუ „არსებობს სა-ფუნგილიანი მიზეზი იმისა, რომ უცხოელი საფრთხეს უქმნის იმ ქვეყნის უშიშ-როებას, სადაც ის იმყოფება, ან სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებით მის-ჯილი აქვს სასჯელი განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის, (უცხოელი) წარმოადგენს საფრთხეს ამ ქვეყნის საზოგადოებისათვის“. მუხლი 32 კრძალავს ლტოლვილთა უკანონოდ გაძვებას თავშესაფარი ქვეყნის ტერიტორიიდან გარ-და იმ შემთხვევებისა, როდესაც „საფრთხე ექმნება ეროვნულ უშიშროებას და საზოგადოებრივ წესრიგს“. ნებისმიერი გაძვება ამ მიზეზების გამო უნდა მოხდეს იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც გამოტანილი იქნება შესაბამისი სა-სამართლო პრიცესის მიხედვით“. ამასთან, მე-2 ქვეთავს ნათევამია, რომ „გარ-და იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული უსაფრთხოება საწინააღმდეგოს მო-ითხოვს, ლტოლვილს უფლება ეძლევა წარმოადგინოს ფაქტები უდანაშაულო-ბის დასამტკიცებლად და მიმართოს პირადად ან ვინმეს შუამდგომლობით მთავ-რობის კომპეტენტურ წარმომადგენლებს“.

1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის მიხედვით, ლტოლ-ვილს ამ დოკუმენტების პუნქტების დარღვევისათვის ეძლევა სასამართლო დაც-ვის მხოლოდ ის პირდაპირი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მისი სა-კუთარი ქვეყნის სასამართლოში. უკიდურეს შემთხვევებში, კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით, ლტოლვილებს ნომინაციურად ეძლევათ უფლება მიმართონ ამ სასამართლოებს. საერთაშორისო სასამართლო წესით დაცვა შედარებით სა-ეჭვოა.

1967 წლის ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით ოქმის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს 1967 წლის ოქ-მისა და 1951 წლის კონვენციის საკითხების ინტერპრეტაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ სადაც საკითხებზე. ეს, რასაკვირველია, არ აძლევს ლტოლვილს უფლებას აიმულოს წევრა ქვეყანა გააკეთოს იგივე მისი სახელით. მიუხედავად ამისა, შესაძლოა მსჯელობა იმაზე, აქვს თუ არა უფლე-ბა ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს, როგორც ოქმის წევრ მხარეს, მიმარ-თოს სასამართლოს ლტოლვილთა ჯგუფების ან თუნდაც ინდივიდუალური ლტოლვილების სახელით.

ბ. კუმანიტარული სამართალი

კუმანიტარული სამართალი, ლტოლვილთა კანონისაგან განსხვავებით, შე-ქება იმ არამებრძოლ მოქალაქეთა სტატუსის მინიჭებისა და დაცვის საკით-

ხებს, რომელთაგანაც ზოგიერთი შეიძლება იყოს იმულებით გადაადგილებული პირი ან ღტოლვილი. არამებრძოლ მოქალაქეთა დაცვის სამართლებრივი საუფეხელია უნევის 1949 წლის კონვენციები და განსაკუთრებით კი მე-3 მუხლი, რომელიც საერთო ოთხი კონვენციისათვის და რომლებსაც რატიფიკაცია გაუქეთა ყველა სახელმწიფომ ორის გარდა, რის შემდეგაც ის გახდა ჩვეულებრივი საერთაშორისო კანონის ერთერთი აღიარებული დადგენილება. მე-3 მუხლი შეეხება ომს და „შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებსაც არა აქვთ საერთაშორისო ხასიათი და მიმდინარეობს მოლაპარაკების ერთერთი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე“. ეს მუხლი სავალდებულოა არა მარტო მოლაპარაკების წევრი მხარისათვის, არამედ „კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეებისათვის“. ეს გამონაკლისი უფლება, რომელიც ეძღვება „იმ პირებს, იმულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებაში“ ყველა გარემოებაში „ჰუმანურად უნდა იქნეს განხილული“. ამ უფლების დასაცავად კატეგორიულად იკრძალება შემდეგი მოქმედებანი: ძალადობა სიცოცხლეზე ან პიროვნებაზე, მძევლების აყვანა, პიროვნების ღირსების შეურაცხოფა, განაჩენის გამოტანა და სასჯელის აღსრულება წინასწარი გასამართლების გარეშე კანონიერად არსებული სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე ვალდებულია შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიოს ავადმყოფებსა და დაჭრილებს, მათ შორის იმულებით გადაადგილებულებსაც.

პროტოკოლი II, რომელიც წარმოადგენს უნევის კონვენციების დამატებას და რომელიც იცავს არა-საერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთ, აერთიანებს მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან უფლებებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვონ იმულებით გადაადგილებულმა პირებმა. იგი უმატებს მთელ რიგ დამატებით აქტებს აკრძალვათა სიას, რომელთა შორისაა, კოლექტიური დასჯა, ტერორიზმის აქტები, გაუპატიურება, იმულებით პრისტიტუცია, მონობა, ძარცვა და ამ ყველა აღნიშნული და კონვენციების მე-3 მუხლში უკვე აკრძალული ყველა დანაშაულის ჩადენის მუქარა. ბავშვებს ეძლევათ დაცვის დამატებითი ძირითადი გარანტიები. მათ უნდა გაეწიოთ ყველანაირი საჭირო დახმარება. განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებში, როგორებიცაა განათლება, მათი ოჯახების გაერთიანება, დაცვა სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თხუთმეტი წლის ასაკამდე და უსაფრთხო ადგილებში მათი ევაკუაციის შესაძლებლობა. გარდა ამისა, იმ პირებს, რომელთა უფლებები შეზღუდული იქნა იმულებით გადაადგილების ან სხვა მიზეზების გამო, უნდა მიეცეთ საკვება და წყალი და შესაძლებლობის ფარგლებში დაცული იქნეს მათი ჯანმრთელობა და ჰიგიენური პირობები, დაცული უნდა იქნეს მძიმე კლიმატური პრობებისაგან; მათ უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური და კოლექტიური დახმარების მიღების უფლება; რეგულარულად უნდა ისარგებლონ სამედიცინო შემოწმებით.

ოქმი II ფაქტობრივად უკრძალავს შიდა კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს არამებრძოლი მოქალაქეების იმულებით გადაადგილებას თუ ამას არ მოითხოვს მათი უსაფრთხოება. მე-17 მუხლში ნათქვამის: „არ უნდა გაიცეს მშვიდობიანი მოსახლეობის გადაადგილების ბრძანება კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო, თუ ამას არ მოითხოვს მათი უსაფრთხოება ან კატეგორიული სამხედრო მიზეზები. თუ ასეთი გადაადგილება მაინც განხორციელდა, მიღებული უნდა იქნეს ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა გადაეცანილ იქნეს ისეთ ადგილას, სადაც არსებობს დამაკმაყოფილებელი პირობები თავშესაფარის, ჰიგიენური პირობების, ჯანმრთელობის დაცვის უსაფრთხოებისა და საკვების მიღების თვალსაზრისით“. ამრიგად,

მე-17 მუხლი ითვალისწინებს იძულებით გადაადგილების მინიმუმამდე შეკრიტიკული რებას ომის, განსაკუთრებით კი პარტიზანული ომის დროს. იქ, სადაც ასეთი გადაადგილების თავიდან აცილება შეუძლებელია, მე-17 მუხლი იძლევა გადაადგილებული პირების აღკვატური პირობებით უზრუნველყოფის გარანტიას, რაც ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვას; პიგიენური პირობების შექმნას, თავშესაფარის მიცემას, საკვებით მოშარაგებას და უსაფრთხოების გარანტიას.

სამწუხაროდ, ოქმი 11, ახორციელებს რა გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარულ დაცვას 1949 წლის უნივერსიტეტის საერთო მე-3 მუხლის მიხედვით, შეხედული რება მთელი რიგი მიზეზების გამო უპირველეს ყოვლისა, იგი ყოველთვის სადაც და არაპოსულარულია იმ ქვეყნებში, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ოქმი არღვევს მათ ერთვნულ სუერუნიტეტს. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ შეშფოთებას იმის გამო, რომ ოქმა შეიძლება დაარღვით ეროვნული სუერუნიტეტის დოქტრინა, მისი პუნქტები ძალაში შევა მხოლოდ ფაქტობრივი სამოქალაქო ომის სიტუაციების დროს, როდესაც, როგორც I მუხლშია ნათქვამი: „მოწინააღმდეგებ შეიარაღებული ძალები ან სხვა საჩის ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები შესაბამისი ბრძანებით ახორციელებს კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის რაღაც ნაწილზე, რათა შესაძლებელი გახადოს ხანგრძლივი და შეთანხმებული საომარი მოქმედებები და განახორციელონ ამ ოქმში აღნიშნული მუხლები“. ამგვარად, არც გადაადგილებულ პირს, არც მესამე მხარეს და არც ოქმის წევრ სხვა სახელმწიფოს არ შეუძლია სასამართლოს წესი გაასაჩივროს, როცა კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარე არღვევს ოქმს.

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის (JCRC) მიხედვით, რომელიც მთავარი ორგანიზაციაა ჰუმანიტარული დახმარების განხორციელების საქმეში, ლტოლვილთა სამოქალაქო დაცვის უმნიშვნელოვანების ღონისძიებებს წარმოადგენს შიმშილობის, როგორც საომარი საშუალების გამოყენების აკრძალვა, სასიცოცხლო ობიექტების დაცვა (სასმელი წყლის აუზებისა და გაყვანილობის, მოსავალის და ა. შ.) და კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მიერ შშვილობანი მოსახლეობისათვის განკუოვნილი დახმარების თავისუფლად გატარება.

ამ კონვენციებში, ისევე როგორც ოქმში არის კიდევ რამდენიმე პუნქტი, რომელიც ომის დროს იცავს ყველა მოქალაქეს, რომელთა შორის ლტოლვილებიც შეიძლება იყვნენ: პუნქტები, რომლებიც შეეხება ოჯახებს შორის ახალი აბბების გაცვლას (მუხლი 25, მეოთხე კონვენცია), გაფანტული ოჯახების გაერთიანებას (მუხლი 26, მეოთხე კონვენცია) და მუხლი 74 (პროტოკოლი 1), და დაკარგულ პირთა შესახებ ცნობების შეგროვებას (მუხლი 33, ოქმი 1) საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ცნობების მომპოვებელი ცენტრალური სააგენტოს და ეროვნული ცნობების მომპოვებელი ბიუროს, რომლებიც ეკვემდებარებიან უნდა მეოთხე კონვენციის მთელ ერთ პარაგრაფს (მუხლები 136 და 141), როლი და საქმიანობა, რომელიც არაპირდაპირ დაკავშირებულია ლტოლვილებთან, ასახულია აგრეთვე პროტოკოლ I-ში (მუხლი 32 და 33).

ამას გარდა, მეოთხე კონვენციაში, რომელიც კრძალავს მოსახლეობის ძალდატანებით გადაადგილებას (მუხლი 45) ხაზგასმულია, რომ „მფარველობაში შეიფიქი პირი არანაირი გარემოების გამო არ უნდა იქნეს გადაყვანილი იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს მისი დევნის საშიშროება პოლიტიკური შეხედულებების ან რელიგიური რწმენის გამო“. სამხედრო მიზეზებით გამოწვეული გადაადგილების გამო ოკუპაციურმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შესაძლო ზომები გადაყვანილი პირების ხელის შესაწყობად მიღების ადგილზე (საცხოვრებელით უზრუნველყოფა, საკვებით მომარაგება, პიგიენური პირობების შექმნა და სხვ.)

და იზრუნოს, რათა ოჯახის წევრები არ იქნენ ერთმანეთს დაშორებული (მუხლი 49' (მეოთხე კონვენცია)).

გარდა ზემოთ აღნიშნული საერთო პუნქტებისა, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს ღტოლვილთა საკითხები განიხილება კონვენციებისა და ოქმ I-ის სხვადასხვა მუხლებით. მაგ.: მეოთხე კონვენციის 44-ე მუხლით სატექილია, რომ ღტოლვილი რომლებსაც პრაქტიკულად არ იცავს არცერთი მთავრობა, არ უნდა ჩაითვალონ მტრებად მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან მოწინააღმდეგებ სახელმწიფოს მოქალაქენი იგივე კონვენციის მუხლი 70, პარაგრაფი 2 კრძალავს ოკუპაციური ძალაუფლების მიერ დაპატიმრებას, გასამართლებას, სასჯელის დადებას, გარდა იმ დანაშაულისა, რომელიც ჩდენილია საოპარი მოქმედების დაწყების შემდეგ და რომელიც მშვიდობიან ჟურიოდშიც ექვემდებარება ექსტრადიციას.

III. პარონი ადამიანის უფლებების უფლებების შესახებ

ა) ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საფუძველს ადამიანის უფლებების საყოველთაო კანონისათვის. დეკლარაცია ღტოლვილებთან, თავშესაფრის მაძიებელ და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, იმდენად, რამდენადაც მრავალ შემთხვევაში იგი უფრო ფართო მასშტაბით განიხილავს ადამიანის უფლებებს, ვიდრე ღტოლვილთა კანონი და პუმანიტარული სამართლი. მასში განსაკუთრებით ხაზგასმულია თავშესაფრის ძებნის უფლება. როგორც მისი სათაურიდანვე ჩანს, დეკლარაცია ატარებს საყოველთაო ხასიათს. დეკლარაციის I მუხლში ნათქვამია: „ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალა და თანასწორი თავისი ღირსებებითა და უფლებებით“. დეკლარაციის მნიშვნელობა ღტოლვლების, თავშესაფარის მაძიებელი და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მდგომარეობის იმაში, რომ ღტოლვილთა კანონის და პუმანიტარული სამართლისაგან განსხვავებით, რომლებიც ითვალისწინებენ შეზღუდულ და პირობით გარანტიებს, დეკლარაცია იძლევა უპირობო გარანტიებს. 1951 წლის კონვენციითა და 1967 წლის ოქმით გათვალისწინებული მრავალი ის უფლება, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, დეკლარაციით უპირობო ენიჭება ყველა მოქალაქეს, ღტოლვილების ჩათვლით. ამ უფლებებში შედის: უძრავი, მოძრავი და ინტელექტუალური ქონების უფლება (მუხლი 17, 27 (2); ასოციაციების შექმნის უფლება (მუხლი 20); შრომის უფლება (მუხლი 23); თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება (მუხლი 13).

გარდა ამისა, დეკლარაცია თავშესაფარის მაძიებლებს ანიჭებს მთელ რიგ სხვა უფლებებსაც, რომლებიც 1951 წლის კონვენციითა და 1967 წლის ოქმით არ არის გათვალისწინებული. ასეთი უფლებებია: სიცოცხლის, თავისუფლებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 3), მონობის, წამების, უკანონო დაპატიმრებისა და დაკავებისაგან დაცვის უფლება (მუხლები 4, 5, 9); ყველა ადამიანის კანონით თანაბრად დაცვის უფლება (მუხლი 7); მიუ-

კერძოებელი და საჯარო მოსმენისა და უდანაშაულობის პრეზუმუციით სარგბებულობის უფლება, როდესაც პიროვნებას ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში (მუხლები 10, 11 (1)); ex post facto სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან დაცვის უფლება (მუხლი 11 (2); საიდუმლოების შენახვის უფლება (მუხლი 12), აზროვნების, მრწამსის და საკუთარი აზრის თავისუფლად გამოტქმის უფლება (მუხლები 18, 19); დასვენების, გართობის და ცხოვრების სათანადო დონით სარგებლობის უფლება (მუხლები 24, 25) და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 27).

და ბოლოს, ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და იძულებით გადადგილებულ პირთა ფეხლაზე უფრო მნიშვნელოვანი პერსპექტივიდან გამომდინარე, საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს თავშესაფარის საყოველთაო უფლებას. მუხლი 14 (1) აღგენს: „ყოველ ადამიანს, რომელსაც დევნიან, უფლება აქვს ემებოს თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფარით“. ამრიგად, 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმისაგან განსხვავებით, საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს თავშესაფრით სარსებალობის უფლებას თავშესაფარ ქვეყანაში შესვლამდე. ამიტომ, ეს არის ნორმა, რომელიც გამოიყენება არა მარტო თავშესაფარი ქვეყნის მიმართ, არამედ იმ ქვეყნის მიმართაც, რომელშიც პიროვნება დევნის განიცდის, უფრო მეტიც, ტერმინი დევნა არ შემოიფარგლება „რასის, რელიგიის, ეროვნების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური შეხედულების მიზეზებით“, როგორც ეს მოცემულია 1951 წლის კონვენციაში და შეტანილია 1967 წლის ოქმში, მაგრამ აღადათ ეხება დევნის ყოველგვარ ფორმას. ერთადერთი შეზღუდვა ამ ფართო უფლებაში გადმოცემულია მუხლი 14 (2)-ში, სადაც ნათქვამია, რომ თავშესაფარის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება დევნის ისეთ შემთხვევებში, რომლებიც გამოწვეულია არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაულით, ან ისეთი ქმედებათ, რომლებიც ეწინააღმდეგება გაცემის შეზნებსა და პრინციპებს.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო დეკლარაცია აფართოვებს ლტოლვილთა, თავშესაფარის მაძიებელთა და გადაადგილებულ პირთა მფარველობის შესაძლებლობებს, ეს შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია. თავისთავად საყოველთაო დეკლარაცია არ არის არც კონსტიტუციური დოკუმენტი და არც იურიდიულად სავარდებულო ხელშეკრულების ინსტრუმენტი, რომელშიც უფლებები იფიციალურადაა ჩამოყალიბებული; მასში უფრო ფორმულირებულია ისეთი პრინციპები, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს საერთაშორისო თანამეგობრობა. ეს ცხადად ჩანს პრემბულის დასკნიდან, სადაც ნათქვამია, რომ „საყოველთაო დეკლარაცია არის საერთაშორისო სტანდარტის მონაბოვარი ყველა ხალხებისა და ყველა ერებისათვის, იმ მიზნით, რომ თითოეულმა პიროვნებამ და საზოგადოების ყოველმა ორგანომ, მუდმივად ითვალისწინებენ რა ამ დეკლარაციას, სწავლა-განათლების გზით ხელი უნდა შეუწყონ ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, რათა პროგრესული ეროვნული და საერთაშორისო დონისძიებებით უზრუნველყონ მათი საყოველთაო აღიარება და დაცვა“. ამრიგად, მიუხედავად თავისი ლიბერალური ხასიათისა მფარველობის იმ ფორმების გამო, რომლებსაც იგი ითვალისწინებს საყოველთაო დეკლარაცია ჩვეულებრივ ვერ უზრუნველყოფს იმის საფუძველს, რომ პიროვნების მოთხოვნა იურიდიულად ფორმულირებული იქნეს. სამაგისტრო, ლტოლვილებმა თევზასაფარის მაძიებელმა და გადაადგილებულმა პირებმა თვალყური უნდა აღევნონ გაეროს ხელშეკრულების დოკუმენტებსა და ადამიანის უფლებების დაცვის რეგისტრაციულ კონვენციებს, რათა დეკლარაციაში ჩადებული პრინციპები ცხოვრებაში განხორციელდეს.

ბ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი

1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტთან ერთად) ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების განხორციელებას. კონვენციაში აღიარებულია მთელი რიგი საყოველთაო, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციაში მოცემული საკითხების ანალოგიურია. ასეთი უფლებებია: სიცოცხლის უფლება (მუხლი 6), წამების, მონობის, უკანონო დაპატიმრებისაგან დაცვის უფლება (მუხლები 7, 8, 10), ადამიანის თავისუფლებისა და მისი ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 9), თავისუფალი გადაადგილების უფლება (მუხლი 12), ყოველი ადამიანის კანონით თანაბარი დაცვის უფლება (მუხლები 14, 26), ex post facto სისხლის სამართლის კანონისაგან დაცვის უფლება (მუხლი 25), საიდუმლოს შენახვის უფლება (მუხლი 17), აზროვნების, მრწამსის და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება (მუხლები 18, 19), მშვიდობიანი თავკრილობების უფლება (მუხლი 21), ასოციაციების შექმნის უფლება (მუხლი 22).

იმ შემთხვევებში, როდესაც უცხოელები წარმოადგენენ უმცირეს ჯგუფს, როგორც ეს განსაზღვრულია 27-ე მუხლში, მათ უნდა მიეცეთ უფლება, რომ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ცსარებლონ თავიანთი კულტურული მიღწევებით, მისდომინ საკუთარ რელიგიას და იღაბარაკონ მშობლიურ ენაზე.

ადამიანის უფლებების დაცვ.: ს კომიტეტმა, რომელიც დარწმდა პაქტის 28-ე მუხლის თანახმად, რათა ზედამხედველობა გაუწიოს პაქტით მიღებული უფლებების განხორციელებას, ნათლად ჩამოყალიბა, რომ პაქტით მის. ჭეპული ყოველი უფლება გარანტირებული უნდა იყოს როგორც უცხოელებისათვის, ასევე ამ ქავენის მოქალაქეებისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და „ოუმცა პაქტი არ აღიარებს იმის უფლებას, რომ უცხოელებს შეუძლიათ შევიღნენ ან დასახლდნენ პაქტის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“, გარკვეულ ვითარებაში პაქტი იცავს უცხოელის შესვლას და ცხოვრებას უცხო ქვეყანაში. მაგ.: იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ესება ადამიანის დისკრიმინაციას, არააღადამიანურ მობირობას და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას. თუმცა პაქტი არ აღიარებს თავშესაფარის ძირითად უფლებას, მაგრამ იგი მე-13 მუხლით აღენს, რომ მათი გაძევება შესაძლებელია მხოლოდ „კანონით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად“. ამ პუნქტის მიზანია „თვითხებური გაძევების თავიდან აცილება“. ამას გარდა მუხლი 13 ითვალისწინებს, რომ უცხოელს „უფლება აქვს წარმოადგინოს მისი გაძევების საწინააღმდეგო საბუთები, რათა მისი საქმე გადასინჯული იქნეს კომპეტენტური ორგანოების ან პირების მიერ, თუ სახელმწიფო უშიშროების ინტერესები საწინააღმდეგოს არ მოითხოვს“.

დასასრული შემდეგ ნომერში.

პროფესიონალური დოკუმენტი რაღაც დრაივე (პეტიციები, გარემანია)

სამართლის ცნება

წინასიტყვაობა ჩემი სტატიის „სამართლის ცნება“ ჭართული თანგმანისათვის

ჩემთვის დიდად სასიხარულოა და საპატიო, რომ ეს წერილი ამჯერად ქართულ ენაზე გამოდის. ბატონ დოცენტ დოქტორ ლადო ჭანტურიას მაღლობას ვუხდი იმისათვის, რომ მან თარგმანთან დაკავშირებული გარჯა თავის თავზე აიღო. სამართლის ცნების პრობლემები ნებისმიერ ქვეყანასა და ნებისმიერ დროს თავისებურად წარმოჩინდებიან. მაგრამ პრობლემის ზოგადი სტრუქტურები ყველან ერთი და იგივეა. ამას ადასტურებს სამართლის ცნების ორნახევარი ათასწლოვანი ისტორია. ამ აზრით, ვიმედივნებ, რომ წინამდებარე ტექსტი ქართველი იურისტებისათვისაც იქნება საინტერესო. ვისურვებდი, რომ წერილმა გააღვივოს და ნაყოფიერი გახადოს დიალოგი ორ ძველი კულტურის ქვეყნებს შორის – საქართველოსა და გერმანიას შორის.

I. პრობლემის დასმა

ყველა იურისტს, როგორც წესი, სამართლის ბუნდოვანი ცნება აქვს, რომელიც მათ პროფესიულ თვითშეგნებას უდევს საფუძვლად. მისი ვაცნობიერება და გამოკვლევა სამართლის თეორიის ამოცანას შეადგენს. წინამდებარე სტატია მამოიხილავს პრობლემის მდგრადრობას და სთავაზობს სამართლის ცნების განსაზღვრებას, რომელიც ორიენტირებულია სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაზე, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკაზე.

სამართლის ცნების გამო დავისას სამართლის თეორიის ძირითადი პრობლემები ერთ ცხელ წერტილში იყრიან თავს. წინამდებარე შენიშვნები შეეხება ერთ მონაკვეთს ამ პრობლემათა წრიდან. მე დავიწყებ სამართლის პოზიტივისტური ცნებისათვის თვალის გადავლებით. მეორე ნაწილში შეეხები იმ ორივე ურთიერთსაპირისპირო არგუმენტს, რომელიც თანამედროვე დისკუსიებში სამართლის პოზიტივისტური ცნების წარადმდევ მოიხმობა. მესამე, და ბოლო, განყოფილებაში დავახასიათებ სამართლის ცნების აღექვატურობის ზოგ პრობლემას.

II. სამართლის არზიტივისტური ცნება

არსებობს იურიდიული (და სოციოლოგიური) პოზიტივიზმის მრავალი ნაირსახეობა და შესაბამისად, სამართლის პოზიტივისტური ცნების მრავალი დეფინიცია. მე გამოვკვეთავ აქ მხოლოდ ცნების მთავარ ელემენტებს მის სხვადასხვა ფორმებში¹.

¹ მისთვის მე უმთავრესად ვიყენებ H. Kelsen, Reine Rechtslehre, 2. Aufl. 1960; H. L. A. Hart, The Concept of Law, Oxford 1961; ders., Recht und Moral. Drei Aufsätze, dt. Ausg. (1971); Ott, Der Rechtspositivismus, 1976; Dreier, Recht-Moral-Ideologie. Studien zur Rechtstheorie, 1981, Kap. 6.

სამართლის ფუნქციები

1. პოზიტივისტური სამართლის ფუნქციები საერთო თეზა ამბობს „რომ არ არსებობს აუცილებელი ურთიერთგავშირი სამართლას, და მორალს შორის. ამასთან, მე ვკულისხმობ „სამართლას“ პოზიტიურ სამართლად და „მორალს“ იმად, რაც ტრადიციულად „ბუნებით სამართლად“, „გონით სამართლად“ ანდა „სამართლიანობად“ იწოდება. თანახმად ამისა, თეზა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს, რომ ნებისმიერი შინაარსი, ისეთიც კი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, შეიძლება, იყოს სამართლი. ამ თეზას შეესაბამება პოსტულატი, რომ ენიპრივ-ცნებითი სიზუსტიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მკაცრი გამიჯვნა სამართლას, როგორიც ის არის, და სამართლას, როგორც ის უნდა ყოფილიყოს, შორის. ამ კანსხვავებისადმი არაჯეროვან დამოკიდებულებაში ანდა მის შეუფასებლობაში მდგომარეობს, პოზიტივისტური შეხედულების თანახმად, მთავარი წყარო სამართლის მეცნიერების ცნებითი უზუსტობისათვის. სამართლის პოზიტივისტური ცნებისთვის აქედან გამომდინარეობს: იგი შემოიფარგლება სამართლით, როგორც ის არის, ე. ი. პოზიტივისტი სამართლი, და ნორმის ანდა ნორმათა ერთობლიობის მატერიალური სისტემა კი, როგორც დეფინიციის ელგმენტი, მას ფრჩხილებს გარეთ გააქვს.

2. ამის შესაბამისად, პოზიტივისტურ თეორიებს სამართლის ცნების დეფინირებისათვის რჩებათ მხრილოდ ორი მთავარი ელგმენტი: ავტორიტარული კანონურობა და ნორმის თუ ნორმათა სისტემის სოციალური ეფექტიანობა. პოზიტივისტური სამართლის დეფინიციათა მრავალმხრივობა იმით აიხსნება, რომ ორივე ელგმენტი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იღებს და სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს მათი ერთმანეთთან კომბინაცია. თუკი დეფინიციად ირჩევენ შემადგენლობას, მაშინ ორ ჯგუფს განასხვავებენ ერთმანეთისაგან. ერთი მოიცავს უპირატესად ეფექტურობაზე ორიენტირებულ, ხოლო მეორე უპირატესად რეგულირებაზე ორიენტირებულ დეფინიციებს. რასაკირველია, როგორც წესი, ეს უკანასკნელი ეფექტურობის ელგმენტებსაც მოიცავენ.

ა) ეფექტურობაზე ორიენტირებული სამართლის დეფინიციები, უწინარეს ყოვლისა, გვხვდება სამართლის სოციოლოგიურ თეორიებში. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, ნორმის ან ნორმათა სისტემის გარეგნულ ასპექტებს ემყარებიან თუ შინაგანს. ნორმის გარეგნული ასპექტი მდგომარეობს მის ფაქტობრივ დაცვასა თუ გამოყენებაში, შინაგანი ასპექტი (ხშირად მოტივირებადი) – ფაქტობრივ მზადყოფნაში ამ ნორმათა დასაცავად და ანდა გამოსაყენებლად. სამართლის სოციოლოგიური დეფინიციები უმთავრესად ემცარება გარეგნულ ასპექტს. მაგალითებს წარმოადგენს Max Weber-ისა და Theodor Geiger-ის დეფინიციები. (Max Weber: „წესრიგს უნდა ერქვას სამართლი, როცა იგი გარეგნულად გარანტირებულია ფიზიკური ანდა ფსიქიკური იმულების შანსით, დარღვეულის აღსაკვეთად ანდა დასასჯელად მიმართული ამისთვის გამიზნული ადამიანთა შტაბის მოქმედების მეშვეობით“; Theodor Geiger: „სამართლი არის ცენტრალურად ორგანიზებული დიდი საზოგადოებრივი ინტეგრატის სოციალური ცხოვრების წესრიგი, რმდენადაც ეს წესრიგი ემყარება სანქციების აპარატის ქონება სპეციალურ ორგანოებს“)². ამ ჯგუფს მიეკუთვნება ასევე Oliver Wendell Holmes დეფინიცია: („The prophecies of what the courts will do in fact, and nothing more pre-

² Max Weber, Wirtschaft und Gesellschaft (1921), Studienausg., hg. v. H. Winkelmann, 1964, S. 24. Zum Verhältnis des soziologischen zum juristischen Rechtsbegriff bei Max Weber vgl. Loos, Zur Wert- und Rechtslehre Max Webers, 1970, S. 93 ff.

³ Geiger, Vorstudien zu einer Soziologie des Rechts, 1947, Ausg. 1964, S. 339.

tentious, are what I mean by the law⁴⁾). შინაგან ასპექტზე მიმართული ფენომენის მაგალითად ვასახელებ Ernst Rudolf Bierling-ს („სამართლი იურიდიული გაგებით საზოგადოდ არის ის, რასაც ამა თუ იმ საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრები ადამიანები როგორც ნორმას ან წესს ამ ერთად ცხოვრებისათვის ორმხრივად აღიარებენ“)⁵ და Nuklas Luhmann („ჩვენ შეგვიძლია სამართლი განვსაზღვროთ როგორც საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურა, რომელიც ემდარება ნორმატიული მოქმედების მოლოდინის თანასწორ გენერალიზებას“)⁶.

ბ) რეგულირებაზე ორიენტირებული სამართლის დეფინიციები უპირატესად იურიდიული, განსაკუთრებით ანალიტიკური სამართლის დეფინიციებში, გვჩვდება. კლასიკური მაგალითი არის John Austin-ის დეფინიცია, რომელმაც სამართლი განსაზღვრა როგორც სუვერენის საქციით უზრუნველყოფილი ბრძანებების ერთობლიობა.⁷ რეგულირებისა და ეფექტურობის ელემენტების კომბინაციას მიმართავს აუსტინ იმით, რომ იგი სუვერენის განსაზღვრავს როგორც ვინმედ, რომლის ბრძანებები ჩვეულებების შესაბამისად სრულდება. ასევე კომბინატორულია ანალიტიკური სამართლის თეორიის ამ საუკუნის ორივე მთავარი Hans Kelsen-ისა და Herbert Hart-ისეული სამართლის ცნებები. კელზენი სამართლს განსაზღვრავს, როგორც „ადამიანური ურთიერთობის ნორმატიულ იძულებით წესრიგს“, რომლის ნორმატიულობა ემდარება ერთ წინასწარ დადგენილ ძირითად ნორმას, „რომლის თანახმად ისე უნდა მოიქცნე, როგორც ეს ფაქტობრივად დადგენილ, ზოგადად და მთლიანად მოქმედ კონსტიტუციაში და ამ კონსტიტუციის შესაბამისად ფაქტობრივად დადგენილ, ზოგადად და მთლიანად მოქმედ ნორმებს შეესაბამება“⁸. ჰარტისთვის, რომელიც დეფინიტორულ ფორმულაზე უარს ამბობს, განვითარებული სამართლის სისტემები წარმოადგენენ „Combination of primary rules of obligation and secondary rules of recognition, change and adjudication“.⁹ ცენტრალურ აღვილს მის კონცეფციაში იკავებს rule of recognition, რომელიც სოციალური აღიარების ძალით მოქმედებს და სამართლის სისტემას მიკუთხნებული ნორმების შემცნებისა და ნამდვილობის კრატერიუმებს განსაზღვრავს. ინკლისური სამართლის სისტემისათვის, მაგალითად, ჰარტი აყალიბებს წინადადებაში: „What the Queen in Parliament enacts is law“.¹⁰

3. ვარკვეული გამარტივებით შეიძლება ათქვას, რომ ეფექტურობაზე ორიენტირებული დეფინიციები სამართლს დაკირვების, უფრო ზუსტად, სოციოლიგიური პერსპექტივიდან განსაზღვრავს, მათიც როცა რეგულირებაზე ორიენტირებული დეფინიცია საფუძვლად დებს მონაწილება, განსაკუთრებით მოსამართლეთა პერსპექტივებს“. სიინტერესო შუალედურ აღვილს იკავებს

⁴ Holmes, The Path of Law, 1897; in: ders., Collected Papers, New York 1920, S. 167.

⁵ Bierling, Juristische Prinzipienlehre I, 1894, S. 19.

⁶ Luhmann, Rechtssoziologie I, 1972, S. 105.

⁷ Vgl. Austin, Lectures on Jurisprudence II, 4. Aufl. (Ed. Campbell, London, 1873), S. 687.

⁸ Vgl. Kelsen, Reine Rechtslehre, S. 45 ff., 219.

⁹ Vgl. H. L. A. Hart, The Concept of Law, S. 95.

¹⁰ A. a. O., S. 104; vgl. ebd., S. 92 f., 97 ff.

¹¹ Vgl. Harts Unterscheidung zwischen einem externen und einem internen Standpunkt gegenüber dem Recht (The Concept of Law, S. 86 FF.). Ich mache von dieser Unterscheidung jedoch einen anderen Gebrauch als Hart; s. u. Abschnitt IV.

Holmes-ის პროგნოსტიკული დეფინიცია, რომელსაც უპირატესად ადვოკატთა პერსპექტივა შეიძლება მიესადაგოს. პარტიის ული სამართლის ცნებაც შეიძლება მიკუთვნებულ იქნას ეფექტურიაზე თრიენტირებული დეფინიციებისადმი. მთხელავად ამისა, განსხვავებას მაინც აქვს აზრი, რადგან იგი უთი-თებს სამართლის ცნების აღექვატურობის შესაძლო კრიტერიუმებზე.

4. როცა შემდგომში მორიგი დამატებების გარეშე ლაპარაკი იქნება სამართლის პოზიტივისტურ ცნებაზე, ამით იგულისხმება ის, რაც კელზენისა და ჰარტის ანალიზებში ყველაზე შეკარად არის გადმოცემული. ეს ანალიზები უპირატესად ორიენტირებულია განვითარებულ, სახელმწიფო ებრივად ორგანიზებულ სამართლის სისტემაზე. აქედან გამომდინარეობს არქაული და საერთაშორისო სამართლის სამართლებრივი ხასიათის პრობლემები. მაგრამ ისინი შეიძლება შედარებით მარტივად გადავწყვიტოთ განვითარებულ და განვითარებულ („ემბრიონულ“) სამართლის სისტემებს შორის განსხვავებების მეშვეობით. ანალიტიკური მიზნებისთვის არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც გამოვიდეთ უფრო განვითარებული, სახელმწიფო ებრივად ორგანიზებული სამართლის სისტემიდან.

III. არგუმენტები სამართლის პოზიტივისტური ცნების რიცხავდღებ

სამართლის პოზიტივისტური ცნებას წინააღმდეგ თანამედროვე დებატებში უმთავრესად ორი არგუმენტი გამოიყენება: უსამართლობის არგუმენტი და პრანციპების არგუმენტი. არსებითად ორცვე მიმართულია სამართლისა და მორალის გახლების თაობაზე პოზიტივისტური თეზის წინააღმდეგ:

1. უსამართლობის არგუმენტი ნიშნავს, რომ არსებობს ნორმები და ნორმათა სისტემები, რომლებიც იმდენად უსამართლოა, რომ უარყოფილი უნდა იქნეს მათი სამართლებრივი ნამდვილობა და/ან სამართლებრივი ხსიათი. სამართლის ფილოსოფიის ისტორიიდან ეს არგუმენტი მრავალი ვარიაციითაა ცნობილი, როგორც მაგალითად, *lex corporata*-ს არგუმენტი. თანამედროვე აქტუალობას იგი უმაღლის ამ საუკუნის ტოტალიტარულ დიქტატურებში, განსაკუთრებით კი „მესამე რეიჩში“ მომხდარ სამართლის გაუკულმართებებს. შესაბამისად ამისა, მას შეიძლება ეწოდოს გაუკულმართებების ანდა ტოტალიტარიზმის არგუმენტი. ამ არგუმენტის განხილვისას ხშირად არაა ნათელი, იგი სამართლის ცნებაზე ვრცელდება, თუ სამართლის ნამდვილობაზე და რამდენად შეესაბამებიან ისინი ერთმანეთს. მე გამოვდივარ იმ თეზიდან, რომ სამართლის ნამდვილობა პოზიტიური სამართლის ცნების ელემენტს წარმოადგენს, ისე რომ გამონათქვამები სამართლის ნამდვილობის შესახებ სამართლის ცნების გამონათქვამებს მოიცავენ და პირიქით. ამ თეზას მე IV განყოფილებაში დაგვასაბუთებ. საგნიპოვად უსამართლობის არგუმენტი ორ ვერსიაში გამოიხატება. ერთი შეხება ცალკულ ნორმებს, ხოლო მეორე — ნორმითა სისტემებს.

ა) პირველი ვერსია კლასიკურად ჩამოაყალიბა გუსტავ რადბრუხმა¹². მის თანახმად, კონფლიქტი პოზიტიურ სამართალსა და სამართლიანობას შორის იმ-გვარად წყდება, რომ პოზიტიურ სამართალს, გამსაკუთრებით სახელმწიფო კანონს, მაშინაც კი უპირატესობა აქვს, როცა მისი შინაარსი უსამართლოა, ...ოე-

¹² Radbruch, Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, in: ders., Rechtsphilosophie, 8. Aufl. (1973), S. 339-350.

კი კანონის დაპირისპირებამ სამართლიანობის წინააღმდეგ არ მიაღწია ისეთი უძრავი აუტანელ ზომას, რომ კანონი, როგორც „უსამართლო სამართალი“ სამართლიანობას უარყოფს“¹³. ამ ფორმულის კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ ვა-მოთქმა „უსამართლო სამართალი“ იგივეობრივია გამოთქმის „კანონიერი უსა-მართლობა“. სამართლიანობის კრიტერიუმებს, რომლითაც ფორმულა გამოი-ყენება, რადგრუხი იღებს ადამიანისა და მოქალაქეების უფლებათა ტრადიციებიდან. უწინარეს ყოვლისა, თანასწორობის პრინციპიდან.

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ და ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ რადგრუხისეული ფორმულა მრავალ პრინციპულ გადაწყვ-ვეტილებაში გამოიყენებს¹⁴. მე აქ მოვიხმობ მხოლოდ ფედერალური სასამართ-ლოს 1968 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებას მოქალაქეობის შესახებ¹⁵, რომელშიც ლაპარაკი იყო სამართლის ნამდვილობაზე, უფრო ზუსტად, 1941 წლის 25 ნოემბრის მოქალაქეობის კანონის შესახებ მე-11 დადგენილების სა-მართლებრივ ხასიათზე, რომლითაც ემიგრირებულ ებრაელებს რასობრივი სა-ფუძვლებიდან გამომდინარე გერმანული მოქალაქეობა ჩამოერთვათ. ამ გადაწყვე-ტილების 1–3 თეზისი ასე გამოიყერება:

„1. ნაციონალ-სოციალისტური „სამართლის“ ნორმებს შეიძლება სამართ-ლის ნამდვილობაზე უარი ეთქვათ, თუკი ისინი სამართლიანობის ფუნდამენ-ტურ პრინციპებს ისე აშკარად ეწინააღმდეგებიან, რომ მოსამართლე, რომელ-საც ისინი უნდა გამოყენებინა ანდა მათი სამართლებრივი შედეგის ცნობა სუ-რდა, მათ სამართლის ნაცვლად უსამართლობად მიიჩნევს. 2. მეთერთმიტე დადგენილებაში სამართლიანობისადმი დაპირისპირებამ ისეთ აუტანელ ზომას მიაღწია, რომ თავიდანვე ბათილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. 3. ერთხელ და-კანონებული უსამართლობა, რომელიც სამართლის უფერმდებლურ პრინციპებს აშკარად ხელყოფს, არ იქცევა სამართლად იმის გამო, რომ იგი გამოყენებულ ანდა დაცულ იქნა“.

სამართლის თეორიის საერთაშორისო ლიტერატურაში რადგრუხის ფორ-მულა სადაცა. ჰარტმა პოზიტივისტური გახლეჩის თეზიდან გამომდინარე აშ-კარად უარყო იგი¹⁶. მისი მოსაზრების მიხედვით მორალურად უარსაყოფი კა-ნონის აუტანელი შედეგები იმით კი არ უნდა იქნეს თავიდან აცილებული, რომ მოსამართლე აკეთებს სამართლის ცნების მოდიფიკაციას, არამედ იმით, რომ კანონმდებელი გამოსცემს უპარესებითი ძალის მქონე კანონებს. ეს ალტერ-ნატივა ფაქტობრივად აყალიბებს მთავარ პრობლემას. ეს პრობლემა მაშინ არ-სებობს. როცა აუცილებელი ხდება ტოტალიტარული დიქტატურების დროს კა-უგვლერთებული სამართლის შესწორება ამ დიქტატურების მსხვრევის შემდევ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ცხადია, კანონმდებელი მოწოდებულია ამისკენ. მაგრამ ეს არ პასუხობს კითხვაზე, თუ რა უნდა გაკეთოს მოსამართლემ, როცა კანონმდებელი, როგორც ყოველთვის, აცუდებს. ჩემი ფიქრით, 1945 წლიდან

¹³ A. a. O., S. 345.

¹⁴ S. BGHZ 3, 94 (107) = NJW 1951, S. 917; BGHZ 23, 175 (181) = NJW 1957, S. 627; BGHSt 2, 173 (177); 2, 234 (238); 3, 357 (362 ff.) = NJW 1953, S. 351; BVerGE 3, 58 (119) = NJW 1954, S. 21; BVerGE 3, 225 (233) = NJW 1954, S. 65; BVerfGE 6, 132 (138) = NJW 1957, S. 579; BVerfGE 6, 389 (414 ff.) = NJW 1957, S. 865; BVerfGE 23, 98 (106) = NJW 1968, 1036 L = RzW 1968, S. 381! BVerfGE 54, 53 (67 ff.). Vgl. B. Schumacher, Rezeption und Kritik der Radbruchschen Formel, Diss. Göttingen 1985.

¹⁵ BVerfGE 23, 98 = NJW 1968, 1036 L = RzW 1968, S. 381.

¹⁶ H. L. A. Hart, Der Positivismus und die Trennung von Recht und Moral (Fn. I), S. 39 ff.

¹⁷ Kriele, Recht und praktische Vernunft, 1979, Kap. 5.

მოყოლებული გერმანიის სასამართლოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამას შეუძლია აუტანელი შედეგების გამოწვევა, თუკი მოსამართლე ამ შემთხვევებში პოზიტივისტური გახლეჩის თეზას დაემყარება. ამას სამართლის თეორიამაც უნდა გაუწიოს ანგარიში და უნდა დაფიქრდეს, რამდენად მისაღებია, რომ სამართლის ცნების ირგვლივ დავამ მოქალაქეთა მხრებზე გადაიაროს.

ბ) უსამართლობის არგუმენტის მეორე ვერსია მომდინარეობს Martin-Krieger-საგან.¹⁷ იგი შეეხება არა ცალკეულ ნორმებს, არამედ სახელმწიფო-ებრივად ორგანიზებულ ნორმათა სისტემას. კრილეს თეზა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელი ურთიერთკავშირი სამართლებრივ ვალდებულებასა და მორალურ ვალდებულებას შორის იმგვარია, რომ პოზიტიური სამართლის განხორციელება მოვალეობას შეადგენს, „თუკი სამართალი ზოგადად და უმთავრესად ზნეობრიობას უწევს ანგარიშს“¹⁸. ეს პირობა, კრილეს მიხედვით, სრულდება მაშინ, როცა სამართალი ისეთი სისტემის ნაწილია, რომელიც დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს პრინციპებს ემყარება. მიუხედავად ამისა, იგი არ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტოტალიტარული დიქტატურების ნორმათა სისტემებს მთლიანად ეთქვათ უარი მათ სამართლებრივ სავალდებულობაზე, კერძოდ, მათ სამართლებრივ ხარისხზე. უფრო მეტად იგი წარმოადგენს მოსაჩრებას, რომ ტოტალიტარულ დიქტატურებშიც კი არსებობსო „უშუალო კანონის-მიერი ლეგიტიმურობა“, კერძოდ, ისეთი კანონებისა და ინსტიტუტებისათვის, რომლებიც არაა სისტემისათვის ტიპიური და გამართლებულია ეთიკურად. არსებითად, კრილეს ფორმულა საბოლოოდ იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც რადგრუხის შესაბამისი ფორმულა. იგი უშვებს, რომ შეიძლება სპეციფიკური ტოტალიტარული ნორმები და ინსტიტუტები არ იქნენ სამართლად მიჩნეული და მათი უარყოფა არა თუ მორალურად, არამედ ასევე სამართლებრივადაც ვამართლდეს. რადგრუხისეული კონცეფციისაგან ეს კონცეფცია იმით განსხვავდება, რომ იგი სამართლებრივი ხასიათით სადათ აქტებს იმ სამართლის სისტემის ხასიათს უკავშირებს, რომელშიც იქნა ისინი გამოყენებული.

უფრო მეტიც, კრილეს ფორმულას ერთ პრობლემამდე მივყავართ, რომელსაც კრილე თვითონ არ ამბობს და რომელიც მე აქ გაკვრით მინდა მოვიხსენიო. იგი შეეხება სახელმწიფოებისა და მთავრობების საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების სამართლის ცნებით ასპექტებს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ პირობებს, რომლის არსებობისას საერთაშორისო სამართლებრივი თანამეგობრობა მზადაა სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ხელისუფლებითი წყობილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, უფრო ზუსტად, მთავრობა სახელმწიფოს სამართლებრივ წარმომადგენლად ცნოს, სულ ცოტა, სამართლის ცნების შესახებ ისეთი ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ, რომელიც საერთაშორისო სამართალს უდევს საფუძვლად. ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, კოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ცალსახად პოზიტიურია. ცნობის თეორიასა და პრაქტიკაში კი დომინირებს ეფექტურობის პრინციპი¹⁹. მაგრამ იგი როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად პრინციპულ კონფრონტაციაშია ლეგიტიმაციის პრინციპთან, თანამედროვე პირობებში კი, განსაკუთრებით, დემოკრატიული ლეგიტიმაციის პრინციპთან, რომელიც სხვადასხვა მიზეზებისა და ურთიერთობების კვალობაზე მუდამ კვლავ ნამდვილი ხდება. თუკი მხედველობაში მიიღება ის, რომ ყველა სახელმწიფო და მთავრობა დღეს პრაქტიკულად მათ წარმომადგენაში დემოკრატიულად ლეგიტიმურია, მაშინ — მიუხედავად ზოგადი სამართლის პრინციპების, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროების ნაშდ-

¹⁸ A. a. O., S. 117.

¹⁹ Vgl. z. B. Menzel-Ipsen, VölkerR, 3. Aufl. (1979), § 22 m. w. Nachw.



ვილობის დაწაბუთებისა — შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის ცნებაც ღიაა სამართალ-ეთიკური მოდიფიკაციისათვის...

2. პრინციპების არგუმენტი ნიშანავს, რომ ყველა განვითარებულ სამართლებრივ სისტემას გააჩნია იმანენტური პრინციპები, რომლებიც მათი სტრუქტურის და/ანდა მათი სამდვილობის დასაბუთების ძალით სამართლის პოზიტივისტურ ცნებას ამსხვრევენ. იმ ფორმით, როგორც ის დღეს უმთავრესად განიხილება, თავდაპირველად დაამუშავა Ronald Dworkin-მა²⁰. გერმანიაში Dworkin-ის თეორია, უწინარეს ყოვლისა, რობერტ ალექსიმ გადმოიღო და ჩაწილობრივ დააზუსტა, ნაწილობრივ კი მოდიფიცირება გაუკეთა მას²¹. არსებითად ეს არგუმენტიც პრობლემის ისტორიაში მრავალმხრივად გამოიყენება, მაგალითად თავისუფალი სამართლის სკოლაში და Josef Esser-ის დიდ მოწოდებითაში „კერძო სამართლის სამოსამართლო სამართალშემოქმედებაში პრინციპისა და ნორმის“ შესახებ²². იმის შესაბამისად, პრინციპების სტრუქტურას თუ მათი ნამდვილობის დასაბუთებას გმიარებიან, შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ არგუმენტის ორი ვერსია: სტრუქტურულ-თეორიული და ნამდვალობათეორიული.

a. ძირითადი არის სტრუქტურულ-თეორიული ვერსია. მისი გაგებისათვის სასურველია ერთ წერტილში გჩქერება, რომლის ირგვლივაც დღეს ერთსულოვნება არსებობს. იგი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ მთლიანად პოზიტიურ სამართალს, როგორც ჰაბობს, „ღია ტექსტი“ აქვს²³, ე. ი. გაურკვეველი სიტუაციები და ნორმათა კოლიზიები მოსამართლებს იმ ფასეულობების შერჩევის ამოცანის წინაშე აყენებენ, რომლებიც, პრინციპში, ღირებულებაზე ორგნატიურებულ შეჯერებას წარმოადგენენ. პოზიტივისტური თეორია ამ მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებს, რომ პოზიტიური სამართალი ამ სფეროში მოსამართლებს აძლევსო უფლებამოსილებას მიმართონ სამართლის გარეთა განზომილებებსაც, განსაკუთრებით, როგორიცაა. მორალი. ამ მიმართებით მოსამართლე სამართალს კი არ „პოულობს“, არამედ „ქმნის“ მას – ცალკეული შემთხვევებისთვის ამ გადაწყვეტილებათა სავალდებულობის ძალით და, პრეიუდიციული ბოჭვის ფარგლებში -- აგრეთვე სამოსავლო შემთხვევებისთვისაც. პოზიტივისტური თეორიის ამ მიმართებითი მთავარი თეზა უკვე აუსტინმა ჩამოაყალიბა: „So far as the judge's arbitrium extends, there is no law at all“²⁴. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა: სადაც შეჯერება იწყება, იქ მთავრდება სამართალი.

ამის საპირისპიროდ, პრინციპების არგუმენტი თავის სტრუქტურულ-თეორიულ ვერსიაში ამბობს, რომ მოსამართლე ე. წ. „მოსაზრების“, უფრო ზუსტად, შეჯერების სფეროშიც კი, სამართლებრივად შეზღუდულია სამართალსა და მორალს შორის საჭირო კავშირის აღდგენის აზრით. ამ თეზის საფუძველს შეადგენს სტრუქტურული განსხვავება წესებსა და პრინციპებს შორის. დორუინის აზრით, იგი მდგომარეობს იმაში, რომ წესები auf eine Alles-oder-nichts-Weise გამოყენებადი არიან, მაშინაც როცა პრინციპებს ზეგავლენის განზომილება გააჩნიათ, რომლებიც კაზუსების ამოხსნის დროს შეიძლება განსხვავებული

²⁰ Dworkin, Taking Rights Seriously. 2. Aufl. (London 1978).

²¹ Alexy, Zum Begriff des Rechtsprinzips, in: Rechtstheorie, Beiheft I, 1979, S. 59-81; ders., Theorie der Grundrechte, 1985. insb. Kap. 3.

²² Eßer, Grundsatz und Norm in der richterlichen Fortbildung des Privatr. 3. Aufl. (1974).

²³ H. L. A. Hart, The Concept of Law, S. 120, 124 ff., 233, 249.

²⁴ Austin (Fn. 7), Bd. II, S. 338 ff.

ინტენსიურობით იქნეს გამოყენებული²⁵. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წესები ესაა ნორმები, რომლებიც ფაქტობრივი შემადგენლობისა და სამართლებრივი შედეგებისაგან შედგებიან, და იმგვარად, რომ სამართლებრივი შედეგი დგება მუდამ, როცა ფაქტობრივი შემადგენლობა განხორციელებულია. ამისგან განსხვავებით, პრინციპები, როგორც მათ აღექსი განსაზღვრავს, არიან ოპტიმირებას წინადადებები, რომლებიც განსხვავებული ხარისხით შეიძლება განხორციელდნენ, ე. ი. ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ რაღაც (მიზანი ან ღირებულება) შესაძლოდ მაღალ ხარისხში უნდა განხორციელდეს²⁶. ამ აზრით, კურმანის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიტიურ სამართალში პრინციპებს წარმოადგენენ, მაგალითად, ე. წ. სახელმწიფოს მიზანდასახულობები, განსაკუთრებით, სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიული და სოციალური სახელწიფოს პრინციპები (ძირითადი კანონის მე-20, 28-ე მუხლები), და ძირითადი უფლებების დასახულობები, რამეთუ ისინი ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს ინტერპრეტაციით „მთავარ დირექტულებით პრინციპულ ნორმებად“ გამოიყენებიან სამართლის ფედელა დარგში და ფედელა სამ სახელმწიფო ხელისუფლებას ავალდებულებენ, რომ ფაქტობრივად და სამართლებრივად მიისწოდნენ ღირსების დაცვის, თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ (კონსტიტუციის 1-19 მუხლები, განსაკუთრებით 1-3).

პრინციპების ამ ცნების საფუძველზე შეიძლება პრინციპების არგუმენტის სტრუქტურულ-თეორიული ვერსია იმგვარად განისაზღვროს, რომ სამართლებრივად მოქმედი პრინციპები მათი სტრუქტურის ძალით სამართლის პოზიტივისტურ ცნებას ამსხვრევენ, რამეთუ ისინი მორალური იდეალის სანიმუშო განხორციელებას სამართლებრივ მოვალეობად აქცევენ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მისი მსგავსი სახელმწიფოების შემთხვევაში ამგვად იდეალის შეადგენს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიისა და სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპებით გამსჭვალული სამართლებრივი და სახელმწიფო წყობილება. იქ, სადაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებმა ეს პრინციპები, რომლებიც იმავდროულად ახალი დროის სამართლისა და სახელმწიფოს ეთიკის მთავარ პრინციპებს წარმოადგენენ, პოზიტიურ სამართალში სამართლებრივად მოქმედ (ნამდვილ) პრინციპებად დანერგეს, ამით, აღნიშნული არგუმენტის თანახმად, მათ შექმნეს აუცილებელი კავშირი სამართალსა და მორალს შორის, რადგანაც ამით უკვე სამართლის ძალით დადგენილია, რომ სამართალი როგორიც ის არის, გაურკვევლობისა და ნორმათა კოლიზიების შემთხვევაში უნდა დაუახლოვდეს სამართალს, როგორც ის უნდა იყოს.

²⁵ Dworkin (Fn. 20), S. 22 ff. (dt. Ausg. S. 54 ff.).

²⁶ Vgl. Alexy, Theorie der Grundrechte, Kap. 3.

ავტორუმის და „მეცნიერების საკითხი“

საქართველოში მიმდინარე თვისობრივად აზალი შინაარსის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანი მომენტია სახელმწიფოს ტერიტორიულ-ორგანიზაციული მოწყობის ფორმის განსაზღვრა, რაც შესაბამისად უნდა აისახოს რესპუბლიკის კანონმდებლობასა და კონსტიტუციაშა. ამ მიმართებით სერიოზული პრობლემაა ავტონომიების ბედი, მათი არსებობა თუ სახელმისამართის მიერთების განხილვა და საკითხის სამართლებრივი შეფასება.

უწინარესად, უნდა განვიხილოთ ის შირობები და გარემოებანი, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილისადმი ავტონომიური სტატუსის მინიჭებას განაპირობებენ. პროდიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობით ავტონომია ქვეყნის განსაზღვრული ტერიტორიის თვითმმართველობის ფორმაა, რომლის უფლებრივი მდგომარეობაც, უხევად რომ წარმოვიდგინოთ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა და ფედერაციის სუბიექტის კომპეტენციებს შორის არსებულ სივრცეში თავსდება. დასავლეთის იურისარენტიციაში ავტონომიის ცნებას ფართოდ და ვიწრო გაგება გააჩნია. პირველ შემთხვევაში სიტყვის შინაარსი ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილისადმი მინიჭებულ ნებისმიერი დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის ფორმას გულისხმობს (თუნდაც მხოლოდ ადმინისტრაციულ სფეროში). ასეთი შინაარსით გაიაზრება ზემოაღნიშნული ცნება იაბონის კონსტიტუციაში, როცა ის ადგილობრივი ავტონომიის პრინციპებზე მსჯელობს (კონსტიტუციას 92-ე მუხლი). იგივე გარემოებას აქვს ადგილი ვენესუელის კონსტიტუციაშიც, რომლის 25-ე მუხლშიც მუნიციპალიტეტები უშუალოდ „ავტონომიურ ერთეულებად“ მოახსენებიან. ვიწრო, სპეციალური გაებებით ავტონომიის ცნება ქვეყნის ტერიტორიას ამა თუ იმ ნაწილის თვითმმართველობის განსაკუთრებულ სახეს გულისხმობს, რომელსაც მინიჭებული აქვს საშინაო საქმეებში მართვა-გამგებლობის უფლება არა მთილოდ ადმინისტრაციულ სფეროში, არამედ კანონმდებლობის ზოგიერთ საკითხშიც.

განვითარებადი და კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა უპირატესობას, როგორც წესი, სახელმწიფო მოწყობის უნიტარულ ფორმას ანიჭებს, რაც ლოგიკურად განპირობებულია მათი ტერიტორიის სიმცირით და იმ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზან-ამოცანებით, რომელთა გადაწყვეტისაგენაც არის მიმართული ამ ქვეყნების სახელმწიფო მექანიზმი. უნიტარიზმი თავისთავად არ გამორიცხავს ავტონომიის არსებობის შესაძლებლობას, თუმცა ახალებდა სახელმწიფოები არცთუ იოლად ეგუშებიან პოლიტიკური ხელისუფლების დაქასებულობას ქვეყნის შიგნით და აქცენტი შეკაცრ სახელმწიფოებრივ ცენტრალიზაციაზე გადააქვთ. როგორც ცნობილია, ნებისმიერი მეტროპოლია „Divide et impera“ პრინციპიდან გამომდინარე ყოველთვის ცდილობდა კოლონიისათვის თავს მოეხვია სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია მისთვის უდევრალური მოწყობის, ავტონომიების და ა. შ. „შეთავიზებით“, რაც კოლონიზატორს პოლიტიკური მართვის სადაცებს უნარჩუ-

წებდა. მსგავსი საფუძველი ასაზრდოებდა ავტონომიის ინსტიტუტს კოფილ საბჭოთა იმპერიაში; დაახლოებით იგივე პირობებს უქენებს ღღეს რუსეთი მის გეოსტრატეგიულ სივრცეში შემავალ ქვეყნებს. მაშ, რა არის ავტონომია?! სახელმწიფოს ცივილიზებული მოწყობის ვრცი ელემენტი, ქვეყნის სუვერენიტეტის დამუქრებული ნელი მოქმედების ნაღმი, თუ კიდევ სხვა რამ?! მივმართოთ მსოფლიო პრაქტიკას:

ავტონომიის ინსტიტუტი არ არის ერთხელ და სამუდამოდ შაბლონურ ჩარჩოებში მოქცეული კანონთა კრებულის რეალიზაცია ყოველ ცალპეულ ქვეყანაში, რომელიც ამ ინსტიტუტით სარგებლობს. ის დამოუკიდებლობის მეტნაკლები ხარისხით დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორებიცაა ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი, დანია, ინდოეთი, იტალია და ა. შ.

მიუხედავად ფორმალური მსგავსება-განსხვავებისა, ადმინისტრაციული ავტონომია ყოველ ზემოხამოთვლილ ქვეყანაში ხასიათდება შემდეგი ძირითადა ნიშნებით:

1. ავტონომიური ორგანოების მოქმედების სამართლებრივი საფუძველი, ე. წ. სტატუტი, როგორც წესი, დგინდება (ან უკიდურეს შემთხვევაში მტკიცდება) საერთოსახელმწიფოებრივ კანონით;

2. საერთოსახელმწიფოებრივი კანონები ყოველთვის პრევალირებენ რეგიონალურ საკანონმდებლო აქტებზე და ისინი ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდნენ ცენტრალური ორგანოების მიერ;

3. ავტონომიური ორგანოები იმყოფებიან ცენტრალური ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ, რისთვისაც შემოღებულია ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის სპეციალური ინსტიტუტები გუბერნატორის, კომისრის და ა. შ. სახით. ასეა მაგალითად, უარერის კუნძულებზე, რომელსაც 1942 წლიდან ავტონომიური სტატუსი მცენიჭა დანიის სამეფოში და სადაც ადგილობრივი მინი-პარლამენტისა (ლიგტინგი) და მთავრობას საბჭოს (ლანდსტიურე) პარალელურად არსებობს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით დედოფლის მიერ დანიშნული უზენავის ხელისუფლების წარმომადგენლის ინსტიტუტი. იტალიის 20 ავტონომიურ ლექში (რომელთაგან ხუთს სპეციალური, დანარჩენებს კი ჩვეულებრივი სტატუტი გააჩნიათ) ხელისუფლება ხორციელდება საოლქო საბჭოს, საოლქო ჯუნისა და მთავრობის კომისრის მიერ, რომელსაც ადმინისტრაციული ფუნქციების გარდა, ადგილობრივ კანონთა ვიზირების უფლებაც გააჩნია. აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის მთავრობაში შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრების დამოუკიდებელი პოსტების არსებობა, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებული დეპარტმენტების მეშვეობით ზემოაღნიშნულ რეგიონებში უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებენ.

ავტონომიის ინსტიტუტი არ არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აქედან გამომდინარე ყველა შედეგით: ავტონომიურ ერთეულებს არ გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, მოქალაქეობა, სახელმწიფოდან გამოყოფის უფლება და ა. შ. საგულისხმოა, რომ არა თუ ავტონომიის, თვით ფედერაციის სუბიექტის სეცესიის უფლებაც არ არის დაფიქსირებული არცერთ ბურჟუაზიულ კონსტიტუციაში, ისევე, როგორც არაუერია მათში ნათქვამი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებაც.

აქვე უნდა შევეხოთ ავტონომიისა და ე. წ. „ეროვნული საკითხის“ ურთიერთმიმართების ფაქტორს; მაგრამ მაშინვე მრავალი კითხვა ჩნდება. რა არის „ეროვნული საკითხის“ არსი?! ან, საერთოდ, ერის ცნების რომელი დეფინიციაა ზუსტი და მისაღები?! უნდა ჰქონდეს თუ არა ყოველ ერთა თუ ეროვნებას საკუთარი სუვერენული სახელმწიფო? და ა. შ. „ეროვნული საკითხის“

ერთა თავისუფალი, სუგერენული განვითარების, საკუთარი, პარტიკულარული ინტერესებისათვის ზრუნვის პირობების საკითხია და ყოველ ისტორიულ ეპო-
ქაში იგი განსხვავებული კრიტერიუმებით ფასდებოდა. რა მოიტანა ამ მხრივ
XX საუკუნეებ, ცივილიზაციულმა სამყარომ, თანამედროვე საერთაშორისო სა-
მართლომა თუ პუმანისტურმა დემოკრატიამ?! როგორია საუკუნის მიწურულის
რეალობა?!

თანამედროვე საერთაშორისო სამართლია აღიარებს ერთა თვითგამორკვე-
ვას უფლებას. ისევ აცხადებს, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არის
ერთა უფლება (მაგრამ არა მოვალეობა) და რომ ეს უფლება არ უნდა
განხორციელდეს სეპარატისტული პოზიციებიდან სუვერენულ სა-
ხელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის
საზიანოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ემუქრება ეთნიკური და სარ-
წმუნოებრივი ომები. და ეს მაშინ, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობა პო-
ლიეტნიკურია. სწორედ აქ არის საჭირო მოიძებნოს რაციონალური ფორმები
და ფორმულები ერთად ცხოვრებისა, რაშიც ავტონომიის ინსტიტუტს მნიშვ-
ნელოვანი როლი ეკისრება (ამას ადასტურებს ახლო აღმოსავლეთში მიმდი-
ნარე პროცესები კერძოდ, ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებანი ამ უკანასტ-
ნელისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის მინიჭების თაობაზე). ერის ერ-
თიანობას, უწინარესად, სისხლით ერთობის ცნობიერება განაპირობებს, მაშან
რაღამ უნდა განსაზღვროს პოლიეთიკური სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე?
დღეს დემოკრატიული ინსტიტუტები იძლევან იმის შანსს, რომ სახელმწი-
ფოც და მისი ერთიანობის მიზანიც ზნეობრივი იყოს პირველ რიგში მისივე
ქვეშევრდომთა თვალში, სადაც საზოგადო ინტერესის საგნად შეიძლება იქცეს
ერთობლივი თავდაცვა, სიმშვიდის უზრუნველყოფა, ეკონომიკურ კეთილდღი-
ობაზე ზრუნვა და ა. შ. სადაც ყოველი ეროვნული უმცირესობა დაცული იქ-
ნება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარების გზაზე, სადაც
მიეცემათ მათ შესაძლებლობა იზრუნოს საკუთარ ენასა თუ მწერლობაზე, სა-
დაც არ დაგმუქრებათ ასიმილაციისა თუ აკულტურაციის საფრთხე...

ზემოთქმულის ნათელი ილექტურაციაა ესპანეთის მაგალითი, სადაც ავ-
ტონომიზაციის იდეა პრაქტიკური ფართოდ არის განხორციელებული. დღეს
ესპანეთში ცნობილია ავტონომიის ორი სახეობა: „ეროვნულ ოლქთა“ ავტონო-
მია და „ისტორიულ ოლქთა“ ავტონომია. „ეროვნულ ოლქების“ საკანონმ-
დებლო და მმართველობითი ორგანოების კომბეტენცია ბევრად ფართო და მრა-
ვალმხრივია „ისტორიულ ოლქებში“ არსებული ანალიგიური ავტონომიური
ორგანოების უფლებამოსილებასთან შედარებით, რაც ამ რეგიონების ეროვ-
ნული თავისებურებებით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ავტო-
ნომიზაციას ფეხები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ამის მაგალითია
ბასკური პროვინციების ტრადიციული ავტონომიური მმართველობა (ე. წ. „ფუ-
ეროსი“), რომლითაც ისინი XIX საუკუნის შუა წლებამდე სარგებლობდნენ. ავტონომიის ინსტიტუტის გათვალისწინებით შედგენილი სახელმწიფოს ტერი-
ტორიული მოწყობის მსგავსი მოდელი ავლენდა და ავლენს ერთ სახელმწი-
ფოში ერთა ერთად ცხოვრება-თანაარსებობის რეალურ შესაძლებლობას, ნა-
თელს ჰქონებს ეროვნულ კულტურათა და ტრადიციათა ურთიერთგამდიდრების
ცხოველმყოფელ ბუნებას. ამ ჰქონდარიტებათა რეალური შეცნობა-აღიარების
პრაქტიკული განსახიერებაა XX საუკუნის დამდეგს კატალონიის ეროვნული
მოძრაობის მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის – „რეგიონალისტური
ლიგის“ მიერ წამოყენებული ლოზუნგიც: „კატალონია – ერი, ესპანეთი –
სახელმწიფო!“

ხალხი სახელმწიფოდ მის ქვეშევრდომთა ერთობლივა ფუნქციის შესრულების ზეობაზე მიზანმა უნდა შეკრას და ამიტომაც არის, აღბათ, რომ დასავლეთის პოლიტიკისთა და მეცნიერთა ერთი ნაწილი ერის დეფინიციას გაიაზრებს არა როგორც აუცილებლად ეთნიკურად ეროვნულობას, არამედ როგორც თანამოქალაქეთა კრებულს, წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც ძნელი ასახსნელია, თუ რატომ მიიჩნევენ ამერიკელები საკუთარ თავს ერთი ერის შვილებად, მაშინ, როცა ყოველი ძათგანის წინაპარი ინდიელი, ეპროპელი, ზანგი თუ ჩიკანისია. შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო ცნობილი რუსი მოახროვნის ნ. ბერდიაევის სიტყვებს, რომ ერი, ნაცია ისეთივე მითოლოგიური კონსტრუქციაა, როგორც პროლეტარიატი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იქნებ ეს მართლაც ასეა.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ტერიტორიული ავტონომიის პრინციპთა რეალიზაციასაც უკავშირებდნენ. რსდმპ-ის მეორე ყრილობაზე 1903 წელს მიღებული პროგრამა ითვალისწინებდა „საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული ყოფითი პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით გამოირჩეონ“. ლენინი იცავდა იდეას დემოკრატიულად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ოლქთა ავტონომიის შესახებ, ხოლო მიუღებლად მიაჩნდა შეხედულება კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე, რაშიც ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ერთი ერის შიგნით „კლასობრივი მშვიდობის“ ჩამოგდების გამოხატულებას ხედავდა. სწორედ ლენინის ეს პრინციპები დაედო საფუძვლად საბჭოური ავტონომიის ფორმებს, რომლებიც თავის მხრივ ტოტალიტარიზმისა და უზურპირებული ავტოკრატიის პირობებში ფიქციურ ჩარჩოებს ვერ გასცდნენ და რომელთა მახასიათებლებს შორის ფორმალური განსხვავებაც ოდგნ სსრკ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ეროვნებათა საბჭოში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობაზე დაიყვანებოდა. ბოლშევიკური ვოლუნტარიზმი სუბიექტურად წყვეტდა საკითხს ტერიტორიული ერთეულისათვის ავტონომიური ოკრუგის, ავტონომიური ოლქისა თუ ასსრ-ის სტატუსის მინიჭების თაობაზე ისე, რომ პრინციპთა ლოგიკურ თანხვედრასა და ისტორიულ-სამართლებრივ მიზანშეწონილობას ანგარიშს არ უწევდა. შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნათელსაყოფად მსოფლიო პრაქტიკისათვის უჩვეულო პრეცედენტი – რელიგიური ნიშნის მიხედვით შექმნილი აჭარის ასსრ-ის მაგალითიც იკმარებდა.

ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ეროვნულ უმცირესობებს არ განახილავს თვალგამორკვევის უფლების სუბიექტებად, თუმცა სახელმწიფოების მოქალაქეთა ჯგუფები (რომელთა მშობლიური ენა არ არის სახელმწიფო ენა, გააჩნიათ განსხვავებული მყარი ეთნიკური მახასიათებლები, წარმოადგენენ რიცხობრივ უმცირესობას და ამოძრავებთ მშობლიურ ენის, კულტურისა და ისტორიულ ტრადიციათა შენარჩუნება-განვითარების მიზანსწრაფვა), ანუ ეროვნული უმცირესობანი იმყოფებიან საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ და გააჩნიათ ყველა ის უფლება, რაც სახელმწიფოს სხვა ქვეშევრდომებს, ამასთან, ენიჭებათ უფლება კულტურული ავტონომიისა. კულტურული ავტონომია კი საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციების პირობებში იძლევა შესაძლებლობას, რათა თავიდან ავიცილოთ ე. წ. „ეროვნულ მოძრაობათა“ გაჩენის საფრთხე (თანაც მის ეთნიკურ და არა საერთო სამოქალაქო კარიანტში), რადგნ ასეთ შემთხვევაში საკუთარი სკოლის, ბანკისა თუ თეატრის დაარსება „ეროვნული სახელმწიფოს“ სტატუსით არ განისაზღვრება. რაც შეხება ქიმერულ ლოზუნგებსა და ტრივიალურ განცხადებებს ე. წ. „ეროვნულ სახელმწიფოზე“, ხშირად ისინი ეთნონაციონალიზმის იდე-

ოლოგთა ხელში მასებზე ზემოქმედების მძღვრი ბერკეტი თუ არის მხოლოდ რამაც საქართველოს მაგალითზე ნათლად წარმოაჩინა ავრესიული სეპარატიზმის საფრთხე მსოფლიოსათვის.

როგორც განხილული პრიბლებაზიკიდან ჩანს, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის დროს ავტონომიური ელემენტის შემოტანა დასაშვებია, თუ დაცული და გარანტირებულია, ჩვენი აზრით, უმთავრესი პირობების არსებობა:

1. არსებობს ავტონომიის შექმნის რეალური საფუძველი (მაგალითად, ქვეყნის დეცენტრალიზაციის იტალიური თუ ესპანური მოდელის დამკაიდრება, სახელმწიფოს სტრუქტურის განსაზღვრისას; მკვიდრი ერის უფლებების გარანტირებული დაცვის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა და ა. შ.);

2. ერთიანი, განუყოფელი და განუსხვისებელია სახელმწიფო სუვერენიტეტი;

3. კანონმდებლობის ძირითად საკითხებში დაცულია მკაცრი სუბორდინაციის პრინციპი;

4. დაცული და გარანტირებულია ავტონომიურ ერთეულში მცხოვრები ყოველი ადამიანის პილიტიკური, სოციალური თუ პირადი უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად მისი ეროვნულობისა და წარმომავლობისა, რაც თავისთავად გამორიცხავს ეთნოკრატიული მოდელის ჩამოყალიბების საშიშროებას.

დასავლური დემოკრატია ავტონომიის ინსტიტუტში, უწინარესად, ქვეყნის დეცენტრალიზაციის ერთ-ერთ მეთოდს ხედავს და არა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. ასევეა უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოთა სახეებს შორის განსხვავების შემთხვევაშიც, რადგან მარტივ და რთულ სახელმწიფოებს შორის სხვაობა ქვეყნის ეროვნული შემადგენლობის თავისებურებებით დეტერმინირებულ გარემოებად კი არ გაიაზრება, არამედ ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის ამა თუ იმ წესს ემყარება (ამდენად, სახელმწიფოთა ზემოაღნიშნული სახეები არც წარმოადგენენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობის ფორმებს, როგორც ეს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ფიგურირებდა). თუ ამ შეხედულების წინააღმდეგი ვიქენებით, მაშინ ადვილი ასახსნელი არ იქნება, თუ რატომაა, რომ ბევრი უნიტარული სახელმწიფო მრავალეროვნულია (მაგალითად, შრი-ლანკა, ინგლისი), ხოლო ზოგი ფედერაციული ქვეყანა — ერთეროვნული (გერმანია, ავსტრია).

ამგვარად, წინააღმდეგ ლენინის შეხედულებებისა, ეროვნული საკითხის მოგვარებას განსაზღვრავთ არა იმდენად სახელმწიფო წყობილების ფორმათა სახესხვაობანი, რამდენადაც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვა ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში, სახელმწიფოს მიერ ინდივიდთა საიკოცხლო სივრცისა და საზოგადოებაში სოლიდარიზმის უზრუნველყოფა, მაგრამ ამასთანავე მოქალაქეთა მოვალეობანიც (განურჩევლად ეროვნებისა), რათა დაემორჩილონ კანტის ეთიკურ თეორიას კატეგორიულ იმპერატივად აღიარონ — სამართლებრივი კანონი და სახელმწიფოებრივ ნორმათა დაცვა. სწორედ უფლება-მოგალეობათა მსგავსი ბალანსი, ხელისუფლებათა მკაცრი გამიჯვნისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის მოქნილი მექანიზმის არსებობის ვითარებაში ქმნის პიროვნებისა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისა და პროგრესული განვითარების პერსპექტივას, ამკითხვებს დემოკრატიულ პოლიკრატიას..

კახა შორეოლიანი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

ლელა ცალიბაიძე

გვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრიგლემა

დღესაც მთელი სიძლიერით ქლერს დიდი ილიას სიტყვები: „ტანთ მოიკელ, უწოდ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში — აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზე იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“¹.

საკითხის ასეთი გაგება, სამწუხაროდ, ბევრ მშობელს როდი აქვს შეგნებული. ამიტომ, ხშირად ასე უმეთვალყუროდ დარჩენილი ბავშვები შვილად აყვანის უბიექტები ხდებიან.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალ-წერტილებითი მუშაობა. აუცილებელი ხდება მრავალი საბჭოური საკანონმდებლო აქტის შეცვლა, ახალი ნორმატიული აქტების მომზადება. ამ ფონზე, ცხადია, ყურადღებას იქცევს საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობაც, კერძოდ, შვილად აყვანის ინსტიტუტი.

რა იგულისხმება შვილად აყვანის ცნებაში? გ. მატვეევი განმარტავს, რომ: „შვილად აყვანა ეწოდება იურიდიულ აქტის, რომლის ძალითაც ნაშვილებსა და მის შთამომავლობას და მშვილებელსა და მის ნათესავებს; შორის აღმოცენდება ივივე უფლებები და მოვალეობები, როგორც წარმოშობით ნათესავებს შორის“².

შვილად აყვანა, როგორც იურიდიული აქტი, საკმაოდ რთულია თავისი ფაქტობრივი შემაღენლობითა და ბუნებით. იგი მოიცავს არა მხოლოდ მშვილებლის ნებას, აგრეთვე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობასაც, კერძოდ, მათ გადაწყვეტილებას შვილად აყვანის თაობაზე.

უფრო მეტიც, შვილად აყვანა, როგორც იურიდიული ბუნების მქონე აქტი, საბოლოო ჯამში არის სახელმწიფო ხელისუფლების აქტი არა მხოლოდ იმ პირის თხოვნის საფუძველზე, რომელსაც სურს შვილად აიყვანოს ბავშვი, არამედ თვით ნაშვილების ნებაზე დამყარებული აქტიც, თუ იგი უკვე არის 10 წლის და აგრეთვე სხვა პირების ნების გამოვლინებაც, რომელთაც სამართლებრივი კავშირი აქვთ შვილად აყვანასთან.

შვილად აყვანამ იურიდიული შედეგები რომ წარმოშვას, საჭიროა მისი სათანადო გაფორმება, მარტო მშვილებელისა და ნაშვილების ნება საკმარისი არ არის, რომ შვილად აყვანა დასრულებულად და გაფორმებულად ჩაითვალოს.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. IV, გვ. 364—365.

² Г. К. Матвеев, Советское семейное право, М., 1978, ст. 211.

მისათვის, საჭიროა ამ ნებასურვილის ჰათანადო გაფორმება, რაც ხდება მშვიდებულების ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით. სწორედ ამ მომენტიდან წარმოიშობა შვილად აყვანა (საქორწინო და საოჯახო კოლექსის 109-ე მუხლი). ამიტომ, შვილად აყვანა, უწინარესად არის სახელმწიფო-სამართლებრივი აქტი. მშვიდებულება და ნაშვილებს შორის აღმოცენებული სამართლურ-თიერთობა ანალოგიურია იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს მშობლებსა და შვილებს შორის.

შვილად აყვანა უცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერ თრგანოში შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით. ამისათვის, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო მოვალეა, არა უგვიანეს ერთი თვისა, მმაჩის თრგანოში გადაგზავნოს რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონული გამგეობის გადაწყვეტილების პირი (ასლი) შვილად აყვანის შესახებ.

კანონი შვილად აყვანის გაფორმების შესახებ ითვალისწინებს ორ სახეს. პირველი — შვილად აყვანა ფორმდება ბავშვის დაბადების მოწმობაში მშვიდებლის მშობლად ჩაწერის მითითების გარეშე და მეორე — მშვიდებლები ფორმდებიან როგორც ღვიძლი მშობლები.

პრაქტიკაში, ხშირად ადგილი აქვს, ე. წ. ფაქტობრივ შვილად აყვანას, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა შვილად აყვანისათვის. მაგალითად, მცხოვარის რაიონში მცხოვრებ ცოლ-ქმარს ფაქტობრივად აყვანილი ჰყავდათ მიგდებული ბავშვი და ზრდიდნენ მას საკუთარი შვილივით. აღვს ბავშვის დაბადების მოწმობა და ეგონათ, რომ ამით დასრულდა შვილად აყვანის პროცესი. გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ის ნაშვილებ ბავშვად არ ითვლებოდა, რადგან არ არსებობდა გამგეობის გადაწყვეტილება და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, კერძოდ, ეს ფაქტი არ იყო რეგისტრირებული მმაჩის თრგანოებში და ა. შ. სწორედ ამის შემდეგ მშვიდებლებმა მიმართეს განცხადებით რაიონის გამგეობას, შეგროვდა საჭირო დოკუმენტაცია და განათლების რაიონული განყოფილების მიერ საქმის აღძრის საფუძველზე, გამგეობამ გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის თაობაზე. სწორედ ამ მომენტიდან შვილად აყვანის აქტმა მიიღო სამართლებრივი სახე და წარმოიშვა იურიდიული შედეგი მშვიდებლებსა და ნაშვილებს შორის.

შვილად აყვანა იურიდიული აქტია, რომლის შემადგენლობაში უნდა განვახსვაოთ იურიდიული ფაქტების ორი კატეგორია: ა) სამართლოსამზადებელი და ბ) სამართლწარმომქმნელი.

სამართლოსამზადებელი ფაქტების რიცხვს ეკუთვნის: მშობლების თანხმობა იმ ბავშვების გაშვილებაზე, რომლებსაც ჰყავთ მშობლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე აღიარებულია არაქმედუნარიანად სულით ავადყოფობის ან ჰქუასუსტობის გამო, ან დაკარგულია უკავლოდ. თუ მშვილებელი არის მეუღლეთაგან ერთ-ერთი, მაშინ საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე, შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობა, რომელმაც მიაღწია 10 წლის ასაკს, აგრეთვე მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფი ბავშვების შვილად აყვანისათვის მეურვის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა. თითოეულ ამ ფაქტს ერთმანეთთან და შვილად აყვანის საკითხთან დამოკიდებულებაში არავითარი უპირატესობა არ გააჩნია.

სამართლწარმომქმნელ ფაქტს, შვილად აყვანის იურიდიული ფაქტის შედაგენლობაში, მიეკუთვნება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც სურვილი აქვს აიყვანოს ბავშვი.

არის შემთხვევები, როდესაც სამართალოსამზადებელი ყველა ფაქტი სახეზე განვითარებული არის გამოიყენება არ გამოაქვს დადებითი გადაწყვეტილება შვილად აყვანასთან დაკავშირებით. მაგალითად, თბილისში მცხოვრებ მოქალაქეს სურვილი პქონდა შვილად აეყვანა მცხეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ბავშვი. ამისათვის სახეზე იყო ყველა სამართალწარმომქმნელი ფაქტი, რაც საფუძვლად ედება შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ რაიონის გამგების გადაწყვეტილებით ამ მოქალაქეს საფუძვლიანად უარი ეთქვა შვილად აყვანაზე. ვინაიდან გამგებამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ არა ბავშვის ინტერესები, არამედ სხვა ქონებრივი ინტერესები ედო საფუძვლად შვილად აყვანას, რომ შვილად ამყვანს სურდა სხვა სამართლებრივი შედეგების მიღწევა, რაც შვილად აყვანის გადაწყვეტილების განხორციელებას ახლავს თან. ამიტომ, ყველა კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე გამგეობა უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის თანხმობის ან უარის თქმის თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინტერესების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო-საოჯახო კოდექსში ხაზგასმულია, რომ შვილად აყვანა ხორციელდება არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვით. გარდა ბავშვის ინტერესებისა, შვილად აყვანა მიზნად ისახავს მშობლიური მოთხოვნილების დაქმაყოფილებასაც. შვილად აყვანით იხსნება ის უხერხულობა, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის, როგორც პიროვნების, ფორმირებაზე ამდენად, შვილად აყვანის ნებისმიერ შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს ყველა პირობას და გარემოებას, რაც ბავშვის მომავალს, მის მშობლებს, ოჯახსა და ნათესაობას ეხება. ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა – ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი, რა ასაკის უნდა იყოს იგი და საერთოდ, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შვილად აყვანა?

მშვილებელი შეიძლება იყოს ორივე სქესის სრულწლოვანი და ქმედუნარიანი მოქალაქე, გარდა იმ პირისა, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, აგრეთვე პირი, რომელსაც ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილად აყვანა გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო (საოჯახო-საქორწინო კოდექსის 102-ე მუხლი). რაც შეეხება მშვილებლის ასაკს, კანონში ეს კონკრეტულად არ არის განსაზღვრული, მაგრამ ნათქვამია, რომ მშვილებელი უნდა იყოს აუცილებლად სრულწლოვანი და არავითარ გამონაკლის შემთხვევაში არასრულწლოვანი.

პრაქტიკაში ჩშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმის შესახებ, მშვილებლის ხანდაზმულობა ხომ არ წარმოშობს დაბრკოლებას შვილად აყვანისათვის, აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიზელმძღვანელოთ ბავშვის ინტერესებით, თუ როგორ უზრუნველყოფს ხანდაზმული ნაშვილები ბავშვის ინტერესების დაცვას.

მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ასაკობრივ სხვაობასთან მიმართებაში, დღის წესრიგში დგება საკითხი მშვილებელთა ჯანმრთელობის შესახებ. ეს კითხვა კანონში პირდაპირ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა, მეურვეობისა და მშრუნველობის ორგანოთა მიერ ადრე მიღებული ინსტრუქციების თანახმად მშვილებელს მოეთხოვება ცნობები ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა იმის თაობაზე, რომ ოჯახში არა ჰყავს ბავშვისათვის საშიში დაავალებით დასწებოვნებული წევრი და ა. შ. ერთი შეხედვით, ეს საკითხი უბრალოდ გვეჩვენება, მაგრამ პრაქტიკაში ის ხშირად იწვევს ეჭვს. მაგალითად, არც თუ იშვიათად, მცირებულოვანი ბავშვების შვილად აყვანას ითხოვენ არასრულყოფილად ჯანმრთელი

ადამიანები. ამიტომ სასურველია შემუშავდეს ნუსხა იმ დაავადებებისა, რომელ თა არსებობაც უშლის ხელს მშვილებელს იშვილოს ბაგშვი. ვფიქრობ, ეს ბევრ საკითხს მოჰყენს ნათელს და დახვეწავს შვილად აყვანის სამართლებრივ რეგულირებას. შემდეგი განსაკუთრებულობა, რომელიც მშვილებლის ფაქტორს ახასიათებს, ეს არის ნათესაური კავშირის დადგენა მშვილებელსა და ნაშვილებლებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ არავითარ შეზღუდვას ბავშვის შვილად აყვანისათვის ნათესავის მიერ, მიუხედავად მათი ნათესაობის ხარისხისა, კანონი არ ითვალისწინებს.

ბშირად საკითხი დგას ასეთნაირად: შვილად აყვანის სურვილს გამოთქვამს მარტოხელა მოქალაქე (მარტოხელა ქალი). კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას ამის თაობაზე, თუმცა ჩემი ღრმა რწევნით, ასეთი შეზღუდვის არსებობა (თუკი ამას ადგილი მაინც აქვს პრაქტიკაში) მორალურად არ არის გამართლებული, რადგან საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს უშლის ასეთ ადამიანებს იყვნენ მშობლები და მშობლიური მშრუნველობით გაზარდონ მათვის სასურველი ნაშვილები ბავშვები.

პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც შვილად აყვანის სუბიექტები ხდებან საკუთარი შვილიშვილები. კანონით ასეთი შვილად აყვანა აკრძალული არ არის, მაგრამ კახონმდებლობა ითვალისწინებს იმას, რომ ბებიას და ბაბუას მათ მიმართ გააჩნიათ თავიანთი საკუთარი წრე უფლებებისა და მოვალეობებისა. ამიტომ იგი დასამვებად მიიჩნევს ბებიების და ბაბუების, მიერ შვილიშვილების შვილად აყვნას გარკვეული პირობების დაცვით, კერძოდ:

1. როდესაც გარდაიცვლება ბავშვის დედა;
2. თუ ბავშვის დედა ძლიერ ახალგაზდაა, ე. ი. დედობა მისთვის ჯერ კიდევ ძალიან ადრეა;
3. თუ ბავშვი (შვილიშვილი) დაბადებულია შემთხვევითი კავშირის შედეგად და მისმა დედამ შექმნა ახალი ოჯახი და შვილიშვილი იზრდება და ცხოვრობს ბებიასთან და ბაბუასთან;
4. თუ დედა სხვადასხვა მიზეზთა გამო ცხოვრობს ბავშვისაგან განცალკევებით და არ მონაწილეობს მის აღზრდაში.

მაგრამ, რადგანაც ბავშვის ბებია ან ბაბუა ქალიშვილთან ან ვაჟთან ერთად არ შეიძლება იყვნენ ბავშვის მშობლები, ყველა შემთხვევაში ისინი ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩაწერილი იქნებიან არა როგორც მშობლები, არამედ როგორც მშვილებლები.

შეიძლება თუ არა მშვილებელმა იშვილოს ორი ან მეტი ბავშვი? საოჯახო კანონმდებლობას ამის თაობაზე აკრძალვები არა აქვს, ე. ი. ასეთი რამ შესაძლებელია როგორც ერთდროული აყვანით, ისე შვილად აყვანიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც.

შვილად აყვანის ინსტიტუტისათვის ყველაზე უფრო მიღებულია ისეთი ფორმა, როდესაც მშვილებლები არიან მეუღლებები, ხოლო როდესაც მშვილებლის მეუღლე არ იშვილებს მასთან ერთად ბავშვს, მაშინ აუცილებელი ხდება მისი თანხმობა მეუღლის მიერ შვილად აყვანის თაობაზე, თუმცა კანონი ითვალისწინებს, რომ ასეთი თანხმობა არ მოეთხოვება მეუღლეს, რომელიც აღიარებულია არაქმედუნარიანად, ანდა მეუღლებებმა ერთ წელზე მეტი ხნის ვადით შეწყვიტეს ოჯახური ურთიერთობა და როდესაც ცხობილი არ არის მეორე რეულის საცხოვრებელი ადგილი (საქორწინო-საოჯახო კოდექსის 106-ე მუხლი). იმ ბავშვების გაშვილებისათვის, რომელთაც მშობლები ჰყავთ, აუცილებელია მათი თანხმობა. მშობლების თანხმობა გაშვილებაზე გამოხატული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მათ უფლება აქვთ უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე, თუ გადაწყვეტილება გაშვილების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გა-

მოტანილი. იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, თუ მას მშობლები არ ჰყავს, აუცილებელია მეურვის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც სახელმწიფი საბავშვო დაწესებულებაში იმყოფება — ან დაწესებულების აღმინისტრაციის თანხმობა. გაშვილება მშობლების თანხმობის მიუღებლად გამონაკლისის სახით დასაშვებია: „იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვს თვეზე მეტ ხანს არ ცხოვრობენ ბავშვებთან ერთად და არასაპატიო მიზეზით მონაწილეობას არ იღებენ მათ აღზრდისა და რჩებაში, არ იჩენენ შვილის მიმართ მშობლიურ ყურადღებას და მზრუნველობას (საქორწინო-საოჯახო კოდექსის 105-ე მუხლი).

შვილად აყვანა და მისი საიდუმლოების უზრუნველყოფა დაცულია კანონით. საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო-საოჯახო კოდექსის მიხედვით შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად, მშვილებლის თხოვნით შეიძლება შეიცვალოს ნაშვილების დაბადების ადგილი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ითვალისწინებს დაბადების თარიღის შეცვლასაც, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა (ან ვადის გაზრდის ან შემტირების გამო). უფრო მეტიც, მშვილებლის თანხმობის გარეშე ან მისი გარდაცვალების შემთხვევაშიც კი მეურვეობის მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია მმარის წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც გაირკვევა, რომ მშვილებელი ნაშვილების ლვიძლი მშობელი არ არის და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ის პირი, რომელიც გამაჟღანებს შვილად აყვანის საიდუმლოებას მშვილებლის ნებასურვილის გარეშე, პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 125¹ მუხლის შესაბამისად.

შვილად აყვანის გაუქმება და მისი ბათილად აღიარება პრაქტიკაში, იშვიათია, მაგრამ მას ადგილი მაინც აქვს და ამიტომ, მიზანშეწონილად მიმართა გავანალიზოთ მიზეზთა წრე, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს შვილად აყვანის გაუქმებას და ბათილად ცნობას. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — ვის აქვს უფლება აღძრას სარჩელი შვილად აყვანის გაუქმებაზე?

უდაოა, რომ პირველ რიგში ასეთი სარჩელის აღძვრის უფლება აქვთ მშობლებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს და პროკურორს. თუმცა კანონი არ კრძალავს ასეთი სარჩელით მიმართოს მშვილებელმა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა იმის თაობაზე, აქვთ თუ არა უფლება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სარჩელი აღძრან სხვა მოქალაქეებმა, აგრეთვე საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა. კანონით ასეთი უფლება პირდაპირ გათვალისწინებული არ არის. თუმცა, საქორწინო-საოჯახო კოდექსის 121-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე შვილად აყვანა გაუქმებული უნდა იქნას, მათ შეუძლიათ მიმართონ პროკურორს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, რომლებიც გადაწყვეტენ საკითხს — აღძრას თუ არა სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე. შვილად აყვანის გაუქმებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც მშვილებელი თავს არიდებს ბავშვის აღზრდაში თავისი მოვალეობების შესრულებას, ან ბოროტად იყენებს თავის უფლებებს, მკაცრად ექცევა ნაშვილებს, ახდენს მასზე უარყოფით გავლენას თავისი ამორალური და ანტისაზოგადოებრივი ქცევით, აგრეთვე თუ მშვილებელი არის ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი. მშვილებლის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისა და თავის არიდებასას ან თავისი უფლებების ბოროტად გამოყენე-

ბისას, შეიძლება დაიწვას საკითხი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მშობლის უფლებების ჩამორომევის თაობაზე, რამდენადაც მშვილებლის უფლებები და მოვალეობები ეფუძნება შვილად აყვანის აქტს და არა მისგან ბავშვის წარმოშობას³.

შვილად აყვანის გაუქმებაზე ნაშვილების თანხმობა აუცილებელია, თუ მას შეუსრულდა ათი წელი. შვილად აყვანის გაუქმებასთან ერთად აღდგება ყველა ის უფლება-მოვალეობანი, რომელიც არსებობდა ბავშვისა და მის მშობლებს აგრეთვე სისხლით ნათესავებს შორის და შეწყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი გადაეცემა მის მშობლებს, ხოლო თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, შეურვეობისა და შზრუნველობის ორგანოს. სასამართლომ ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაწყვითოს აგრეთვე ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელის და მამის სახელის შენარჩუნების საკითხი, თუმცა შესაძლებელია მათი უცვლელად დატოვებაც. თუ ბავშვის შეუსრულდა 10 წელი, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული უნდა იქნას მისი სურვილიც.

საქართველოს რესპუბლიკის საოჯახო კანონმდებლობა შვილად აყვანის გაუქმებას უკავშირებს ყოფილი მშვილებლისაგან ალიმენტის მიღებას ბავშვის სასარგებლოდ (რაც ყველაზე მტკიცნეული პრობლემა მშვილებლისათვის). იმ შემთხვევაში, როდესაც შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს უნარჩუნდება მშვილებლისაგან ალიმენტის მიღების უფლება (საქორწინო-საოჯახო კოდექსის 123-ე მუხლი), ხოლო თუ მშვილებელი ჯეროვნად ასრულებდა მშობლის მოვალეობას, მაგრამ შვილად აყვანის გაუქმება მაინც მოხდა კანონით გათვალისწინებული სხვა მიზეზთა გამო, მაშინ მშვილებელი თავისუფლდება ბავშვისათვის ალიმენტის გადახდისაგან და ბავშვი უნდა მოთავსდეს საბავშვო დაწესებულებაში.

რაც შეეხება შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძველს, ეს, როგორც შვილად აყვანის გაუქმებისას, პირდაპირ არის განსაზღვრული კანონში და რომელიმე სხვა გარემოება არ შეიძლება გახდეს შვილად აყვანის როგორც გაუქმების, ასევე ბათილად ცნობის საფუძველი.

შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი იმ პირის მოთხოვნით, რომლის უფლება დარღვეულია შვილად აყვანით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის თრგანოს ან პროცესურის მოთხოვნით (საქორწინო-საოჯახო კოდექსის 125-ე მუხლით თანახმად). რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივ თრგანიზაციებს, კანონი მათ უთანაბრებს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის თრგანოებს და პროცესურონს, რათა მათ გადაწყვიტონ საკითხი შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ. საქორწინო-საოჯახო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი შემდეგ შემთხვევებში: 1. გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ დამყარებულია ყალბ დოკუმენტებზე; 2. შვილად აყვანა ფიქტიურია; 3. ნაშვილებია სრულწლოვანი; 4. მშვილებელი სასამართლოს მიერ ცნობილი იყო არაქმედუნარიანად; 5. მშვილებელია პირი, რომელსაც ჩამორთმეული პქონდა მშობლის უფლება. ამ პირისათვა დადგენა უნდა მოხდეს სარჩელის სასამართლოში აღმვრამდე. მაგალითად, თუ სასამართლო განხილვისას აღარ არსებობს საფუძველი შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ და

³ В. П. Шахматов, усыновление опека, попечительство, Красноярск, 1979.

ეს დადასტურდა დამაჯერებელი მტკიცებებით, მაშინ შვილად აყვანის ბათილად ცნობა დაუშვებელია. მაგალითად, სარჩელის აღმრამდე შვილებელი იყო არას-რულწლოვანი, არაქმედუნარიანი ან ჩამორთმეული პქონდა მშობლის უფლება და აღნიშნული პირობები საქმის სასამართლო განხილვისათვის შეიცვალა ისეთი-ნაირად, რომ უკვე აღარ ეწინააღმდეგება შვილად აყვანის პირობებს (მშვილე-ბელი გახდა სრულწლოვანი, აღდგა ქმედუნარიანობა და ა. შ.) მაშინ არ არის არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ შვილად აყვანა ბათილად იქნას ცნო-ბილი. როდესაც შვილად აყვანის ბათილად ცნობა ხდება იმ საფუძვლით, რომ მშვილებელი არის არაქმედუნარიანი პირი, სულით ავაღმყოფობის ან გრება სუსტობის გამო, მაშინ ბათილადაც ცნობა ხდება მხოლოდ არაქმედუნარიანის მეურვის, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და პროკურორის მოთ-ხოვნით.

შვილად აყვანის გაუქმების დროს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ურთიერთ უფლება-მოვალეობანი წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კა-ნონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო ბათილად აღიარება კი შვილად აყ-ვანის გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

სამწუხაროდ, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობით არ არის გათვალის-წინებული სარჩელის წარდგენის ვადები შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათი-ლად ცნობის თაობაზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთი ვადა განისაზღვროს სამი წლით, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკის უსაბამისი კოდექსის 113-ე მუხლით.

გაზის იარაღით გიყვარებულ დაზიანებათა პლაზის ზოგიერთი ასპექტი

პიროვნების მიმართ ჩადენილ დანაშაულობათა ზრდამ განაპირობა საშინაო ბაზარზე თავდაცვის სპეციალურ საშუალებათა გამოჩენა – ეს არის გაზის იარაღი, აეროზოლური ბალონები, რომლებიც შეიცავენ ცრემლსადნ და ამღვზებ სხვადასხვა ნივთიერებას, ელექტროშოკურ მოწყობილობებს და სხვ. ყოველივე ეს სულ უფრო ხშირად გამოიყენება დანაშაულებრივი მიზნებისთვისაც.

საიდუმლოება არ არის, რომ ასეთი იარაღის გასაღება სწრაფად გაერცელდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი საშუალებებით მიყენებულ დაზიანებათა კრიმინალისტიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საკითხები პრაქტიკულად დამუშავებული არ არის. თუ ცეცხლსა-როლი იარაღით მიყენებულ დაზიანებათა ექსპერტიზის შემთხვევებში ექსპერტ-კრიმინალისტები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები გამოძიების საკითხთა გადაწყვეტისას ეყრდნობან მრავალრიცხვან აპრობირებულ სამეცნიერო მონაცემებს, გაზის იარაღით გამოწვეულ დაზიანებათა გამოკვლევისას მსგავსი შესაძლებლობანი მთლიანად გამორიცხულია.

გაზის იარაღით გარეგნული სახით პრაქტიკულად სრულიად ანალოგიურია ცნობილი დასავლური ფირმების პისტოლეტებისა და რევოლვერების შესაბამისი საბრძოლო ნიმუშებისა. როგორც წესი, გაზის იარაღი არის 6, 8 ან 9 ვეკალიბრის. მისი კონსტრუქციული თავისებურებების გამო ამ იარაღით საშტატო საბრძოლო ვაზნების გასროლა შეუძლებელია.

გაზის იარაღის ვაზნები მზადდება აქტიური ქიმიური ნივთიერებების მუხტით, ამასთან, უმეტესად გამოიყენება ქლორაცტოფენონი და მალეინმჴკას ანიტრილორტოქლორებებიდილენი.

კრიმინალისტიკური კლასიფიკაციით გაზის პისტოლეტები და რევოლვერები, მართალია, იარაღია, მაგრამ არა ცეცხლსასროლი, თუმცადა, ასეთი იარაღიადან გასროლისას მოქმედებს ისეთი მრავალი დამაზიანებელი ფაქტორი, რაც არსებითია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლისას (დენთის გაზები და ნაწილაკები, ჭვარტლი და სხვ.) ამან კი, გარკვეულ დისტანციაზე, შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება დაზიარალებულის სხეულზე და ტანისამოსზე.

აქტიური ქიმიური ნივთიერების მუხტის მოქმედების დისტანციის კონკრეტული საექსპერტო ამოცანის გადაწყვეტისათვის ექსპერტიმენტები ჩავატარეთ 250–300 გრამი მასის ლაბორატორიულ თეთრ ვირთხებზე, რომლებიც მოთავსებული იყვნენ ვერტიკალურად დაყენებულ ბრტყელ გალიაში, რათა გასროლის მანძილი თითოეული ვირთხისათვის თანაბარი ყოფილიყო. გასროლები ხდებოდა 8 მმ კალიბრის „Reck G5“ ტიპის ავტომატური გაზის პისტოლეტიდან და 6 მმ კალიბრის გერმანული წარმოების „Umarex-343“ ტიპის გაზის რევოლვერიდან. ვაზნები დატენილი იყო ქლორაცტოფენონით. პისტოლეტში მისი

გასროლა ხდებოდა დენთის მუხტით, ხოლო რევოლვერში – მხოლოდ კაპიუტერის დაღით. სროლები ხორციელდებოდა 50 და 100 სანტიმეტრის მანძილზდან (თითოეულ სერიაში სამი გასროლა).

ექსპერიმენტების შედეგად დადასტურდა:

– ორივე დისტანციიდან გასროლისას, განურჩევლად იარაღის სახეობისა, ცხოველების თმაზე და კანზე მექანიკური ან თერმული მოქმედების ნიშნები შეუიარაღებელი თვალით არ შეიმჩნეოდა;

– ქიმიური ნივთიერების მუხტის გამოტყორცნა კარგად მოჩანდა, მას ღრუბლის სახე ჰქონდა და გაცრცელდა ლულის პირიდან 150–200 სანტიმეტრზე. ეს პროცესი ორივე იარაღისათვის პრაქტიკულად მსგავსი იყო;

– ცხოველების რეაქცია ორი ფაზისაგან შედგებოდა – გარინდება (სუნთქვის სიხშირის შემცირებით), თვალების მოჭუტვა, ასევე გაღიზიანების გამოკვეთილი ნიშნები – ბეწვის დანამვა, თვალებისა და დრუნჩის ფხანა.

ამრიგად, მიღებული მონაცემები ადასტურებენ, რომ ზემოთ დასახელებული გაზის იარაღებით 50 და 100 სანტიმეტრი დისტანციიდან ქლორაცეტოფენონით დატენილი ვაზნების გასროლას არ გამოუწვევია მექანიკური და თერმული დაზიანებანი. საცდელი ცხოველების რეაგირება აქტიური ნივთიერებების მოქმედებაზე გამოიხატა „მიმაღვის“ ტიპური რეაქციით, რასაც თან ახლდა თვალის ლორწოვანი გარსის და ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანების ნიშნები.

ეს შედეგები წინასწარი ხასიათისაა. თავდაცვის სამუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს მრავალმიზნობრივ ღრმა გამოკვლევებს, თანამედროვე მეთოდების გამოყენების კომპლექსურ მიღვომას.

გია ბახტაძე,

სამხედრო პროკურორის უფროსი თანაშემწე, იუსტიციის მაიორი,

რობერტ ბაბასანიანი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე,

იგორ კატკოვი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სანკტ-პეტერბურგის მერიასთან არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის სამსახურის განყოფილების გამგე.

კახუანი აბაშევა

ქართული რევოლუციი და შეა საუკუნეების საქართველოს ჰუმანისტური იურისტული ცენტრი*

როგორც სხვა ისტორიული წყაროებიდანაც ჩანს საზოგადოებრივი სოლი-დარიზმის ეს იდეები XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელი-სუფლების ოფიციალურ სახელმწიფო ბრივი იდეოლოგიას განსაზღვრავდა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ უცნობი ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის დიდი წარმომადგენერალია, ასე აღწერს თამარ მეფის დროინდელ საქართველოში საზოგადოებრივი სოლიდარიზმის პრინციპების განხორციელების შედეგად შექმნილ იდეალურ წესრიგს: „შეიქმნა მშვიდობა, სისარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს და ერთბაშად ძოვდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხვი თიკანთა თანა, და მგელი ცხვართანა თანა“⁹.

ახალი რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რუსთაველს გამოთქმული აქვს ბევრი სრულიად ორიგინალური სამართლებრივი შეხედულებები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ე. წ. „მართალი სამართლის“ წარმოჩენა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი აფორიზმი გეხვდება და მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულსა და უმნიშვნელოვანესია წარმოადგენს სამართლებრივი აფორიზმი – „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“, რომელიც როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში გაბატონებული ქართული ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზეა დამყარებული. რამდენადაც „ვეფხისტყაოსანში“ ყველა აფორიზმი პოემის სიუჟეტური ეპიზოდის ღოგიჟურ დასკვნას წარმოადგენს და კონკრეტული სიუჟეტური წინააღმდეგობილან გამომდინარე პოემის მთავარ გმირთა მოქმედების მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას შეიცავს, ამდენად ამ სამართლებრივი აფორიზმის შინაარსის გასაგებად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ სიუჟეტური ეპიზოდის ანალიზს, რომლის იურიდიული შეფასება ამ აფორიზმშია მოცემული.

პოემის მიხედვით ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის უკვე მტკიცე სამჯნურო ურთიერთობაა და მათ შეუდღებას შედეგად უნდა მოჰყვეს ორთავეს სამეფო ტახტზე ასვლა ერთდროულად, რაც, შოთა რუსთაველის აზრით, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა და იგი ნიშნავს სამეფო ტახტის საკითხის გადაწყვეტას ე. წ. მართალი სამართლის შესაბამისად.

მაგრამ სულ სხვინაირად ფიქრობს ნესტან-დარეჯანის მამა, ინდოეთის მეფე

* დაბაზრული, დასაწყისი იხ. ურან. „სამართალი“, 1994, № 3—4.

⁹ ქართლის ცხოვრება, ჭ. II, თხ., 1959, გვ. 54-55.

ფარსადანი, რომლის აზრით ტახტის ერთადერთი შემკვიდრე ნესტან-დარეჯანი იყო, მაგრამ რადგან, ინდოეთში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესების მიხედვით ქალი მისი მეუღლის თანამეფის გარეშე არ შეიძლება სამეფო ტახტზე იქნას აყვანილი, იგი ჩქარობს ნესტანის გათხოვებას და სახელმწიფო დარბაზის ფორმალური დასტურით ზესიძედ ხვარაზმშას შვილს იწვევს.

ფარსადანის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ნესტანი და ტარიელი აჯანყებას აწყობენ: ნესტანმა შთავაონა ტარიელს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ხვარაზმშას შვილის მოკვლაა.

ამ სიუჟეტურ ეპიზოდთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ხვარაზმშას შვილის მკვლელობის სამართლებრივი აღგუმენტაცია, რომელიც მართალია ნესტანის მიერ არის გამოთქმული, მაგრამ ეჭვი არ არის, იგა შოთა რუსთაველის შეხედულებას გამოხატავს. აი, ისიც:

„რა მოვიდე, სიძე მოგალ,
მისთა სპათა აუწყველდად, —
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნ
ხმელსა ნედლად...“ (542).

აქედან ცხადია, რომ უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მკვლელობა რუსთაველის აზრით, არ წარმოადგენს დანაშაულს, რადგანაც იგი იმ მართალი სამართლის განხორციელებაა, რომელიც ხმელ ხეს ნედლად აქცევს. ამ მოსაზრებას აძლიერებს „ვეფხისტყაოსანის“ 543-ე სტროფი, რომელიც შეიცავს ნესტანის რჩევას ტარიელისადმი:

„ასრე ქმენ ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვით მოკალ საიმო, ლაშქართა ნუ მთირთაო,
მისთა სპათაც ნუ დახგოც, ძროხათა, ვითა ვირთაო, —
სისხლი კაცისა უბრალო კაცმანშეცა ვით იტვირთაო“.

თუ მხედველობაში მივიღებთ აკად. ი. კ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XIII საუკუნეში ქართული სამართლის ისტორიულ წარმოებში უბრალო “ნიშნავს „უდანაშაულოს“, ხოლო „ბრალი“ კი „დანაშაულს“¹⁰; მაშინ ცხადი გახდება, რომ, შოთა რუსთაველის აზრით, ხვარაზმშას შვილის თანმხლები ლაშქარი არის უბრალო ე. ი. უდანაშაულო და მას ხელი არ უნდა ახლოს ტარიელმა, რაც შეეხება ხვარაზმშას შვილს, იგი მართალი სამართლის მიხედვით დამნაშავეა და ამიტომაც ხვარაზმშას შვილის მოკვლა მართალი სამართლის ნორმებს განხორციელება.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობად არის აღიარებული. „ვეფხისტყაოსანის“ მკვლევარს ვ. ნოზაძეს „მართალი სამართლი“ პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გაგებული და შოთა რუსთაველის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ იგი ფიქრობს, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს მართალი სამართლის ქმნად¹¹. თუ აპრილულად დაუშევებთ, რომ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედობას წარმოადგენს, მაშინ სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ უაღრესად პროგრესული და დღესაც პოპულარული სამართლებრივი აფორიზმი ლოგიკური დასკვნის სახით შოთა რუსთაველს დაკავშირებული აქვს სრულიად შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, კერძოდ ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელის

¹⁰ ი. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი, II, ნაკ. II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 255.

¹¹ ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის“ საზოგადოებათმეტყველება, 1958 წ., გვ. 210.

მოქმედებასთან. ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობას თუ დანაშაულად მივიჩნევთ, მაშინ, რა ოქმა უნდა, სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნას ხმელად“ შეუსაბამო ხდება პოვინის სიუჟეტურ ეპიზოდთან და მისგან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რადგანაც ამ შემთხვევაში უდანაშაულო ხვარაზმას შვილის მოკვლა მიჩნეული უნდა და იქმნას იმ მართალი სამართლის ქმნად, რომელიც ხმელ ხეს ანედლებს.

სწორედ ამიზომ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთმოვკანილი სიუჟეტური ეპიზოდს დღევანდელი გაგება, რომლის მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივად არის მიჩნეული, არ შეიძლება გაზიარებული იქნას. მნელი დასაჯერებელია, რომ შოთა რუსთაველი, რომლის პუმანიზმი და პროგრესული შეხედულებები ყოველთვის ადგვაფრთივანებს, ვერ გამოსძებნიდა უფრო მოხერხებულ და ლოგიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდს ამ სამართლებრივი აფორიზმის გადმოსაცემად. მაგრამ რაკი პოვმაში პროგრესული შინაარსის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნას ხმელსა ნედლად“ დაკავშირებულია ერთი შეხედვით მასთან შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, უნდა ვიკულისხმოთ, რომ ტარიელისა და ნესტანის მოქმედების გასამართლებლად შოთა რუსთაველს უნდა გააჩნდეს რადაც სამართლებრივი არგუმენტი, რომელიც იმ დროისათვის უძლიერესი იყო თავისი დამაჯერებლობით და ამიტომაც რუსთაველს სრულიადაც არ ეუხერხულება ეს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი მოგვცეს როგორც ტარიელისა და ნესტანის მოქმედებისაგან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარე დასკვნა, მაგრამ იმის გამო, რომ რვა საუკუნის განმავლობაში, რომელიც გვაშორებს რუსთაველისაგან, ბევრი რამ შეიცვალა მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებაში, ჩვევებსა და შეხედულებებში, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება ჩვენგან დიდიხნით დაშორებული ეპოქის მოვლენები და ადამიანთა მოქმედებანი დაკვალიფიცირებულ იქნას მხოლოდ დღევანდელობის თვალსაზრისით. მართლაც, თუ იურიდიული აზროვნების დღევანდელი მიდგომით ვიმსჯელებთ, ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა, მაგრამ ფეოდალურ საქართველოშიც ფართოდ გავრცელებული ე.წ. მართალი სამართლის ქადაგება, რომლის მიხედვითაც აფასებს რუსთაველი ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას მთლიანად აცლის ამ მოქმედებას დანაშაულებრივ ხსიათის. სწორედ ამიტომ რუსთაველი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნას ხმელსა ნედლად“ ჩამოყალიბოს როგორც სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკური დასკვნა.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა „მართალი სამართლის“ ცნების დაღვენა, ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, რუსთველოლოგიურ დისტერატურაში ზემოთ გამოთქმული შეხედულებისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიიცეს.

ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგიის განმსაზღვრელი „მართალი სამართალი“ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოშობილი და შემდეგ შეა საუკუნეებში ფართოდ განვცელებული იგივე ბუნებითი სამართალია, მაგრამ ადრინდელი ბურჯუაზიული რევოლუციების ეპოქაში გადამუშავებული ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან განსხვავებით, შეა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი კველგან დამატებითობის შარავანდედით არის შემოსილი. მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქების პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით ბუნებითი სამართალი არის ქვეყნის განსაკუთრებული წესები, რომლებიც ადა-

მიანთა ნება-სურვილის მიხედვით დადგენილი დადებითი (პოზიტიურ) სამართლისაგან განსხვავებით ღმერთის უცვლელ და მუძმივ ნებას გამოხატავს. ფეოდალიზმის ეპოქაში გავრცელებული ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საზოგადოებაში მოქმედებენ ქცევის განსაკუთრებული წესები (მშობლებისადმი პატივისცემა, ღმერთებისადმი დამოკიდებულება, ღვთაებრივი წარმოშობის მქონე სამეფო ხელისუფლების ტახტის მემკადრეობა და ა. შ.), რომლებიც ადამიანთა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ დადგენილია ღმერთის მიერ და ამიტომაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს დადებითი სამართლის ნორმებს, თავის საკანონმდებლო საქმიანობაში, უნდა ხელმძღვანელობდეს ღმერთის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის ნორმებში მოკემული ქცევის წესებით. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ღმერთის ნების მიხედვით დადგენილი ბუნებითი სამართლის, ნორმებს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ შეუსაბამობა არსებობს ბუნებითი და დადებითი სამართლის ნორმებს შორის, მაშინ ქვემერდომებს უფლება აქვთ დაარღვიონ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი ქცევის წესები.

ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხვარავმშას შვილის მკვლელობით გამოწვეული ტრაგედიის ნამდვილი არსისა და მასთან დაკავშირებული ნესტანისა და ტარიელის მოქმედების მორალურ-პოლიტიკური შეფასებისათვის.

მართალი სამართლით ე. წ. ღმერთის მიერ დადგენილი ბუნებითი სამართლის მიხედვით სამეფო ტახტი მხოლოდ ტარიელსა და ნესტანს ეკუთვნის, მაგრამ ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება ფარსადანის სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი პოზიტური სამართლის ნორმა, — ჩამორთვას ტახტის მემკვიდრეობის უფლება ტარიელს და გადასცეს იგი უცხოელს, კერძოდ ხვარავმშას შვილს. ამდენად, ფარსადანის სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ წარმოშვა წინააღმდეგობა ბუნებით სამართალსა და დადებით სამართალს შორის და ასეთ შემთხვევაში ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი იღეოლოგიის მიხედვით შესრულებული უნდა იქნას არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დადგენილება, არამედ ღმერთის ნება ე. ი. განადგურებულ იქნას ის, ვინც ღმერთის ნების წინააღმდეგ ცდილობს სამეფო ტახტის უკანონ დაკავებას. სწორედ ამიტომ შუა საუკუნეებში გაბატონებული ერთადერთი მართალი და ჰეშმარიტი ღმერთის ნების გამომხატველი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება ხვარავმშას შვილის წინააღმდეგ არ უნდა ჩათოვალოს დანაშაულად.

ყველაფერი ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“ დამყარებულია ფეოდალურ საქართველოში ცენტრალიზმებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აყვავების პერიოდში გაბატონებულ ე. წ. მართალი, ანუ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ შოთა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ამ მოძღვრებას და ლოგიკურად იყენებს მას პოემის უმთავრესი სიუჟეტური ეპიზოდის დასასაბუთებლად.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, რუსთაველოლოგიური მეცნიერების მკვლევარ ვ. ნოზაბეს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმში „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“, შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი ინსტიტუტი „მართალი სამართალი“ გაეცემა აქვს პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც სწორი, ჰეშმარიტი, მართალი სამართალი.

არც საქართველოში და არც მსოფლიოს კულტურულად დაწინაურებულ ქართველი ნებში „მართალი სამართალი“, როგორც სამართლებრივი ტერმინი არ გაიძება, როგორც მხოლოდ სწორი, ჭეშმარიტი სამართალი, არამედ მას სპეციალური იურიდიული აზრი აქვს. კერძოდ, როგორც ეს იურიდიულ მეცნიერებაში დადასტურებულია, შუა საუკუნეების კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში „მართალი სამართალი“ გაეცემო იყო, როგორც ბუნებითი სამართალი, ღვთაებრივი სამართალი. გვეკამათება რა რუსთაველისეული „მართალი სამართლის“ გაგების საკითხში, ვ. ნოზაძე წერს: „იურიდიული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანი გაუსინჯავს ვახტანგ აბაშმაძეს და მას პეონია—„ვეფხისტყაოსანში“... რუსთაველ გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (განონიერების) მიხედვით. ვეფხისტყაოსნის განვითარებას პოემის მთავარი გმირების მოქმედება იურიდიულ შეფასების საფუძვლად უდევს ბრალის ცნება“¹². ვ. ნოზაძე არ იჩიარებს რა ჩვენს მოსაზრებას, მოლიანად უარყოფს საკითხის ამგარად დასმას და წერს: „სად რომელ ქვეყანაში რომელ ჩამორჩენილ, თუ ჩამოურჩენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა“¹³ ამასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ კაცობრიობის განვითარების აღრინდელ ეტაპზე ადამიანები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ბრალის ცნებას და უკელაქვეწაში პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდა ობიექტური შერაცხვა. როგორც იურიდიულ მეცნიერებაში დადგენილია ობიექტური შერაცხვა ნაშავს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ბრალის არ არსებობისას. ობიექტური შერაცხვისას საკმარისია ქმედობით ან უმოქმედობით ამა თუ იმ შედეგის დადგომა, მიუხედავად იმისა პირი არა თუ არ ითვალისწინებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ არც შეეძლო იგი გაეთვალისწინებინა, ობიექტური შერაცხვა გულისხმობის აშკარად უდანაშაულო ადამიანების დასჯას, მაგალითად, სასჯელის შეფარდებას მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია სხვების მიერ (მთელი სოფლის მცხოვრებთა დასჯა დახაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ამ სოფლის რომელიმე მცხოვრების მიერ). ისტორიულად ობიექტური შერაცხვა არსებობდა განუვითარებელ საზოგადოებაში, რომელიც არ იცნობდა ისეთ პროგრესულ სამართლებრივ მოვლენებს, როგორიცაა ბრალი და მხოლოდ ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობა. ძველ დროში სისხლის სამართალი არ იცნობდა ბრალის ცნებას, რომელიც შედეგება განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან. ადამიანთა მაღალი სულიერი ცხოვრების გამომხატველია ჩადენილი მოქმედებისათვის სასჯელის შეფარდების დროს პირის ფისიკური დამოკიდებულების აუცილებელი გათვალისწინება, პირის მიერ ჩადენილი მოქმედების სამართლებრივი შეფასებისას თუ არ დადგინდება ბრალი, შეუძლებელია სასჯელის შეფარდება. ბრალის ცნების შემუშავება და მხოლოდ ბრალის მიხედვით დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის.

როგორც ი. ჯავახიშვილმა დაადგინა შუა საუკუნეების საქართველოს სამართალში უკვე დიდი ადგილი უკავია ბრალს, ქართული სამართლებრივი კულტურა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ სასჯელის შეფარდებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალს და ბრალის ცნება მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული¹⁴, მართლაც ცნობილი ქართველი მთაშროვნის ექვთიმე მთაწმინდე-

¹² ვ. ნოზაძე, მიაპრაოთ მოქალ სასიპო (ფურნ. „ქავებასინი“, XI, 1960, გვ. 116).

¹³ იქნა.

¹⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929, გვ. 260-271.

ლის (955-1028 წწ.) ნაშრომებში დამუშავებულია არა მარტო ბრალის ზოგადი უბრალობის ცნება, არამედ მისი ფორმებიც¹⁵. რუსთაველმა კარგად იცის, რომ უბრალო (ე. ი. ბრალის არ მქონე) ადამიანის სისხლის დაღვრა და მოკვლა ეწინააღმდეგება „მართალი სამართლის“ მოთხოვნებს. ამის ნათელი დადასტურებაა პოემის 543-ე სტროფი. „ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გძირთაო, მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაჭხოც, ზროხათა ვითა ვირთაო — სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“.

მეცნიერებაში ბევრჯერ აღნიშნულია, რომ ვ. ნოზაძის რუსთაველოლოგიური გამოკვლევები დადგებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა როგორც აკად. ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავს, მათში „ბევრი რამე... სადაცა... ამის ნათელ წარმოდგენას იძლევა ზემოთ მოტანილი ჩვენი შენიშვნები.

ჩვენ ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ რუსთაველის სამართლებრივი დღოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები (ბრალი, მართალი, სამართალი და ა. შ.), საერთოდ უარყოფილია ვ. ნოზაძის მიერ ფაქტობრივად ემსახურება შუა საუკუნეების დიდი ჰუმანისტური მოძრაობის, კერძოდ, რენესანსის უარყოფას. ქართული რენესანსის იდეა შეიძლება ვინგებ არ გაიზიაროს, მაგრამ მისა საფუძვლების მიერ დაუშვებელია. 1966 წელს, როცა მთელი მსოფლიო ად-ნიშნავდა შ. რუსთაველის იუბილეს, უხერხულად ჩავთვალეთ საკამათოდ გაგვეხადა შ. რუსთაველის ჰუმანიზმი და რენესანსული შეხედულებანი. მაგრამ შემდეგში ჭეშმარიტი მეცნიერებისა და შუა საუკუნეების ქართული კულტურის მაღალი დონის წარმოსაჩენად ვ. ნოზაძის კრიტიკას ჩვენი მისამართით ჰასუნი გავეციო.

ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების რენესანსულმა გააზრდის, რასაც დასაბამი მისცა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“, შექმნა უზარმაშარი სულიერი სიმდიდრე, რომლის მდიდარი ტრადიციები ყოველთვის ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობას.

¹⁵ И. И. Сургуладзе, История государство и права Грузии, Тб., 1968, стр. 73.

1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის კველა სასამართლოს მიერ ვან-
ხილულ იქნა 5022 სისხლის სამართლის საქმე, რაც 1978 საქმით, ანუ 64,9
პროცენტით მეტია 1992 წელთან შედარებით.

1993 წელს განხილულ საქმეთა 22,8 პროცენტი (1148 საქმე) სასამართ-
ლოების წარმოებაში იმყოფებოდა ერთ თვეზე მეტი ხნით. 1992 წელს შესაბა-
მისი მაჩვენებელი იყო 20,3 პროცენტი.

დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საგამოძიებო ორგანოებს დაუბ-
რუნდათ 320 საქმე, რაც 103 საქმით, ანუ 47,4 პროცენტით მეტია წინა წელ-
თან შედარებით.

განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაიზარდა
ისეთი კატეგორიის საქმეთა რაოდენობა, როგორიცაა: 1. სახელმწიფო და
პირადი ქონების დატაცება (ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა) – 1509-დან 2172-მდე,
ანუ 43,9 პროცენტით; 2. დანაშაული დაკავშირებული ნარკომანიასთან 231-დან
577-მდე, ანუ 149, 7 პროცენტით, 3. ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო
მსალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარება. შენახვა, შეძენა, გადა-
ზიდვა, გადაზიანება, დამზადება ან გასაღება – 179-დან 452-მდე, ანუ 153,9
პროცენტით; 4. სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება – 159-დან 174-მდე,
ანუ 9,4 პროცენტით; 5. განხრახი მკვლელობა – 166-დან 208-მდე, ანუ 96,2
პროცენტით.

განხილულ საქმეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მსჯავრდე-
ბულ პირთა რაოდენობაც. თუ 1992 წელს მსჯავრი დაედო 3730 პირს, 1993
წელს მსჯავრდებულთა რაოდენობა გაიზარდა 7003-მდე (ე. ი. მსჯავრდებულ-
თა რაოდენობა გაიზარდა 3273 პირით, ანუ 87,7 პროცენტით).

1993 წელს, წინა წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაძ-
ლიერდა დასჯითი პრაქტიკა. თუ 1992 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარ-
და მსჯავრდებულთა 41,8 პროცენტს (1562 პირს), 1993 წელს ანალოგიური
მაჩვენებელი გაიზარდა 52 პროცენტამდე (თავისუფლების აღკვეთა 1993 წელს
შეფარდა 3715 პირს).

1993 წელს დასჯითი პრაქტიკის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია
ისეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა მიმართ, როგორიცაა: ყაჩაღობა –
90 პროცენტი, ძარცვა – 62,3, განხრახ მკვლელობა – 82,7, ადამიანის მი-
ტაცება ან სხვაგვარი თავისუფლების აღკვეთა – 100, სატრანსპორტო საშუ-
ალებათა გატაცება – 73,9, ნარკოტიკულ საშუალებათა გასაღება – 81,5
პროცენტი.

1993 წელს გაუარესდა რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილ
განაჩენთა სტაბილობის მაჩვენებელი. თუ 1992 წელს სტაბილური იყო განა-
ჩენთა 95,7 პროცენტი, 1993 წელს განაჩენთა სტაბილობის მაჩვენებელმა შეად-
გინა 94,7 პროცენტი.

1993 წელს ზემდგომი სასამართლოების მიერ გაუქმდა განაჩენი 223 პა-
რის ანუ 3,1 პროცენტის მიმართ, მათ შორის, საკასაციო ინსტანციის მიერ –

81 პირის მიმართ, ხოლო ზედამხედველობის წესით — 142 პირის მიმართ.

შეიცვალა განაჩენი 159 პირის ანუ 2,2 პროცენტის მიმართ, მათ შორის, საკასაციო ინსტანციაში 119 პირის, ხოლო ზედამხედველობის წესით — 40 პირის მიმართ.

1993 წელს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილ იქნა 324 კერძო განჩინება, ანუ განხილულ საქმეთა 6,4 პროცენტი (1992 წელს 8,1 პროცენტი). 1993 წელს არცერთი სისხლის სამართლის საქმე არ განხილულა ვამსვლელ სხდომაზე, (1992 წელს — 76 საქმე).

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს
საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსართველოს
სტატისტიკის განყოფილება.

პატივის ეიგება

თიცათიც ღერეთელი — 90

1994 წლის 9 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღმო, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ საქართველოს იურისტთა, კაგმირი, იურისტ-დემოკრატთა ასოციაცია, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

საღმო შესვალი სიტყვით გახსენა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანაშა. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა, თქვა მან, დასტურია იმ განუზომელი სურვილისა, რომ კვლავაც და კიდევ ერთხელ ღირსეული პატივი მივაგოთ იმ უმაღლეს ზნეობრიობას, რასაც ასე ამაღლებულად, თავისი ყოფითა თუ ცხოვრების არსის გააჩინებით, ქალბატონი თინათინი უშურევლად ნერგვადა და აფენებდა იმ დრამატული ცხოვრების გზაზე, რომელიც მისმა თანამედროვეებმა მასთან ერთად განვლეს, ეს დიდებული ქალბატონი უბადლო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს ქართველი ადამიანი სამშობლოს, ერის ღირსეული არსებობის უფლების დასამკიდრებლად. აღნიშნა, რომ ჩვენს ეროვნულ მეცნიერებულ პოტენციაში იგი ტოლს არავის უდებდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი დიმიტრი უზნაძის, კოტე ბაქრაძის დარად, ქართული იურიდიული სკოლის ჩამოყალიბების სათავეში იდგა.

სიტყვით გამოსულმა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ გულთბილად ისაუბრა ქალბატონი თინათინის დიდ ამაგზე, მისი პროფესიული ღირსებების ჩამოყალიბებაში, XX საუკუნის დამდევის ავტედით პერიოდზე, იმ თავდაუზოგავ და ამასთან, უაღრესად გაბედულ ღვაწლზე, რომელიც თინათინ წერეთელს მიუძღვის საქართველოში სამართლის მეცნიერების განვითარების საქმეში.

დიდი მეცნიერის მოწაფემ და მისი იღების ერთ-ერთმა გამგრემელებელმა, პროფესორმა გიორგი ტექშელიაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოჩენილი ადამიანების მორალური თვისებები ზოგჯერ უფრო მეტად ღალადებენ მისი პი-

როვნების ამაღლებულობაზე, გიდრე ინტელექტუალური მიღწევები. ამდენად ქალბატონი თინათინი მის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა როგორც უმწიკვლო პიროვნება და მოქალაქე. გამოთქვა მან სურვილი, რათა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს მიენიჭოს თინათინ წერეთლის სახელი.

თინათინ წერეთლის სხივმოსილ პორტრეტს საინტერესო შტრიხები შემატეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა სერგო ჯორბენაძემ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გივი ინწყირველმა. გულთბილად გაიხსენეს მოსკოვის ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენდა იგი მათდამი.

პროფესორმა მზია ლეკციების დამსწრეთ მოუთხრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში გამოჩენილ სწავლულთან ერთად გატარებულ წლებზე, იმ დიდ ჯაფასა და ამაგზე, რაც მეცნიერმა გაიღო კანონშემოქმედებით საქმიანობის განვითარებისათვის.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ბატონები იაკობ ფუტკარაძე, ჯამელეთ ბაბილაშვილი, ალექსანდრე შუმანაშვილი, ალბერტ აბესაძე, ოთარ გამყრელიძე, ანზორ გაბიანი, ვლადიმერ ბარათაშვილი, ვახტანგ კერესელიძე და სხვები.

საიუბილეო საღამოს დამაგვირგვინებელ აკორდად იქცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის, ბატონ მინდია უგრუხელიძის გამოსკელა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ამ საინტერესო შეხვედრის ორგანიზატორებს და გამოთქვა სურვილი, რათა ამგვარი შეხვედრები იქცეს ტრადიციად.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბატონი შალვა ნათელაშვილი, აკადემიკოსები ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე და ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ეპა პაპანაძე,
უურნალ „სამართლის“ სპეციალური კორესპონდენტი

აღთართაბა



ამ რამდენიმე წლის წინათ, მოსკოვში დაარსდა უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია, რომლის სტრუქტურაში წარმოდგენილია ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცალკეული დარგი. აკადემიის წევრებად არჩეული არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები, რომელთაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით მეცნიერების განვითარებაში, მაღალკალიფიციური კადრების მომზადებასა და აღზრდაში. აკადემია ითვლის 300-მდე ნამდვილ წევრის და წევრ-კორესპონდენტებს. მათ შორის ათი ცნობილი იურისტია, ამათგან კი რამდენიმე წარ-

მოადგენს მოსკოვის, პეტერბურგის, რუსეთის სხვა რეგიონების უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ამ აკადემიის ნამდვილ წევრად სულ ახლახანს არჩეულია მხოლოდ ჩვენი თანამემამულე. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გივი ინწყირველი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, ქართული იურიდიული სკოლისა და მისი ერთ-ერთი საატიო წარმომადგენლის დამსახურებულად, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებაზე მიანიშნებს.

ბატონი გივი ინწყირველის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამ სარბიელზე, მისგან უმწიკვლოდ, ტევადი შრომით, შემართებულად განვლილი ხანგრძლივი გზა, მაგალითია იმისა, თუ რა თვისებებს უნდა ფლობდეს მეცნიერი, პიროვნება, მოქალაქე; როგორ უნდა იღვწოდეს იგი საზოგადოების, მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჭეშმარიტად ინტელიგენტურ, ზეობრივ ოჯახსა და გარემოში აღზრდილი ბატონი გივი, თავადა დახვეწილი ინტელიგენტი, ნიმუში თავდაჭერილი, გააზრებული ყოფისა და ქცევისა, რომ იტყვიან, ბ-ნი გივი ღვიძლი შვილია იმ უნივერსიტეტისა, სადაც იგი წარჩინებით დაუუფლა უმაღლეს განათლებას, სადაც პირველი ნაბიჯები გადაღვა ძნელ და გრძელ სამეცნიერო გზაზე და დღუისათვის ამ ტაძრის გამოკვეთილი, საპატიო ფიგურაა, როგორც უნივერსიტეტის ტრადიციების შეუბრალავად მატარებელი.

ბ-ნი გივი ყოველთვის გამოიჩინდა ანალიტიკური გონებით. მისი ასპირანტების პერიოდის თბილისელ თუ მოსკოველ მეგობრებს კარგად ახსოვთ იქ

მაშინდედ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის სამართლის ინსტიტუტში, იმპერიუმის დაც იგი სამეცნიერო წვრთნას გადიოდა გამოჩენილი მეცნიერის კეჩიკიანის თავ-მდგომობით, სრულიად ახალგაზრდა კაცის არგუმენტირებული გამოსვლები კო-ლოკვიუმებზე, სემინარებსა და კონფერენციებზე, რის გამოისობითაც მან მო-მავალი მეცნიერის შეუვალი ავტორიტეტი მოიპოვა და რაშაც დღეისაოვის მისი აკადემიის, წევრად არჩევაც განაპირობა. ინტერველის უმაღლეს დოქტერი მომზადებულმა საკანდიდატო დისერტაციამ – „გერცენის პოლიტიკური წარ-მოსახვანი“, ნამდვილად მოწონება დაიმსახურა, ამიტომაც ერთხმად მიენიჭა მას საძიებელი ხარისხი. ასე დაიწყო და დღემდე ნაყოფიერად მიმდინარებას ბატონი გივის მეცნიერული შემოქმედება. მის ნაშრომთა შორის გამოირჩვიან ფუნდამენტური მონოგრაფიები – „სახელმწიფოს და სამართლის ოეორია“, „სამართლს საფუძვლები“, სახელმძღვანელოები, როგორც იურიდიული ფაკუ-ლტეტის ეტაპობრივი განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელი.

პროფესორი ინტერველი მოსილია მეცნიერების ორგანიზატორის შესაშუ-რი უნარით. მნიშვნელოვანია მისი პირადი როლი იურიდიული ფაკულტეტის ავტორიტეტის ყოველმხრივ ამაღლებაში. სხვადასხვა პერიოდში, როგორც ამ ფაკულტეტის დეკანად და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ არაერთხელ მოხ-მობილმა, საგმაო ენერგია უშურველად გაიღო ქართველ იურისტ-მეცნიერთა მთელი პლეადის ჩამოყალიბების, კვალიფიციურ პრაქტიკოსთა კადრების აღზრ-დის საქმეში. ამიტომაც აღიარებენ მას საქართველოს იურისტთა სამჭედლოს ფლაგმანტად. იგი ლაკონური, პრინციპული, ზომიერად სიტყვაძვირი, პირდაპი-რი, კოლეგათა და თანამშრომელთა მიმართ მომთხოვნი პიროვნებაა.

ფართოა ბ-ნი გივის სახოგადოებრივი მოღვაწეობის არიალი. იგი დღემდე წარმატებით მონაწილეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულ იურის-ტთა საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციების მუშაობაში, სადაც ყოველ-თვის ღირსეულად წარმოაჩენს ქართველი კაცის, მეცნიერის სახეს. პროფესო-რი ინტერველი აზლოწარსულში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კო-ნსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრი გახლდათ და ამ მმართებით მას არაერთი პრინციპული მოსახრება გამოუთქვას, რაც უყოფმანოდ გა-ზიარებულა.

ბ-ნი გივი არასამთავრობო საერთაშორისო გაერთიანების, „იურისტთა კუ-მირის“, საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობების, უურნალ „სამართ-ლის“ სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრია, რომლის სიტყვას და მოსახრე-ბას წონა და ფასი გააჩნია. სხვ ახლახანს ზოგიერთ სხვა ქართველ კოლე-გებთან ერთად იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრებადა მიღებული. ამჟამად იგი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებელი სახელმწიფო კომისიის თავ-მჯდომარის პირველი მოადგილეა და ინტენსიურად წარმართავს მის საქმიანო-ბას.

ბ-ნი გივი თავისუფალი, გულწრფელი მოქალაქეა. ადამიანურ სამწყობესა და საწიერში, ნათესავ-მეგობართა, კოლეგათა ჭირისა და ლხინის გამზიარებე-ლია; ღაზათიანი თანამესუფრე, უმტკავნეული იუმორის მქონე, სპორტის გულ-შემატებივარი, განსაკუთრებით ჭადრაკის მოტრფიალეა, პოეზიის მოყვარული და რაც მთავარია თავდავიწყებული ბაბუა.

ძვირფასო მკითხველო, დაბეჯითებით გთხოვთ, პანეგირიკად ნუ აღიქვამთ ყოველივე ზემოთ ნათქვამს. არამც და არამც, ბ-ნი გივი ჩვეულებრივი არსებაა და ჩვეულება მას სწორედ ამ მთლიანობით ვაფასებთ.

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა, მისი კავშირის გამგეობა, ურნალის რედაქცია მიესალმებიან გივი ინწკირველის აკადემიკოსად ქმნას და გულწრფელად უსურვებენ მას ხანგრძლივ ჯამრთელ სიცოცხლეს, მისთვის და-მახასიათებელი გონიერების მუდმივ თანხლებას, ჩვენი სანუკვარი სამშობლას წელში გამართვის საწინდრად.

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობა.
ურნალ „სამართლის“ სარედაქციო კოლეგია.

შეაღლეთ ხარისხი იურიდიულ ეპიდერმაზი

1994 წლის 6 მაისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საათესტაციო საბჭოს სხდომაზე ზაურ გორგის ძე წულაიაშ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „დატაცებებთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები მსუბუქ მრეწველობაში“ და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ოპონენტთა შეფასებით აღნიშნული თემა ქართულ და ყოფილ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში შეუსწავლელი იყო და დისერტანტმა 20-წლიანი შრომის შედეგად შექმნა კომპლექსური ხასიათის ორიგინალური ნარომი. მოსკოველ კოლეგების (პროფ. ვ. კ. ზვირბული, პროფ. ვ. ბ. ასატრევი) გამოძახილებში ვკითხულობთ, რომ ზაურ წულაიას ნაშრომი „არსებითად არის პირველი, ღრმა მონოგრაფიული დამუშავება მსუბუქ მრეწველობაში დატაცებებთან ბრძოლის ღონისძიებებისა“.



ზაურ წულაია დაიბადა 1942 წელს ქ. სამტრედიაში. 1958 წელს დაამთავრა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა. ორი წელი მუშაობდა „საქართველოს“ ტრესტის სამტრედიის მექანიკურ ქარხანაში ზარატად. 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი,

იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში და სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვში პრო-კურატურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1972 წლიდან სისხლის სამართლის კათედრის წო-ცენტრია. გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია, 4 ბროშურა და მრავალი სტა-ტიია.

* * *

1994 წლის 30 ივნისს ოთარ კალგ-ნიკეს ძე გამყრელიძემ ივანე ჯავახი-შვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტა-ციონ საბჭოს სხდომაზე, დაიცვა დისერ-ტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქ-ტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაბო-ვებლად. დისერტაციის თემა იყო: „სი-სტელის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დას-ჯალობის საფუძველი“. ეს ნამრობი ცალკე წიგნად დასტაბბა გამომცემლო-ბა „მეცნიერება“ 1989 წელს.


ხაშრომში მოცემულია პრობლემის ახლებური დასმა და მისი გადაწყვე-ტის ორიგინალური ცდა. ეს არის თანამონაწილეობის დასჯალობის საფუძველი. საფურადებოა პრობლემის კანხილვის ახლებური მეთოდოლოგიური მიღება. ავტორმა უარი თქვა კაუზალურ-ნატურალისტურ მეთოდზე.

წიგნში კრიტიკულად არის გადმოცემული ორი ძირითადი მიმართულება ამ საკითხზე: 1) ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება და 2) თანამონა-წილეობის მიზეზობრივი თეორია. ავტორი საფუძვლიანად იკვლევს უმართ-ლობის პრობლემას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ უმართლობის ცნებას, ობი-ექტურ მომენტთან ერთად, ზოგჯერ სუბიექტური ელემენტებიც (მიზანი) გან-საზღვრავენ. შემდეგ იფი მიზნი: კონსტრუირებულ უმართლობის ცნებაზე აფეშნებს თანამონაწილეობის დასჯალობას. მოცემულია ცდა თანამონაწილეთა ერთიანი უმართლობის დასაბუთებისა.

ოთარ გამყრელიძე ამჟამად ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებას. არჩეულია საქართველოს პარლამენტის საკონ-სტიტუციო კომისიის და სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშა-ვებელი სამთავრობო კომისიის წევრად. არის ურნალების „მაცნეს“ (სამართ-ლის სერია) და „სამართლის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი და სხვ.

იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აქტიურად იღწვის სამეცნიერებას პირად ცხოვ-რებაში.

ურნალის რედაქცია გულწრფელად გილოცავთ ამ წარმატებას. გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას და ბედნიერებას პირად ცხოვ-რებაში.



ვახტან კარასელიძე

ოცნება და სინამდვილი

(ნაფიქეთები ამავე სახელმოღაცის არეალი)

თეიმურაზი, რაინდი მეფე, მას საქართველოს ბედი ებარა,
დახმარებისთვის რუსეთს უხმობდა, რუსეთს კი ჩვენთვის ჯერ არ ეცალა...
და მეფის სურვილს აღსასრულებლად მას ვითარება გადაეფარა,
თავიც გასწირა, დედაც, შვილებიც, მერე დაღუპა მთელი ქვეყანა...
განრისხებული ირანის შაჰი, ქართლსა და კახეთს შემოესია,
მტრობამ შემუსრა გარს ყოველივე, რაც კი სიყვარულს დაუთესია...
ბორის გოლუნოვს, ვასილ შუისკის, მეფე მიხეილ თეოდორის ძეს,
ირანთან მტრობა ჯერ არ აწყობდათ, არ სჭირდებოდა ქვეყნის ინტერესეს.
და პოეტს მეფეს, ქველს თეიმურაზს ტე მირჩევნიან მეფე როსტომი,
რადგან ირანი სულ ახლოს იყო, ხოლო შორს იყო მაშინ მოსკოვი...
როსტომი სკობდა ქრისტიან მეფეს, ის ხოსრომირზა ბაგრატიონი,
თეიმურაზმა ჭერი დაგვიმხო, მეფე როსტომმა იხსნა სიონი...
იაგარქმნილი კვლავ აღადგინა, წმინდა ტაძრები, ხალხის სახლობა,
ქვეყანამ შვებით ამოისუნოქა და გადაგვირჩა ქრისტეს ნათლობა...
ეხლა მოსკოვი სულ ახლოს არის, ხოლო შორს არის სხვა დანარჩენი,
თუ „დიონისე არ გაიღიძებს“, არ გამოჩნდება სხვა გადამრჩენი...
თავიდან სჯობდა რომ ეს გვცოლნოდა, ბევრი საუნჯე გადარჩებოდა,
და ჩვენი სული ტანჯულ-გვემული, ესე არასდროს დაემხობოდა...
„სამი კოლონა“ უკვე მოქმედებს, ოსი, აფსუა, თვითონ ქართველი,
„ორი კოლონა“ კი ნიშანს ელის, რათა წალეკოს ჩვენი სახელი...
სულხორცულდა დავილებებით, არვინ გვიშველის ძეხორციელი,
„ესე ვითარის კადნიერებით“ გაბატონდება გადამთიელი...
გონება ვისაც მოუთხოვება მათ ყოველივე კარგად უწყიან,
აქ, „შაგრენის ტყავს“ კვლავ შეკრეჭავენ, იქ, მიიღებენ რეზოლუციას...
„ქაღალდის ვეფხვზე“ შორს არვინ წავა, ტანჯვა-ვაება არ დასრულდება,
სანამ ძლიერის ინტერესები საქართველოში არ შესრულდება...
სხვა დანარჩენი არის ზღაპარი, არის ქიმერის ერთი ფანტელი,
მოხეტიალე ღრუბლებს მოვეშვათ, რათა გადარჩეს ერი ქართველი!..

* * *

იმ ათასცხრას ოცდაოთხ წელში ასრულდა შმაგთა დანაპირები,
ალუბლის ფერად როცა შეღებს კავკასიონის შენაპირები...
როდესაც წმინდა ტაძრებს გვინგრევდნენ ჩვენს წინაპართა ლანძღვა გინებით,
მუშებს და გლეხებს, მაღალ წოდებას როდესაც ხვრეტდნენ კომკავშირლები...
ხვრეტდნენ აგრეთვე მხოლოდ გვარისთვის, მამულისათვის ხვრეტდნენ ღირსებას,
ანადგურებდნენ სილამაზისთვის, რაც მახინჯ სულებს არ ეღიარსებათ,
სპობდნენ ჭაბუკებს ვინც ქართვლის დედებს იავნანაში დაურწევიათ,
სპობდნენ ისინი, საქართველოში ვინც არასოდეს მოუწევიათ...

იმათ შებილწეს ერის დირსება, სულიერებას დასცეს ზიანი,
როს კონსტანტინე მირზებად იქცნენ მრავალი წითელ ბილეთიანი...
მკენარ დასეულ ურდოს რომ მოყვნენ, ვისაც შენდობა არ უწერია,
ვინც საქართველოს მოსახლეობას რომ არასოდეს აურჩევია...
ხიშტებით მოსულ უხსენებლებზე ხალხი ხმარობდა სიტყვას – „ისინი“,
ვინც აჯანყებულ ერს დაატეხა სიკვდილი, სისხლი, კრულვა, ქვითინი,
ვინც საქართველოს გადაუწყვიტა მაღალაღნაგი სულის ძაფები,
„ისინი“ იყვნენ ჯალალ ედ დინის ჩვენი წითელი ყიზილბაშები...
რაც ურჯუკებმა მოიძოქმედეს ეს არაფერი. გასაკვირია,
რომ სისხლი იყო მათი საწყისი, იმათ ხომ ადრე მოკლეს იღია...
იღიას მოკლით ამ შერმადინებს სურდათ მოკლათ ქართველი სული,
და მოიტანეს საქართველოში სიყალბის ხატი ჯერ არნახული...
წინ მოუძღვოდა „ის“ – „იმერელი“, ვინც გადაუკლო ერის იარებს,
ვის წიწამურის უმანკო სისხლთან მოიხსენიებს შემატიანე.
მონღლოთ ნოინმა, კაცმა ველურმა, მაღალი სული გამოიჩინა,
ცოტნე დადიანს ახსნა ბორკილი, ყველა შეთქმული გადაარჩინა,
კოლხი რაინდის თავის დადებამ ის აღამაღლა, ბოროტს გაჰყარა,
და მოვლენილი სათხოების წინ ძლიერმა ძალამ თავი დაპხარა...
ამას იზავდა ის სხვა ნოინი, რომ ბედისწერით რეგბოდა წილი,
და ქართველების გადასარჩენად დანებებოდა ჩილოუგშილი?...
„ის“ არ იზამდა, არ ეყოფილა ველური კაცის სულის მარაგი,
ვინც ძმა მოუკლა ვაუა-ფშაველას და ვინც „აიღო“ თბილის ქალაქი!...
ეს მათ გახლიერს იღიას ერი, მათ შემოიღეს „ჩვენ და ისინი“,
სად სახელმწიფო რანგში ავიდა ბეზღობა როგორც ჩუმი სისინი...
მათ გადაკიდეს ქართველს ქართველი და გზა გაუხსნეს ქვეწარმავლობას,
რომლისგან დღესაც ვერ ამოსულა სულგაძარცული შთამომავლობა...
ბოლოს მოგიდა განკითხვის ჭამი, ბედმა მიუზღო, ერთი რამეთი,
ვით კეთროვანმა შშიერმა მგლებმა ისე დაფლითეს მათ ერთმანეთი...
ადრე კი გასცეს ბნელი დეპეშა, გაუგონარი და უსახელო,
რომ უცხო ჯარით ქართველმა კაცმა როგორ აიღო თვის საქართველო...
აი, ასეთი მოგვდგამს გენები, „ისინი“ დღესაც კიდევ არიან,
და კტირი როგორც გადაქმიონი – „ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია...“

